ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათს და პარასკევს №19 (1649) 21-23 მარტი. 1998 წ. ფასი 50 თეთრი



„ვინ არის იგი მესამე, მითხარი შენი კვნესამე"... თორემ კიდევ გაცოცხლდება სტალინი და იტყვის: არ არის ადამიანი, არ არის პრობლემა

მეორე გვერდი

## საქართველოში ვინმემ ერთხელ მაინც პასუხი უნდა აგოს



## შაბათის კომენტარი ორშაბათის რადიო-ინტერვიუზე

მეორე გვერდი



მერვე გვერდი

## ს ე ნ ს ა ც ი ა!

მითი და რეალობა რუსეთის ისტორიის შესახებ, ანუ რუსები სულაც არ ყოფილან რუსები?..

## გვჭირდება თუ არა სამხედრო აღლუმების ჩატარება



მეორე გვერდი

რეპორტაჟი არასრულწლოვანთა კოლონიიდან, ანუ „ჯიბგირი" ინტერვიუს იძლევა



მეცხრე გვერდი

## გადასახადები საქართველოში

მეათე გვერდი

## „გეკუთვნით, მაგრამა არ გეკუთვნით..."



მეხუთე გვერდი



## კრიმინალური ქრონიკა

მეექვსე გვერდი

მიკროავტობუსების მძღოლთა საყურადღებოდ!
მერია სამარშრუტო მიკროავტობუსების რაოდენობის შემცირებას აპირებს

მეოთხე გვერდი

## სპორტი



სამყარო

მეშვიდე გვერდი

გერმანე ფაცაცია:

# ვინ არის იგი მესამე, მითხარი, შენი კვნესამე!.. თორემ კიდევ გაცოცხლდება სტალინი და იტყვის: არ არის ადამიანი — არ არის პრობლემა...




ძალიან ცუდები გავხდით ქართველებო, — ბრძანა ბატონმა გერმანე ფაცაციამ გულდაწყვეტით. — იქნებ ყოველთვის ასეთები ვიყავით და დღევანდელობამ გამოგვააშკარავა?!

— არ არის გამორიცხული, რომ ყველაფერი გარეთ გამოვიდა, მაგრამ ის, რომ დღეს ხდება ფინანსური პოტენციალის ერთ გარკვეულ კლანური პრინციპით გადაქაჩვა და ადამიანს არანაირად არ აწუხებს, რომ მისი მოყვასი, სისხლ-ხორცი სულ ლაფავს, შიმშილით კვდება, ეს რომელი რელიგიურობიდან, მორალიდან და ზნეობიდან ამოვდივართ, რა ეთიკურ პრინციპებს ეფუძნება ჩვენი ამგვარი ქმედება? ჩემთვის გაუგებარია რელიგიური ინსტიტუტების, ქართული სამოციქულო ეკლესიის, საპატრიარქოს პოზიცია... და საერთოდ, ბევრი რამ არის ჩემთვის გაუგებარი...

**— ხუთშაბათს დაგეგმილი მოსკოვის სამიტი აპრილის შუა რიცხვებისათვის გადაიდო... მიუხედავად ყველაფრისა, როგორია ამ საკითხთან დაკავშირებული თქვენი პოლიტიკური პროგნოზი?**

— ჩემი პროგნოზით სამიტი უნდა გადადებულიყო, ხოლო რეალობაში მსგავსი სამიტები საერთოდ არ უნდა იმართებოდეს, ყოველ შემთხვევაში საქართველოს არაფერი ესაქმება ამ სამიტებთან. მოდერნიზებულმა სახეცვლილმა ნეოიმპერიამ, რომელიც ყოველთვის იყო იმპერია და რომელმაც დაგვმართა ყველაფერი, სადაც რუსი თამადობს და სუფრასთან ჩვენი ადგილი მხოლოდ ისაა, რომ მისი მორჩილი ან საუკეთესო შემთხვევაში ნასუფრალის სუბიექტი ვართ, რა აზრი აქვს ამ ყველაფერს.

საერთოდ, ნებისმიერი ამბიცია ავადმყოფობაა, მაგრამ რუსეთის იმპერიული ამბიცია ვეება პოლიტიკური ავადმყოფობაა, რომელსაც ვერცერთი ვერ გაეცლება, როგორც არ უნდა გარდასახოს იმიტომ, რომ პოლიტიკურ ფენომენოლოგიაში არსებობს ავადმყოფობა, რომელიც საერთოდ სჭირს რუსს, რუსეთელებსა და თვითონ რუსეთს.

სხვას რას უნდა ნიშნავდეს, რომ სამიტი ელცინის ავადმყოფობის გამო გადაიდო. თუ არა იმას, რომ დსთ მისი სტრუქტურაა, რომლის არც ერთი პუნქტი არ მუშაობს, რომელსაც მხოლოდ ერთადერთი მიზანი და მისია გააჩნია, რომ ის სივრცე, რომელსაც ჩვენ ყოფილს ვეძახით, არ იყოს უარყოფილი მათთვის, რომ ყველაფერი მათი გავლენის არეალში იყოს მოქცეული. ეს არის თავი, თორემ ავადმყოფი ელცინი როდის გახდება კარგად და თავის მეუღლეს როდის ეამბორება, ამაზე თუ არის დამოკიდებული სამიტის გამართვა-არ გამართვა, თავისთავად მკრეხელობაა.

**— წლების გამოცდილებამ და შედეგებმა დაამტკიცეს, რომ დღევანდელ მთავრობას არც მშვიდობიანი და არც ძალისმიერი გზით არ ძალუძს დაიბრუნოს აფხაზეთი. თქვენი ფრაქცია რას სთავაზობს ხელისუფლებას და თვითონ ლტოლვილებს?**

— ფრაქციას რისი შეთავაზება შეუძლია. ჩვენი ფრაქცია არ არის პოლიტიკური, ჩვენ სხვადასხვა ძალათა სიმბიოზი ვართ, გაგვაერთიანა იმან, რომ

(გაგრძელება მე-4 გვ.)

მამუკა გიორგაძე:

# „საქართველოში ვინმემ ერთხელ მაინც რაღაცაზე პასუხი უნდა აგოს“



**— პარლამენტის სხდომაზე აჭარაში ჩასულ სამაშველო ჯგუფთან დაკავშირებით გამოწვეულ გაუგებრობაზე რას იტყოდით.**

— ის, რა გაუგებრობაც აჭარაში შსს ნაწილის ჩამოსვლამ გამოიწვია, უსაფუძვლო არ არის, საფუძველი ამას აქვს, არ არის კონსტიტუცია შევსებული თავის დროზე. ხელისუფლებამ, შევარდნაძემ არ გაითვალისწინა ჩვენი მოსაზრებები, რომ ჩვენ ის თავი, რასაც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა ჰქვია, ჩაგვეწერა კონსტიტუციაში, განგვესაზღვრა, თუ როგორ იყოფა საქართველო და განგვესაზღვრა თუ რა ტერიტორიული ერთეულებია საქართველოში, რა სამართალსუბიექტებია ქვეყანაში. განგვესაზღვრა ორივე ავტონომიური რესპუბლიკის ფუნქცია და სტატუსი და შესაბამისად როდესაც ჩვენ ამას გავაკეთებდით, მაშინ აფხაზეთთან ურთიერთობაშიც განსაზღვრული გვექნებოდა თუ რა გვინდა, როგორ გვინდა, როგორ ფუნქციასა და როგორ სტუატუსს ვაძლევთ მას. მაგრამ შევარდნაძემ არ აიღო თავის თავზე, არ შეიწუხა თავი ამ განსაზღვრებით და დატოვა ავტონომიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობა ასეთ სუბიექტურ დონეზე განსახილველად. რა უნდა ქართულ მხარეს, როგორ მიგვაჩნია, რა არის ფართო თვითმმართველობა. ასევე დატოვა

(გაგრძელება მე-3 გვ.)

# შაბათის კომენტარი ორშაბათის რადიოინტერვიუზე

**პრეზიდენტი მართალს ამბობს**

პრეზიდენტმა ამ ინტერვიუშიც არაერთხელ გაახარა მსმენელთა გული იმ წინ გადადგმულ ნაბიჯთა ჩამოთვლით, რაც ჩვენს ქვეყანას ეკონომიკაში აქვს. სახელდობრ:

— იზრდება საბიუჯეტო შემოსავლები. მარტის პირველ ნახევარში საგადასახადო ინსპექციამ „თითქმის რვა მილიონი ლარი“ აკრიფა, სულ ხლის დამდეგიდან მის მიერ „მობილიზებულმა“ 47 მლნ ლარი. საბაჟო დეპარტამენტმა ბიუჯეტში ჩარიცხა 6 მლნ ლარი.

— ამუშავდა რამდენიმე მძლავრი საწარმო (რომელი და რა სიმძლავრისა, მითითებული არაა).

— დაბალი დონე აქვს ინფლაციას.



საფუძველი არა გვაქვს ამ ცნობებს და ამ ციფრებს არ დავუჯეროთ. სამწუხაროდ, მათ არ ახლავს ცნობები შემდეგზე:

— ამავე დროის მანძილზე საქართველოს საგარეო ვალის ზრდა უფრო დიდია, თუ ის თანხა, რაც ბიუჯეტში შემოვიდა? ანუ შენელებულია თუ არა, ინფლაციასავით, საქართველოს გაძარცვის ტემპი?

უპასუხო კითხვებს, რომლებიც უკვე რამდენიმე წელია დგას საქართველოს ხალხის და ხელისუფლების წინაშე, ეს სასიხარულო ცნობები ვერ აუქმებს. სახელდობრ, ვერც აუქმებს და ვერც პასუხს სცემს ორ ძირითად კითხვას:

**პირველი**: როგორ უნდა გასწვდეს ეს მიზერული თანხები, რომლებიც უკეთეს შემთხვევაში, ათეული მილიონობით იზომება, საქართველოს 1992 წლიდან შექმნილი საგარეო ვალის გადახდას, რომელმაც ორ მილიარდს მიაღწია (დოლარებში).

და **მეორე**: როგორ გაჩნდა ეს ვალი (იგი 1992 წელს არ არსებობდა), რომლის ერთი მეოთხედის ტოლი თანხაც კი არ დახარჯულა ამ ექვსი წლის მანძილზე ყველა სახელმწიფო საჭიროებისათვის, ერთად აღებულისთვის, ომის ჩათვლით?

დამაჯერებელია და ფრიად დამაიმედებელია პრეზიდენტის ცნობები თურქეთის პრემიერ მინისტრთან ბატონ ილმაზთან მიღწეული შეთანხმებების შესახებ. შეთანხმება მოხდა, რომ

— აშენდება ბაქო-ყარსი რკინიგზის თბილისი-ახალქალაქი-ყარსი მონაკვეთი

— მოხდება შარაგზის რეკონსტრუქცია სამცხე-ჯავახეთში

— აშენდება ახალი გამშვები პუნქტი თურქეთისაკენ

— მოხდება ბათუმის აეროპორტის რეკონსტრუქცია და იგი საერთაშორისო პორტის დონეზე დადგება

— თურქეთის პრეზიდენტი დასთანხმდა ჭოროხზე ჰესების მშენებლობის პროექტის გადასინჯვას საქართველოს ეკოლოგიაზე მათი გავლენის თვალსაზრისით

ამის გარდა, არის შეთანხმებებიც, რომელზეც ჯერ ვერ ვიტყვით, სასიხარულოა თუ არა. სახელდობრ, სას[illegible] საქართველოში თურქეთის ავიაკომპანიების მოღვაწეობა და თურქული ბანკის გახსნა, რაც, რა თქმა უნდა, საქართველოს ავიაკომპანიების პოზიციების ერთგვარ შევიწროვებაზე მეტყველებს კონკურენტულ ბრძოლაში და, შესაძლოა, ქართული ბანკების პოზიციების დასუსტებაზეც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში. ამ ჯერჯერობით გაურკვეველი კითხვის გარკვევისათვის, ცხადია, საჭიროა პლუსების და მინუსების დაანგარიშება ქაღალდით და ფანქრით ხელში, რაც ქართველ საზოგადოებრიობას არ ძალუძს ამოსავალი ინფორმაციის არქონის გამო. იგივე ითქმის, სამწუხაროდ, ყველა იმ პროექტებზე, რომლებიც მშენებლობასა და რეკონსტრუქციას შეეხება. კარგია ეს პროექტები, ცუდია, თუ „არც ისე კარგია“, როცა საქართველოში ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ახალი ობიექტი შენდება ან მით უმეტეს ექსპლოატაციაში იმყოფება საქართველოს მუშახელისა და მუშატვინის მონაწილეობის გარეშე, მისი მცირე მონაწილეობით ან თუნდაც შეზღუდული მონაწილეობით? როცა მაგალითად, ელსადგურთა და სხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობაში არაა დასაქმებული ქართული კადრი, რომელსაც ამ მხრივ მაღალი კვალიფიკაცია და ძალიან დიდი გამოცდილება აქვს? „ჩამოსაწერია“ ეს კადრი, როგორც თავისი კვალიფიკაციით მოძველებული, გამოსაყენებელია იგი თუ „კვალიფიკაციის კურსებზე“ გასაშვები? ზოგადად ვთქვათ — რა არის ჩვენთვის პრიორიტეტული ამოცანა: **საქართველოს** საწარმოო განვითარება (რაც სიმდიდრის ერთადერთი რეალური და პერსპექტიული წყაროა) თუ საქართველოს **ტერიტორიაზე** საწარმოო ძალთა განვითარება — სულ ერთია, რომლისა — ანუ საქართველოს **ტერიტორიის** ეკონომიკური განვითარება? ამ მიმართულებით ჩატარებული გათვლა და მის საფუძველზე აგებული კონცეფცია საქართველოს ეკონომიკური განვი-

(გაგრძელება მე-3 გვ.)

# გვჭირდება თუ არა სამხედრო აღლუმის ჩატარება?!

1998 წლის 18 მარტს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ვარდიკო ნადიბაიძემ გამოსცა ბრძანება №81 — საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად 26 მაისისათვის აღლუმისა და ჩატარების შესახებ. გავეცანი საალლუმო ვარჯიშების განრიგს, რომელიც უნდა ჩატარდეს ყოველ მეორე დღეს, მარტისა და აპრილის თვეებში საჯარისო ნაწილების ტერიტორიებზე. ხოლო 26 მაისიდან კი ყოველდღე სანაპიროზე. 18 მაისიდან 26 მაისამდე გენერალური რეპეტიცია დანიშნულია რუსთაველის პროსპექტზე. აღლუმზე მონაწილეობა უნდა მიიღოს თითქმის ყველა სამხედრო ვალდებულმა მისდამი დაქვემდებარებული ტექნიკით, აგრეთვე ავიაციამ და საზღვაო ფლოტმა.



რა მოგვიტანა გასული წლის აღლუმმა? რატომ არ გამოვიტანეთ დასკვნა, თუ რა განსაცდელში ჩააგდო სამხედრო სამსახურის თანამშრომლები ასეთი, ჩვენი ქვეყნისათვის გრანდიოზული აღლუმების ჩატარებამ? რა დიდი ხარჯები გასწია თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტმა? რამდენი მილიონი ლარი დაიხარჯა, ყველამ დავინახეთ, თუ რა ტექნიკა გვყავს და რისი შესაძლებლობაც გაგვაჩნია. ნახევრად ჩაცმული, უჭმელი შეიარაღებული ჯარისკაცები აქ ულმერთოდ გაწვალებულები ვერ იმორჩილებდნენ მოძველებულ ტექნიკას. ყოველგვარი სანიტარული ნორმების დაცვის გარეშე. ღონემიხდილმა, ნახევრად მშიერმა, დაღლილმა ჯარისკაცებმა გრიალით ჩაიარეს რესპუბლიკის მოედანთან, სადაც წითელხალიჩით გაწყობილ ტრიბუნაზე მდგომმა ჩვენმა პრეზიდენტმა და მთავრობამ კმაყოფილება გამოხატეს, მტერმა და მოყვარემ მიიღოს ცნობად თუ რა ქართული ჯარი გვყავს და რა ტექნიკა გაგვაჩნიაო, გადაიფრინეს თვითმფრინავებმა და შვეულმფრენებმა. როდესაც ბატონ მინისტრს ვარდიკო ნადიბაიძეს მოახსენეს, რომ ასეთი მასშტაბის ალლუმის ჩატარება დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, მან ყურადღება არ იქცია ეს ნათქვამი და პრეზიდენტი, აიძულა ერთ-ერთი გამოცდილი და სხვებისგან განსხვავებით მართლაც ნამდვილი გენერალი, რომ დაეტოვებინა სამსახური.

შედეგმაც არ დააყოვნა. შარშანდელ აღლუმზე დახარჯული თანხა წინ დაუხვდა თავდაცვის სამინისტროს. ბიუჯეტი განახევრდა, ხელფასების გაცემა მოსამსახურეებზე გაძნელდა. საწვავის მარაგი, რომელიც ნახევარ წელს ეყოფოდათ, თვალს და ხელს შუა გაჰქრა. შემცირდა მედიკამენტების, კვების ნორმები ნაწილებში. ყოფილა შემთხვევა, რომ ჯარისკაცებს სამი თვის განმავლობაში ტკბილი ჩაი არ დაულევიათ, ხორციან სადილზე და კარაქის მიღებაზე ხომ ლაპარაკიც კი ზედმეტია. ასე გრძელდება დღემდე. სამი თვეა ხელვასი არ მიუღიათ სამხედრო მოსამსახურეებს გაჭირვებული ოფიცრების უმრავლესობას და მათი ოჯახების შემადგენლობა უკმაყოფილონი არიან. არის შემთხვევები, როცა თვითმკვლელობით ამთავრებენ სიცოცხლეს.

მე მესმის, რომ აღლუმის ჩატარება საჭირო და თანაც ისეთ დღის აღსანიშნავად, როგორიც არის 26 მაისი, მაგრამ ისმება კითხვა: არის თუ არა სახელმწიფო ჯერ დამოუკიდებელი, მერე კი აქვს თუ არა მას ამის შესაძლებლობა.

მე მინდა ეს წერილი წაიკითხოს პრეზიდენტმა, პარლამენტის ყველა წევრმა და გამოიტანონ დასკვნა, ხომ არ სჯობს ამდენ ხარჯს მოვერიდოთ. თუ ძალიან გვსურს აღლუმი ჩატარდეს, მაშინ ყველა საჯარისო ნაწილმა თავის ტერიტორიაზე აღნიშნოს, ხოლო ამ დღის აღსანიშნავად ქალაქში მოეწყოს საერთო-სახალხო სეირნობა სხვადასხვა ღონისძიებების. მინდა ქვეყნის ხელმძღვანელობას ჩვენი წინაპრების ნათქვამი მოვაგონო: საბანი ისე დაიხურე, როგორც გაგწვდებაო. ამჟამად ჩვენ არა ვართ მზად ასეთი ღონისძიებების ჩატარებისათვის. შევუნარჩუნოთ ისედაც კალორიებგამოცლილი ახალგაზრდების ჯანმრთელობა და მზადყოფნა საომარი მოქმედებისათვის. შევინახოთ საწვავის მარაგი. დროებით ვიყოთ ხელმომჭირნენი და თუ ვიქნებით ვისაც რა აზრი მოეპრიანება, იმისი შემსრულებლები, ტელევიზიით მრავალი სახელმწიფოების აღლუმებს ვადევნებთ თვალს. ისეთი დიდი სიმდიდრის მქონე სახელმწიფო, როგორიცაა ამერიკა, აღლუმს ასეთი სახით არ ატარებს. ნუ ვიქნებით მეტიჩრები. მივხედოთ საკუთარ ხალხს და შევქმნათ პირობები ქართული ჯარის ჩამოყალიბებისათვის.

**გიორგი ჭიხარუდელი**
**18 მარტი 1998 წ.**

# შაბათის კომენტარი ორშაბათის რადიოინტერვიუზე

(მე-2 გვერდიდან)

თარებისა არც პრეზიდენტს, არც ხელისუფლების სხვა ორგანოებს ქვეყნისათვის ჯერჯერობით არ წარმოუდგენიათ და არც მისი წარმოდგენის განზრახვა გამოუთქვამთ. ამიტომ პრეზიდენტის მიერ მოყვანილი და ზემოთ ციტირებული „სასიხარულო“ ცნობები სიხარულისათვის არ კმარა. მათში ჯერ არ ჩანს, რომ საქართველოს განვითარებულ ქვეყნად ქცევის გზაზე დგას. და არა თანამედროვე ტიპის კოლონიად ქცევის ანუ განუვითარებელ ქვეყნად ქცევის გზაზე — ქვეყნისა, რომელიც ძველი ტიპის კლასიკური კოლონიისაგან განსხვავებით, გასაღების ბაზარი, იაფი მუშახელისა და ნედლეულის წყარო კი არაა განვითარებული ქვეყნისათვის, როგორც ადრე იყო, არამედ მხოლოდ ფართობისა, სადაც შეიძლება ა) წარმოება ააგო ეკოლოგიური დაჯარიმების გარეშე, ბ) ნიაღისეული ამოიღო და გ) ტრანსპორტი გაატარო. ეს ეკონომიკური განვითარების სწორედ ის ვარიანტი გახლავთ, რომლის დროსაც ადგილობრივი მოსახლეობა საერთოდ თამაშს გარეთ რჩება ან მხოლოდ დაბალი მომსახურების (მენაგვე, მეძავი...) სფეროში საქმდება.

### პრეზიდენტი ცდება

პრეზიდენტი არა მარტო ცდება, არამედ ბროლის კოშკში გაზრდილი უფლისწულივით იქცევა, წუთისოფლის ვაი-ვაგლახისა რომ ჯერ არაფერი სმენია, როცა იმედოვნებს, რომ მის მოწოდებას, ხეები დავრგათო, ხალხი „აიტაცებს“ და გამწვანების სამუშაოებისაკენ გაეშურება. ასეთი „ენთუზიაზმი“ შეუძლებელია ხალხში, რომლის [illegible] ულია თავისი ორგანოებისათვის (თირკმელი, თვალი...) საზღვარგარეთ ან საქართველოშივე მყიდველი ეძებოს, რომლის 95 პროცენტის ორგანიზმს კალორიების მინიმუმი არა აქვს (ამის მიზეზებზე აქვე ზემოთ უკვე გვქონდა გაკვრით საუბარი) და რომელიც დღეს — პირველად თავის მრავალათასწლიან ისტორიაში — საექსპორტო პროსტიტუციის წყაროდ ქცეულა თავისი ორგული მმართველების „მოლვაწეობის“ წყალობით. ენთუზიაზმი ეგებ შესაძლებელიც იქნებოდა, — მიუხედავად გაჭირვებისა — იმ შემთხვევაში, ხალხს რომ თავის ხელისუფალთა კეთილი ნებისა ანუ მათი პოლიტიკის ქვეყნის სასიკეთოდ და მომავლის სასიკეთოდ მიმართულებისა სწამდეს. ეს, სამწუხაროდ, ასე არ არის, რადგან ამის საფუძველი არ არსებობს. მაგრამ ეს — სხვათა შორის. ახლა ინტერვიუს რამდენსამე უფრო სერიოზულ თემას შევეხოთ.

პრეზიდენტის მიერ მოვლენათა მნიშვნელობისა და წონის არასწორ განსაზღვრაზე მიუთითებს, პირველ ყოვლისა, მისი სიტყვები, „ყველაზე საკვირველი და საწყენი“ ის არის, რომ მოსკოვი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ მოქმედ ტერორისტებს მფარველობსო. გამოდის, რომ ერთი კაცის სიცოცხლის ხელყოფა — თუნდ ის კაცი სახელმწიფოს მეთაურიც იყოს — უფრო დიდი დანაშაულია ერისა და ქვეყნის მიმართ, ვიდრე ამ ქვეყნის წინააღმდეგ სეპარატისტული ომის, გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ორგანიზაცია, მისი მოქალაქეების მრავალი ათასობის მკვლელობის ინსპირაცია, მის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედება დაფინანსება და ტექნიკურ-მატერიალური უზრუნველყოფა, მისგან ტერიტორიების ჩამოცილების სურვილი და მრავალგვარი სასიკვდილო დარტყმის მიყენების მცდელობა, რასაც რუსეთი უკვე მრავალი წელია ჩვენი ქვეყნის მიმართ თითქმის დაუფარავად სჩადის. თუ ამის შემდეგ პრეზიდენტს კიდევ „აკვირვებს“ რუსების მიერ თავისი მოქმედების ნუსხისათვის ტერაქტების დამატებაც, ეს დიდ განჭვრეტისუნარიანობაზე არ მეტყველებს; თუ მას ჰგონია, რომ მკითხველმა რუსეთის ზემოთხსენებული მოქმედება აფხაზეთში, შიდა ქართლში და სხვაგან არ იცის, იგი ცდება; თუ ჰგონია, რომ მსმენელს, მასავით, პრეზიდენტის სიცოცხლის ხელყოფა უფრო „საწყენ“ რაღმე მიაჩნია, ვიდრე გენოციდი და საქართველოს მიწის ხელყოფა, მაშინ იგი ორმაგად ცდება; თუ მსმენელი ჰორიზონტითა და მსჯელობის უნარით იმდენად ჩამორჩენილად მიაჩნია, რომ ამ ორი მოვლენის ლოგიკური დაკავშირება არ ძალუძს, არც ეს დიაგნოზია, საბედნიეროდ, რეალისტური. ხოლო თუ ფიქრობს, რომ გენოციდის ავტორებთან მოფერება, „თქვენი ლამაზი დედაქალაქი ძალიან გვიყვარს და არ გვინდა, იგი „ტერორისტების“ ბუდედ „ჩაითვალოსო“ — ვისმე გულს მოულბობს და პოლიტიკას შეაცვლევინებს, ეს ისეთი გულუბრყვილობა ან გულუბრყვილობის ისეთი სიმულაცია გახლავთ, რომელიც არც სახალხო, არც პროფესიული დიპლომატიის ჩარჩოებში არ ეტევა. გამოდის, რომ თუ რუსეთმა საქართველოს დამსჯელ ორგანოებს იგორ გიორგაძე გადმოსცა, როგორც ჯერჯერობით ხურდა ფულივით გადმოცემულია აბსნაძე და ალბათ იქნება კიდევ ერთიორი სხვა ქართველიც, მაშინ იგი „ნაწყენი“ აღარ იქნება! ეს გულუბრყვილობაზე მეტია. ეს იმათი სისხლის შეურაცხყოფაა, ვინც ან ზვარაკივით დაიკლა უბრძოლველად, ან თავისი ნებით გაწირა თავი სამშობლოსათვის, რომლის



მეთაურმა და მთავარსარდალმა იმ კრიტიკულ მომენტში საომარი მდგომარეობის გამოცხადებაც კი ვერ [illegible] ანუ ქვეყანას, ტელევიზიის ფართო გამოყენებით, ომისთვის ფსიქოლოგიური მომზადების საშუალება არ მისცა. პრეზიდენტის ამ უცნაურ ფორმულირებასთან დაკავშირებით ისიც უნდა შევნიშნოთ ფრჩხილებში, რომ „ტერორიზმის“ და მისი მფარველობის ჩათვლა ნომერ პირველ დანაშაულად დღევანდელ მსოფლიოში არსებულ საერთაშორისო დანაშაულებს შორის ცოტა არ იყოს დროებითი მოვლენაა. დიახ, ტერორიზმისა, დღეს მსოფლიოს ძალიან ეშინია მასთან ბრძოლის დიდი ტექნიკური და განსაკუთრებით ფსიქოლოგიური სირთულეების გამო. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ აგრესია სხვა ქვეყნის წინააღმდეგ, გენოციდის ორგანიზაცია, დანაშაულებრივი შეიარაღებული ამბოხებების ორგანიზაცია უცხო ქვეყანაში და ა. შ. ასეთივე დიდ ან კიდევ უფრო დიდ დანაშაულად არ ითვლება? არა, არ ნიშნავს. ბრუტუსი ტერორისტი იყო დღევანდელი გაგებით, მაგრამ ისტორიას იგი არ შეუჩვენებია. ტერაქტი ჩაიდინა შვეიცარიის ეროვნულმა გმირმა ვილჰელმ თელმა, მაგრამ მას არავინ გმობს. ჩვენ საუკუნეში სომეხთა გენოციდის ყველაზე დიდი ორგანიზატორი ტერაქტით მოკილა გერმანიაში, მაგრამ გერმანულმა სასამართლომ მკვლელი გაამართლა. სულგანათლებულ არსენ ჯარჯიაშვილზე აქ აღარას ვამბობ. რაც შეეხება აგრესიას სხვა ქვეყნის მიმართ, გენოციდს და „დედა-წულის“ ანუ ქალებისა და ბავშვების ჟლეტას, იგი პირველ ნომერ დანაშაულად ითვლებოდა მანამდისაც, სანამ ქიმიური და სხვა მასობრივი ჟლეტის იარაღი შეიქმნებოდა, და ითვლება ახლაც. ასე, რომ პრეზიდენტს სრული საფუძველი აქვს ჩვენი მეგობარი რუსეთის „ლამაზი დედაქალაქი“ იმ შემთხვევაშიც შეიცოდოს, თუ იგი ტერორისტების მფარველად არ ჩაითვლება, აგრესიების დედაქალაქად კი ჩაითვლება.

ყველაზე დიდი თემა საქართველოს პოლიტიკისათვის დღეს ტერიტორიული მთლიანობის თემაა და ბუნებრივია, რომ პრეზიდენტის ორშაბათის რადიოინტერვიუშიც მას მუდმივი ყურადღება ეთმობა. პრეზიდენტი — თუ იგი გულწრფელია, — ამ შემთხვევაში უდიდეს შეცდომას უშვებს, როცა გამოთქვამს იმედს, რომ რუსეთთან მოლაპარაკებას აფხაზეთის პრობლემის გარშემო კიდევ აზრი აქვს მას შემდეგ, რაც წლების მანძილზე რუსეთმა საქართველოს „შეთანხმებების“ ფორმით მომაკვდინებელი დათმობები გამოსტყუა და პრეზიდენტმა „გულუბრყვილოდ“ დაუთმო (სოხუმიდან ტექნიკის გამოყვანით, ენგურზე ჯარების ჩაყენება და უამრავი სხვა რამ მანამდე და მის შემდეგ). „ერთხელ კიდევ განვიხილოთ საკითხებიო“, ბრძანებს საქართველოს პრეზიდენტი. იმაზე რომ რუსეთთან ჩვენი „დიპლომატიის“ მუხლმოყრამ წლების მანძილზე, „ესენგეში“ საქართველოს გაწევრიანების ჩათვლით, საქართველოს **არაფერი** მისცა და რომ რუსეთი **ყველაფერს** აკეთებს საქართველოს საწინააღმდეგოდ, რაც შეუძლია (იმის თქმა კი, რომ აფხაზეთი და შიდა ქართლი საქართველო არაა, მას არ შეუძლია), დღეს ველარავინ იდავებს. მიუხედავად ამისა, საქართველოს პრეზიდენტი კვლავ და კვლავ ერთგულებას ეფიცება მას და საქართველოს კანონიერი უფლებების დაცვის აღდგენის **ყველა** დიპლომატიური და პოლიტიკური საშუალებების გამოყენებაზე უარს ამბობს იმ ერთი მოჩვენებითი დახმარების იმედით ძირითადი მოწინააღმდეგის მხრიდან. რატომ? დროებით თუ უგულებელვყოფთ ჰიპოთეზს, რომ საქართველოს პრეზიდენტი თავისი მთავარი ამოცანით ჯერ რუსეთის მსახურია და მხოლოდ შემდეგ — საქართველოსი (ასეთი ჰიპოთეზა კი, მოგეხსენებათ, არსებობს) და თვით პრეზიდენტის გამონათქვამებში დავიწყებთ ამ უცნაური ქცევის მიზეზის ძებნას, პასუხი ასეთი იქნება: იმიტომ, რომ მსოფლიოში არსებობს რაღაცა ისეთი „რეალიები“ (ანუ ფაქტები), რომლებიც საქართველოს პრეზიდენტს ეროვნული პოლიტიკის გატარებას უშლის. აკი ბრძანა მან (და ამით საზოგადოების დეზინფორმირება მოახდინა), კანონსაწინააღმდეგო გამოთქმას „სამხრეთ ოსეთი“ იმიტომ ვხმარობ, რომ მსოფლიოს ანგარიში უნდა გავუწიოთ. ეს „რეალია“ ის გახლავთ, რომ მსოფლიოში მართლაც არსებობს არა მხოლოდ ქართული ეროვნული სახელმწიფოს, არამედ საერთოთდ ეროვნული სახელმწიფოების წინააღმდეგ მიმართული ძალები, რომლებიც მიისწრაფიან ამგვარ სახელმწიფოთა მაქსიმალური შინაგანი დეზინტეგრაცია მოახდინონ და ხელი შეუწყონ გარკვეული გლობალური პროცესების (მათ შორის — ეკონომიკური პროცესების) დაუბრკოლებელ განვითარებას ეროვნულ სახელმწიფოთა საზღვრების და მათი შინაგანი მთლიანობის სხვა მექანიზმების იგნორირებით. დიახ, ასეთი ძალები არსებობს. მაგრამ განა ისინი **ერთადერთი** არიან, რაც მსოფლიოში არსებობს? სრულებითაც არა! მსოფლიოში არსებობენ, ამის გარდა, ძველი ეროვნული ზესახელმწიფოებიც, რომლებიც მტკიცე ეროვნული სახელმწიფოებრიობის დათმობას ან მასზე ხელის აღებას არ აპირებენ, და ხვალინდელი დღის ეროვნული ზესახელმწიფოებიც (მაგ. ჩინეთი), რომლებიც უსათუოდ მიიღებენ მონაწილეობას მომავალი მსოფლიოს სახის განსაზღვრაში. ასე რომ, — მოგვწონს ეს, თუ არ მოგვწონს, — მსოფლიოს ხვალინდელი დღე კარგი და ავი, დიდი და პატარა, აგრესიული და მშვიდობიანი **ეროვნული** სახელმწიფოების დღეა. შესაბამისად დღეს **ყველანი** — ანუ ყველა სახელმწიფონი და ყველა სახელმწიფოს მეთაურნი — კბილებით იბრძვიან, რათა თავისი ტერიტორიული ერთიანობაც და სახელმწიფოებრივი შინაგანი მონოლითურობაც იმ ხვალინდელ დღეს (როცა სტაბილობა, ცხადია, მეტი იქნება და თოფის გასროლაც შედარებით გაძნელდება) მზა სახით დაახვედრონ. ერთადერთი, ვინც პირიქით, თავისი სახელმწიფოს დეზინტეგრაციისათვის მუშაობს — რადგან იმ წარმავალ „რეალიას“ თავისი არასაკმარისი ისტორიული ჰორიზონტის გამო, მსოფლიო პოლიტიკის მომავალ განმსაზღვრელადაც თვლის და, რუსეთის ყალბი პროპაგანდის შესაბამისად, ევროპის სახელმწიფოთა ურთიერინტეგრაცია ეროვნული სახელმწიფოებრიობის შესუსტების ნიშანი ჰგონია — საქართველოს პრეზიდენტი და მისი პარტიაა. მიზეზი

(გაგრძელება მე-5 გვ.)

## მამუკა გიორგაძე: „საქართველოში ვინმემ ერთხელ მაინც რაღაცაზე პასუხი უნდა აგოს“

(მე-3 გვერდიდან)

ლავირების საშუალება აჭარაში. როდესაც მას სჭირდებოდა ხმები, მაშინ აჭარაში კარგი სიტუაცია, ნორმალური ვითარება იყო. როცა აღარ დაჭირდა აჭარა, მაშინ ჩაითვალა, რომ დროა უკვე შეუტიოს და შიგნიდან დაიწყოს ძირის გამოთხრა. ამის ნათელი დადასტურება ფრაქცია „აღორძინების“ გაყოფა და ნაწილის გადმოსვლა უმრავლესობაში, რასაც ნამდვილად ვერ დავარქმევთ, რომ პოლიტიკური ორიენტაციის გამო გააკეთა ამ ხალხმა. როდესაც ადამიანი იყიდება, ის ყველასთან იყიდება, ყველას შეუძლია მისი ყიდვა. აქედან გამომდინარე ნებისმიერ გაურკვევლობას შეუძლია საკმაოდ დაძაბოს ვითარება. დაძაბვის საფუძველი კი არსებობს. ასე იყო ამ შემთხვევაშიც და თითქოს არცთუ ისე სერიოზული პრობლემა, რომ გარკვეული ჯგუფი აჭარაში ჩასულიყო, სერიოზული კამათის საგანი გახდა. უკვე თავისთავად ის რომ, ყუმბარმტყორცნი ჰქონდა იქ ჩასულ ჯგუფს. (ყუმბარმტყორცნი კი ნამდვილად არ არის სატაბელო იარაღი, ყოველშემთხვევაში მე ვერ დავიჯერებ ამას.) სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა ძირითადი აჟიოტაჟი. შესაძლოა, ვიღაცის გაუფრთხილებლობით, ვიღაცის უყურადღებობით, დაუდევრობით წამოიწყო ეს აჟიოტაჟი და იგი ორივე მხარემ (თბილისმაც და ბათუმმაც) გამოიყენა. ამ შემთხვევაში სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოს, რომ ამ იარაღით არ უნდა მოძრაობდეს ხალხი, მით უმეტეს იმ საბაბით რა საბაბიც მათ თქვეს. (დაძაბული ვითარება ტრასებზე) თუკი პოლიციას ყუმბარმტყორცნის ტარება სჭირდება გადასაადგილებლად, ჩვენ რა ვქნათ მოქალაქეებმა რომელთაც არ გვაქვს ყუმბარმტყორცნები, ჩვენ არ ვიაროთ საქართველოს ტრასებზე? თუ ასეთი დაძაბული ვითარებაა, მაშინ კეთილი ინებე და პასუხი აგე, რატომ არის ასე, რატომ ვუწოდებთ ამ ვითარებას სტაბილურს? რა ექვემდებარება კონტროლს, როცა პოლიციაც კი ტყვიამფრქვევის გარეშე ვერ გადაადგილდება? აქ უკვე ძალზე სერიოზული საკითხები იჩენს თავს. ამ ფონს მიემატა აჭარის დეპუტატთა მხრიდან დაყენებული საკითხი, რომ მათ ჰქონდეთ საშუალება, ჰყავდეთ ვიცესპიკერი. ჩვენ სამი-ოთხი თვის წინ სერიოზულად დავსვით თურმანიძის პასუხისმგებლობის საკითხი. ჩვენი პოზიცია განსხვავდებოდა ფრაქცია „აღორძინებისაგან“. ჩვენ მიგვაჩნია, იმ გამონათქვამებისა და იმ ქმედებების შემდეგ, რომელიც თურმანიძემ გააკეთა, მას არ აქვს მორალური უფლება ამ თანამდებობაზე იყოს. მხედველობაში მაქვს ის, რომ თურმანიძემ ახვლედიანს დაუჭირა მხარი იმაში, რომ როსტომ დოლიძე არის ტერორისტი. სულ ცოტა ხანში აღმოჩნდა, რომ ეს ცილისწამება იყო. თუ კი აღიარებ, რომ ეს ცილისწამებაა და არ არის მართალი. მაშინ კეთილი ინებე და გადადექი თანამდებობიდან. ვიღაცამ რაღაცაზე უნდა აგოს პასუხი. ჩვენ ამ საკითხს ვაყენებთ ყველას მიმართ, საქართველოში, ვინმემ ერთხელ მაინც რაღაცაზე პასუხი უნდა აგოს.

იმ განცხადების შემდეგ, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ამზადებს აჭარაში თავის წარმომადგენლებს და მუშაობენ ვიღაც პიროვნებაზე, არ მიგვაჩნია ჩვენ ეს მართებულად. თუ ეს როგორც თვითონ აცხადებს ჟურნალისტის ნათქვამია, მაშინ ჟურნალისტს პასუხი უნდა მოეთხოვოს, რადგან ეს ძალიან სერიოზული პოლიტიკური პროვოკაციაა. ვიღაცამ პასუხი უნდა აგოს, თორემ ასე მეც შემიძლია ხელი შევახოცო ნებისმიერ ნათქვამზე ჟურნალისტს, მერე ჟურნალისტი იტყვის, არა ბატონო ასე არ ყოფილაო და ასე დასრულდეს ყველაფერი.

(გაგრძელება მე-5 გვ.)

## ახალი ამბები

### სამი მთავარი მოთხოვნა

„სანამ ეროვნული ხელისუფლება არ მოვა ქვეყნის სათავეში, მანამ საქართველოს არაფერი ეშველება - განაცხადა ქართველ ნაციონალისტთა ერთობის მიერ დღეს ჩატარებულ პრესკონფერენციაზე მისმა ლიდერმა გია მამალაძემ და კიდევ ერთხელ გაიმეორა ზვიად გამსახურდიას მომხრე პოლიტიკური ორგანიზაციების ძირითადი მოთხოვნები: 1991-92 წლების მოვლენათა შეფასება; პოლიტპატიმართა საკითხის გადახედვა-გადასინჯვა და მათი გათავისუფლება და, რაც მთავარია, ისეთი საარჩევნო კანონისა და სიტუაციის შექმნა საქართველოში, რომ შესაძლებელი გახდეს ნამდვილად დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. გია მამალაძე თვლის, რომ ამ ფაქტორების გარეშე საქართველოში ყოველთვის დაძაბული სიტუაცია იქნება.

მამალაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღეს საქართველოში არავინ მოუწოდებს სახელმწიფო გადატრიალებისაკენ, თუ არა მხოლოდ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების აგენტები, მაგრამ აქვე არ გამორიცხა დამშეულ პენსიონერთა სტიქიური მოძრაობის მოწყობის შესაძლებლობა, რომელსაც, შესაძლოა, სტუდენტებიც შეუერთდნენ.

„ძალზე ძნელია ქართველის გადაგვარება. მშიერიც რომ იყოს, თავს მაინც ამაყად მოგაჩვენებს. „ძონძებში ყიდულობს ტანსაცმელს, მაგრამ კარგად აცვია. ამდენად, უფულო ახალგაზრდამ მდიდარი და მანქანიანი თანატოლი შეიძლება გაგულისებულმა დაჭრას კიდეც, რითაც ისარგებლებენ უცხოეთის სპეცსამსახურები. გამოსავალი კი ეროვნული იდეოლოგიის დამკვიდრებასა და ნაციონალური ორიენტაციის პოლიტიკურ ძალთა ერთობაშია - თვლის ქართველ ნაციონალისტთა ერთობის ლიდერი და მის კოლეგას ზაზა ვაშაყმაძეს, გაერთიანების შემთხვევაში, მოადგილეობას სთავაზობს.

ერთიანი ნიადაგის თეორიასა და მსგავსი პოლიტიკური ძალების გაერთიანების იდეას დაუჭირა მხარი გამგეობის წევრმა გია ბუმბიაშვილმაც.

### აბსანძეს 180 მილიონი „დაუთვალეს“

საქართველოს ყოფილი ფინანსთა მინისტრი, გურამ აბსანძე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მეხუთე იზოლატორში მოათავსეს.

როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე საქართველოს გენერალურმა პროკურორმა, ჯამლეთ ბაბილაშვილმა განაცხადა, აბსანძე ძებნაში იყო 1992 წლიდან სახელმწიფო ქონების დიდი რაოდენობით დატაცებისა და სხვა მძიმე დანაშაულების ბრალდებით.

„თავისი მოქმედებებით მან სახელმწიფოს 180 მილიონი აშშ დოლარის ზარალი მიაყენა“ — აღნიშნა ბაბილაშვილმა. მისი თქმით, გამოძიებამ დაადგინა, რომ აბსანძე 9 თებერვალს განხორციელებული ტერაქტის ერთ-ერთი მთავარი დამფინანსებელი იყო.

როგორც პრესკონფერენციაზე გამოსულმა სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა, ჯემალ გახოკიძემ აღნიშნა, „აბსანძემ და მისმა თანამზრახველებმა მოსკოვში შექმნეს საკოორდინაციო საბჭო, რომელიც ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეთაგან შედგებოდა, გამოუშვეს გაზეთი, რომელიც თბილისში ვრცელდებოდა.

აბსანძის დაპატიმრება არაფრით არ ხერხდებოდა, რადგან მას რუსეთის მოქალაქეობა გააჩნდა. შინაგან საქმეთა მინისტრის, კახა თარგამაძის თქმით, „თვით რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა მინისტრის დახმარებით შესაძლებელი გახდა იმის დადგენა, რომ აბსანძეს ყალბი მოქალაქეობა ჰქონდა.

გეა

გერმანე ფაცაცია:

# ვინ არის იგი მესამე, მითხარი, შენი კვნესამე!.. თორემ კიდევ გაცოცხლდება სტალინი და იტყვის: არ არის ადამიანი — არ არის პრობლემა...

(მე-2 გვერდიდან)

აფხაზეთიდან არჩეული დეპუტატები ვართ. ეს რომ პარტიული ნიშნით შექმნილი ფრაქცია იყოს, მაშინ მას აფხაზეთიც არ ერქმეოდა. ამ მცნებას თავისთავად პარტიული ატრიბუტი არ გააჩნია, გარდა იმისა, რომ ამ სახელით ჩვენ დღენიადაგ ვახდენთ კონსტატირებას — აფხაზეთი არსებობდა, არსებობს და



ჩვენთვის ხვალ ისევ უნდა იარსებოს.

ფრაქციას შეუძლია პარლამენტს წარუდგინოს პოლიტიკური გადაწყვეტილებების პროექტი... არაერთგზის გაგვიკეთებია ეს, მაგრამ ბჭობის საგანი არასოდეს გამხდარა, ფრაქცია კი თავისთავად ვერცერთ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს. ჩვენი ნებისმიერი ქმედება სურვილის დონეზე რჩება... პარლამენტში გადაწყვეტილებას უმრავლესობა იღებს და მიიჩნევს, რომ ჩვენი შეთავაზება ნაჩქარევია. ჩვენ არ ვიცვლით პოზიციას და პრინციპებს, რადგან მათი რეალიზაცია მიგვაჩნია ხსნის გზად. წლები კი გადის... ღმერთმა ქნას, მალე მივიდეთ, მაგრამ ასეთი ტემპით, როგორითაც ჩვენ პოლიტიკური გადაწყვეტილების მისაღებად ვმოძრაობთ, საბოლოო ჯამში დაგვტოვებს დევნილთა არარსებობის რეჟიმში, რადგან მიზეზთა და მიზეზთა გამო ჩვენ კი არ ვმრავლდებით, არამედ მხოლოდ ვიხოცებით. ცოტა ხანში ცხადია, აღარ ვიარსებებთ, მაშინ კიდევ ერთხელ გაცოცხლდება სტალინი, რომელიც იტყვის: არ არის ადამიანი — არ არის პრობლემა.

**— ცოტა ხნის უკან აფხაზეთში თვითმმართველობისა და ადგილობრივი ორგანოების არჩევნები ჩატარდა. როგორია თქვენი კომენტარი?**

— დღევანდელი აფხაზეთის სინამდვილეში არაფერი არ ხდება იმიტომ, რომ ჩვენ იქიდან გაგვრეცხეს მხოლოდ ეროვნული ნიშნით. იქ დამოუკიდებლად არაფერი არ კეთდება, ყველაფერი ხდება მხოლოდ რუსეთის კარნახით. არანაირი ადგილობრივი, ლოკალური, თუნდაც ეთნიკური ნიშნით პოლიტიკური ელიტა არ არსებობს. ისინი გვაჩვენებენ: ჩავატარეთ ერთი არჩევნები, მერემეორე, ავირჩიეთ პრეზიდენტი, ვატარებთ ადგილობრივ არჩევნებს... თქვენ წარმოიდგინეთ, გალის რაიონი არ განიხილება იმიტომ, რომ იქ ეთნიკურად არასოდეს არ უცხოვრია არაქართველს. ასე ვთქვათ, „დემოკრატიული პროცესები" მიმდინარეობს „ქართველ მტარვალთაგან" განთავისუფლებულ აფხაზეთში...

ასეთ ზნედაცემულ, ურცხვ და მკრეხელურ პოლიტიკას ახორციელებს რუსეთი და ვინ არის აფხაზი — რუსეთის პაიკი, რომელიც ბრწყინვალედ თამაშობს იმ როლს, იმპერიამ რომ დააკისრა.

სხვათა შორის, რამდენიმე საერთაშორისო გადაწყვეტილებაში მსგავსმა შეფასებამ გაიჟღერა, რომ აფხაზეთში შენდება დემოკრატიული ინსტიტუტი. ეტყობა, ჩვენი საშველი მხოლოდ ზეცად არის.

**— როგორ ფუნქციონირებს აფხაზეთის საგადასახადო სტრუქტურები. როგორ დგება მათი ბიუჯეტი და შემდგომ მისი გადანაწილება?**

— მე მხოლოდ ვიცი, რომ არის მრავალი ხამინისტრო და დეპარტამენტი მინისტრთა საბჭოს სტრუქტურაში, ასე ვთქვათ, ისინი ძალზე ცივილიზებულად არიან განამზადები იმისათვის, ხვალ და ზეგ რომ მოხდეს აფხაზეთის დაბრუნება, ეს ინსტიტუტები იქ იმუშავებენ.

ის, რომ ლეგიტიმური სტრუქტურები შენარჩუნებულია, ცხადია, პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს, იმიტომ, რომ [illegible] ხელისუფლების კვალიფიკაცია და პრაქტიკულად ასეცაა. ჩვენც ამომრჩევლებთან ერთად ვართ გამოყრილები და ვის როგორ მოსწონს და არ მოსწონს ამ ინსტიტუტების მუშაობა, თავისთავად არის ფაქტორი იმისა, რომ ჩვენ დღეს არაოკუპირებულად წოდებული საქართველო თუ ქართველები ვერასოდეს ვერ შევეგუებით უაფხაზეთობას...

რაც შეეხება ისეთ „მომხიბლავ" სტრუქტურას, როგორიცაა საგადასახადო, კონკრეტულად ვერაფერს მოგახსენებთ, ალბათ ისინიც იმ რეჟიმში არიან, როგორშიც ამგვარი სამსახურები ფუნქციონირებენ და ალბათ, იქაც ისეთივე ლტოლვაა. იქ მოხვედრისათვის, როგორც ცენტრალურ სტრუქტურებში, რამეთუ ფულთან სოცირებს ყველაფერი, მაგრამ რას ვაწარმოებთ, რას ვაკეთებთ, როცა საქართველოში ყველაფერი მკვდარია?!..

**— როგორ კონტროლდება სახელისუფლებო სტრუქტურებში ლტოლვილებისადმი ჰუმანიტარული დახმარების საკითხები?**

— ჰუმანიტარულ დახმარებაზე ცხადია, გაკეთდა მილიონები. თუმცა ამ დახმარებით ჩვენი დევნილები არა მხოლოდ სარგებლობდნენ, მათ პრაქტიკულად ამით ფიზიკურად გადაირჩინეს თავი; გეხსომებათ, რა გაუსაძლისი წლები იყო აფხაზეთის დაცემის შემდგომ. ლტოლვილები სადაც შეფარებულნი არიან, იმ ოჯახებსაც კი ეხმარებოდნენ.

ახლა რატომღაც ჩავთვალეთ, რომ უკვე ვართ ის სახელმწიფო, რომელსაც ბიუჯეტი გააჩნია. რა ბიუჯეტია ეს, რითაც შეიძლება 24 საათი იარსებოს ადამიანმა საუზმის დონეზე, ეს ხომ მიზერის მიზერია. არ ვიცი, ვისი ან რისი წყალობაა ეს. იმის მაგივრად, რომ ხელისუფლება ზარებს არისხებდეს, ხალხი შიმშილით გველუპებაო, შეწყდა ჰუმანიტარული დახმარება. ალბათ, კუდაბზიკობის ამბავია, თითქოს უკვე სახელმწიფოს დავემსგავსეთ. მოგეხსენებათ, ჩვენ განვითარებადი ქვეყნის სტატუსი გვაქვს, რომელსაც რაღაც პრიორიტეტები გააჩნია. მე, მაშინაც და ახლაც მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ ჩვენ განუვითარებელი ქვეყანა ვართ ჯერ-ჯერობით და საერთოდ, ქვეყანა, რომელიც მოწყვეტილი ოკუპირებული ტერიტორიების რეჟიმში ცხოვრობს, შორს დგას ნებისმიერი სტაბილურობისაგან.

**— ბ-ნო გერმანე, რას ნიშნავს კაკუბავას მოძრაობა? ჩვენში ხომ არ ყალიბდება კიდევ ერთი „იზმ"-ზე დამთავრებული მიმდინარეობა, როგორც „ბორისიზმი" ან „კაკუბავიზმი?"**

— თქვენ, ცხადია, საკოორდინაციო საბჭოს ეგიდით მიმდინარე აქციას გულისხმობთ. თუ შეიძლება მოძრაობა ეწოდოს, მან ვერ მიიღო ვერანაირი მასშტაბები. თქვენ წარმოიდგინეთ, როდესაც ჩვენ გასული წლის მარტში გვქონდა შიმშილობის აქცია, გარეგნულად მაინც იგრძნობოდა ერთსულოვნება პროტესტის, ერთად დავდექით და ვთქვით, რომ ვახდენთ ყველაფრის დაწყებას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე, წარმოუდგენელი სიმრავლის ხალხი დაგვიდგა მაშინ. ჩვენ ჩავატარეთ ეროვნული ყრილობა, მივიღეთ უამრავი რადიკალური რეზოლუცია, მაგრამ როდესაც საკოორდინაციო საბჭომ დაიჭირა არა კოორდინირების, არამედ დაშლისა და დაპირისპირების პრინციპული პოზიცია, დარჩა ერთი მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელიც ვერ ძლებს ვერანაირ მასშტაბებში.

მე არაერთგზის მითქვამს და ვამბობ, ჩვენში მაქსიმალურად უნდა დათრგუნულიყო სოციალური პროტესტი. მიუხედავად იმისა, რომ შიმშილით ვიხოცებით, რათა ეძალა პოლიტიკურს. ჰუმანიტარულ დახმარებაზე ზემოთ ვისაუბრეთ, მაგრამ ეს ის პერიოდის იყო, როდესაც დახმარება შემოდიოდა იმ ოდენობით, რომ თუ ერთი დღე დაუგვიანებდი, უკვე ამაზე იყო ყველაფერი დამყარებული და ცნება „აფხაზეთი" გარეცხილი იყო დევნილი მოსახლეობის ცნობიერებიდან. მე ღრმად მწამდა, რომ იძალებდა პოლიტიკური პროტესტი, აბსოლუტურად დაუმორჩილებელნი გავხდებოდით, მთელს სამყაროს ვაჩვენებდით ჩვენში პოტენციალურად არსებულ ჭეშმარიტებას, რომელიც ვერ დაიფარა და გამომზეურდა, მაგრამ საკოორდინაციო საბჭომ აქცენტები ძირითადად სოციალურ პრობლემებზე გადაიტანა. როგორც ყოველთვის, ისევ ვიმეორებ, რომ გაცილებით საშიში და არაფრის მომტანია სოციალური პოპულიზმი, ვიდრე პოლიტიკური.

**— თქვენ წყენებისა და წარსულის დაკონსერვება ახსენეთ. საკოორდინაციო საბჭოს ნებისმიერ სხდომაზეც იგივე გაისმის კაკუბავას მხრიდან. დრო გადის, უმთავრესი იდეა უცვლელია, ძალები კი ერთიათად იყოფა და იხლიჩება. რა ხდება?**

— ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს...

**— როგორ უყურებთ ლტოლვილებისადმი არაერთგვაროვან მიდგომას?**

— არაერთგვაროვანი მიდგომა არ არსებობს. საქართველოში ყველაფერი მართვადია. როდესაც ხდება საშინაო, გაუგებარი ინციდენტი, ავტორი ყოველთვის ხელისუფლებაა და არა მოსახლეობა. არა აქვს მნიშვნელობა იგი რაიონულია, საქალაქოა, ადგილობრივი თუ ცენტრალური. ასე რომ, თბილისელობისა და სოხუმელობის გულისთვის ხალხი ერთმანეთს არ დავუპირისპირდებით. ეს ვიღაც მესამეა, მოხელე თუ ჩინოვნიკი...

ესაუბრა
**ხათუნა ხატიაშვილი**

მიკროავტობუსების მძღოლთა საყურადღებოდ

## მერია სამარშრუტო მიკროავტობუსების რაოდენობის შემცირებას აპირებს...

ახლო მომავალში თქვენს წინაშე უამრავი მწვავე პრობლემა იჩენს თავს. ქალაქის მერიას სურს მიიღოს გადაწყვეტილება ქალაქში სამარშრუტო მიკროავტობუსების რიცხვის შემცირების შესახებ, სანაცვლოდ კი თავიანთი ინიციატივით საზღვარგარეთიდან შემოყვანილი 200-მდე ავტომანქანის ამუშავება. ქალაქის საგზაო პოლიციას გეგმაში აქვს სხვადასხვა ხაზების, მიმართულების შეცვლა ქუჩაში მოძრაობის განტვირთვის მიზნით, აგრეთვე (ქუჩაში) მიკროავტობუსების მგზავრთა სურვილის მიხედვით გაჩერების აკრძალვა, მიკროავტობუსების მგზავრებს აიყვანენ იმ ადგილებში, სადაც ოფიციალურად ჩერდება საზოგადოებრივი სხვადასხვა სახის ტრანსპორტი. თქვენ გაქვთ უამრავი პრობლემური საკითხი კომპანია „თბილტრანსთან" ურთიერთობისას. სამარშრუტო ბარათის გაგრძელება, ახალი ბარათის ამოწერა, ათასგვარი ბიუროკრატიული ბარიერის გადალახვა. ყველაფერი ამის და ნებისმიერი თქვენს წინაშე მდგომი პრობლემის გადასაწყვეტად ყალიბდება საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის ძირითადი მუშა ბირთვი იქნებით თქვენ. ამ ორგანიზაციის სახელწოდებაა „მძღოლთა უფლებების დაცვის რესპუბლიკური ასოციაცია". ასოციაციას ექნება ფონდი, საიდანაც ყველა მძღოლი მიიღებს მატერიალურ დახმარებას საკუთარი ავტომანქანის დაზიანების, ანდა სხვა პრობლემის მოწესრიგებისათვის.

ასოციაცია აღჭურვილი იქნება კომპიუტერული ტექნიკით, შესაფერისი იურიდიული სამსახურით და ტრანსპორტის გამოცდილი სპეციალისტებით; მოკლედ, თქვენი პრობლემა ჩვენი პრობლემაა. ნებისმიერი სოციალური საკითხი, რომელიც თქვენს წინაშე დაისმება, ჩვენი გადასაწყვეტი იქნება; ჩვენ ვიქნებით შუამავალი თქვენსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის.

მოგმართავთ, გახდით ჩვენი ასოციაციის წევრები. თქვენ მიიღებთ ასოციაციის წევრობის დამადასტურებელ მოწმობას. ასოციაციის ფონდს გააკონტროლებს სარევიზიო საკონტროლო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ ხაზის ბრიგადირები.

საწევრო შემოსატანი მიზერულია — თვეში 50 თეთრი თითოეული მძღოლიდან.

ჩვენ გპირდებით გვერდში დგომას, დახმარებას ყველანაირი პრობლემის გადაჭრაში, სამაგიეროდ, ყურადღებაა საჭირო თქვენი მხრიდანაც, კერძოდ, სწრაფი გაწევრიანება და ხელმოწერების შეგროვება ასოციაციის ჩამოყალიბებისათვის. შეკრების ადგილს და მისამართს გაცნობებთ გაზეთ „საქართველოს" საშუალებით, აპრილის პირველ რიცხვებში.

პატივისცემით
**ასოციაციის საინიციატივო ჯგუფი**

წერილი სანკტ-პეტერბურგიდან

## „მე თქვენს ისტორიას ერთი ნაყინი მირჩევნია"

### ანუ ცხოვრება სანკტ-პეტერბურგელ ქართველთა

სანკტ-პეტერბურგში კარგა ხანია ვცხოვრობ. დავდივარ იმ ქუჩებზე, სადაც დადიოდნენ ჩემი დიდი წინაპრები. ხშირად ვათვალიერებ უნივერსიტეტს, სადაც მხვდებიან ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ნიკო მარის, დავით ჩუბინაშვილის, სიმონ ყაუხჩიშვილის, აკაკი შანიძის, კონსტანტინე გამსახურდიას და სხვათა ლანდები. ერთ-ერთ დარბაზში ვნახე ახალგაზრდა ილიას სურათი. მომავალი კლასიკოსი რუს და პოლონელ სტუდენტებთან ზის და შორს იმზირება. სურათმა ახლებურად წამაკითხა ილიას შემოქმედება. იგი აკრიტიკებდა ლუარსაბ თათქარიძესა და მისთანებს, რომელთათვის მარტო კუჭის პრობლემები არსებობდა, სხვა დანარჩენისათვის ეს ხალხი კაპიკს აღარ გადადებდა.



დღევანდელ სანკტ-პეტერბურგში ჩემი თანამედროვე ილია და ვაჟა არ ცხოვრობენ, სამაგიეროდ შეხვდებით ქართველ ფატმანებს, რომლებიც თუ ძალიან ფრთხილად არ იქნები, კაპიკს არ შეგარჩენენ ჯიბეში.

საახალწლოდ ბათუმელმა ბიჭებმა მანდარინი ჩამოიტანეს პეტრეს ქალაქში. დახვდნენ სტუმრებს ფატმანი და მისი ძმაბიჭები, ჩაბარების პრობლემები აგრეთვე „მოუხსნეს" გულუბრყვილო ქართველებს. სულ 35 ათასი დოლარის მანდარინი იყო ჩაბარებული! ფულს დღესაც ელოდებიან ჩვენი ახალგაზრდა ბიზნესმენები.

ვაჭრობა მე სათაკილო საქმედ არ მიმაჩნია. განა ვაჭრობა ეუხერხულებოდათ მიტროფანე ლაღიძეს, პეტრე ანჩაბაძეს, ლაზარე ბროდსკის, ნიკოლოზ სმეცკონს და სხვებს, რომლებმაც სამშობლოს გალამაზებას მილიონები შესწირეს?

პიტერელი ქართველობა მარტო ვაჭრობით როდი სუნთქავს. აქ შეხვდებით კალატოზებს, მლებავებს, სანტექნიკოსებს, ზეინკლებს, რომელთა ოსტატობა ცნობილია ქალაქს გარეთაც. აქვე არიან ლიტერატორები, ისტორიკოსები. მათი კალამი არ ისვენებს. ლიტერატურულმა წრემ, რომელიც ჩამოყალიბებულია ქალაქში, გადაწყვიტა წიგნის გამოცემა ქართველ ემიგრანტებზე, მაგრამ ჯერ მხოლოდ წიგნის ოცნება ჩუხჩუხებს, რადგან წიგნის გამოცემას სოლიდური თანხა სჭირდება.

ბატონი ლუარსაბ თათქარიძე ან ქალბატონი ფატმანი დადებენ ორიოდე კაპიკს?

საეჭვოა.

ლიტერატურულმა წრემ უკვე შეადგინა სია იმ ქართველებისა, რომლებიც თითქმის სტაბილურად ცხოვრობენ სანკტ-პეტერბურგში. წრის წევრები ჩამოუვლიან ჩვენს თანამემამულეებს და თხოვენ ორიოდე კაპიკის გაღებას ქართველ ემიგრანტთა შესახებ წიგნის შექმნაზე.

დაძალებას ადგილი არ ექნება. იტყვის მავანი, არ მინდაო, მორჩა და გათავდა, ლიტერატურული წრე იხურავს ქუდს და მიდის წინ, ხალხის მეტი რა არის?

ერთ ჩვენებურს ვუთხარი, ასეთ წიგნს ვამზადებთ და ვუგზავნით გამომცემლობას-მეთქი.

ვინ წაიკითხავსო, მიპასუხა იმ ჩვენებურმა! შენისთანა ჩერჩეტმა რა იცის ხურმა რა ხილია, წიგნი განძია, ისტორიაა, ქებაა ან ლანძღვაა პიროვნებისა, გნებავთ საზოგადოებისა-მეთქი.

ჰო, წერეთ, ბატონებოო, მე მაგ ისტორიას ერთი ცალი ნაყინი რომ მაჩუქოთ, ის მირჩევნიაო, თქვა იმ კაცმა და წავიდა.

კიდევ კარგი, რომ წავიდა, თორემ მეტს ვიტყოდი და ნერვებს ავიშლიდი.

ასეთებს არ უნდა ელაპარაკო ერის გასაჭირზე, საზოგადოების საერთო ტკივილებზე, სიკეთის ქნაზე, რადგან მათ არ იციან, თუ რა არის სიკეთე, საზოგადოების ტკივილი, ერის გასაჭირი.

ლიტერატურული წრე თითოეული ქართველის პორტრეტს დახატავს ფოტოაპარატის სიზუსტით. მჯერა, იქნებიან მომდურავნიც, მაგრამ გვეყოლება მადლიერი ხალხიც, რომელიც გაიღებს მცირე სახსარს და დაგვეხმარება წიგნის გამოცემაში, თუმცა ჩვენ რისთვის დაგვეხმარება, საკუთარ თავს დაეხმარება, საკუთარი ბიოგრაფიის შექმნას შეუწყობს ხელს.

გინახავთ ვინმეს ფოტოგრაფის მლანძღავი კაცი? ჩვენ არ გვინახავს, რადგან ჭკვიან აპარატს ქაღალდზე გადააქვს ის სახე, რომელიც აქვს ლინზის წინ დამდგარ პიროვნებას.

ანომალიები გამორიცხული არ არის, მაგრამ რა გაეწყობა?

**იპოლიტე გამსახურდია, საერთაშორისო ჟურნალისტი, ფინეთის ყურე მარტი, 1998 წელი**

**P. S. თუ ძვირფასი რედაქცია მოისურვებს ამ წერილის გამოქვეყნებას, ჩვენ ვპირდებით პერიოდულად მიწოდებას მცირე ზომის ნარკვევების, სადაც აისახება პეტერბურგში მცხოვრებ ქართველთა ცხოვრება.**

წერილის პასუხი სასურველია გაიგზავნოს მისამართზე.

199155 სანკტ-პეტერბურგი, ჟელეზნოვოდსკაიას ქ. 26, ოთ. 86
ნინო გულედანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შაბათის კომენტარი ორშაბათის რადიოინტერვიუზე

(მე-3 გვერდიდან)

ერთი ორთაგანია: ან იგი, როგორც ვთქვით, პროცესთა სიღრმეში ვერ იხედება და ე. წ. „მორიგ ფრაზებს“, რაც დიპლომატიის ასპარეზზე ისმის, ვერ ასხვავებს პოლიტიკისათვის მართლაც ფუძემდებელი პრინციპებისგან, ან ზემოხსენებული მძიმე ჰიპოთეზა სწორია და პრეზიდენტი მართლაც უცხო ქვეყნის ინტერესებში მოქმედებს. ეს რომ სამწუხაროდ **ზოგჯერ მაინც** ფაქტია, საადვო არ გახლავთ. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პრიმაკოვი დღეს ღიად ამბობს (და მისი ქვეყნისთვის ეს დიდი პლუსია), რომ რუსეთს ყოფილ სსრკ ტერიტორიაზე სტაბილურობის დაცვის პასუხისმგებლობა აწევს. ეს „პასუხისმგებლობა“, ფუნქცია თუ უფლება მას **პირველმა** მისცა საქართველოს მაშინდელმა მმართველმა შევარდნაძემ 1992 წლის 24 ივნისს, როცა შიდა ქართლში „სამშვიდობო“ მიზნით რუსეთის ჯარის შემოყვანის კაბალური შეთანხმება დადო.

**პრეზიდენტი მართალს არ ამბობს**

თუ ზემოთ მოცემული ანალიზი პრეზიდენტის ორშაბათის გამოსვლისა სწორია, მაშინ პრეზიდენტი თავის რადიოინტერვიუში ჭეშმარიტებას ყველაზე მეტად იქ შორდება, სადაც ამბობს „საქართველოს პრეზიდენტი მწყობრშია და კვლავინდებურად მზად არის შეასრულოს პრეზიდენტის უპირველესი მოვალეობა, დაიცვას ქვეყანა მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების ყოველგვარი ხელყოფისგანო“. როგორც დავინახეთ, საქართველოს პრეზიდენტი ამას არ აკეთებს და ვერ აკეთებს. მაგრამ ამის გარდა ინტერვიუში არის ერთი, რბილად რომ ვთქვათ, არაჭეშმარიტი დებულებაც, რომელსაც პრზეიდენტი ძალიან ცუდი პრაქტიკული დასკვნისათვის იყენებს. იგი ბრძანებს, „ქართული დემოკრატიული სისტემა დღეს რეალობაა“ და ამიტომ ტელევიზიის პირველი არხი სხვა არასაპარლამენტო თემებს უნდა დავუთმოთ, პარლამენტის სხდომათა გადაცემა „კავკასიის“ არხზე დავსვათ, კავკასია კი — თითქმის ერთადერთი თავისუფალი ტელევიზიაა, რომელიც არსებობს — პრაქტიკულად სულაც გავაძევოთ ჩვენი დემოკრატიული ეთერიდან ანუ სხვა, მისთვის არასასურველ თავისუფალ ადგილას ჩავსვათო. საქართველოში რომ დემოკრატია არ არის, ეს ყველა მოქალაქემ საკუთარი გამოცდილებით იცის, ვინაიდან ყველას ჰყავს ნაცნობი ან მეგობარი, რომელიც ან პატიმრობაში გალახულა (და წამებულა) ან სამართალდამცავი ორგანოებისგან დაჩაგრულა, ან სახელმწიფო აპარატთან შეზრდილი მაფიებისა თუ ბიოროკრატიისაგან შევიწროებულა ამა თუ იმ არადემოკრატიული „პროცედურით“. ძირითად საინფორმაციო საშუალებასაც — ტელევიზიას — ყველანი საკუთარი თვალით ვუყურებთ (თუ დენი გამოთიშული არ გვაქვს) და ვიცით, რამდენად „დემოკრატიული“, სიმართლის მთქმელი და ეროვნული ინტერესების დამცველია იგი. „დემოკრატიის“ დამოწმებით „კავკასიის“ განდევნა ეთერიდან მეტისმეტად თეთრი ძაფით შეკერილი ილეთი გახლავთ.

**შემატკივარი**



# მამუკა გიორგაძე: „საქართველოში ვინმემ, ერთხელ მაინც, რაღაცაზე პასუხი უნდა აგოს“

(მე-3 გვერდიდან)

აფხაზეთთან ომი წავაგეთ, კაციშვილი არ დასჯილა, კორუფციის ამხელა მასშტაბებია, კაციშვილი არ ისჯება. ამდენი კანონის დარღვევაა, კაციშვილი არ ისჯება, რაღაც უნდა მოხდეს სახელმწიფოში. მე არ ვამბობ იმას, რომ ამ სიტუაციაში სურმანიძე იყოს განტევების ვაცი, მაგრამ ვიღაცა ხომ უნდა დაისაჯოს. ასევე დავაყენეთ ლეკიშვილის, ჯავახიშვილის, ნადიბაიძის პასუხისმგებლობის საკითხი. დავუბრუნდეთ სურმანიძეს. როგორც აღვნიშნე მისი პასუხისმგებლობის საკითხი ჩვენ ოთხი თვის წინ დავაყენეთ და ჩვენი მოსაზრებები „აღორძინების“ მოსაზრებებს დაემთხვა. როდესაც ასეთი სერიოზული პრობლემა შეიქმნა, ჩვენ შევთავაზეთ სურმანიძეს, კაცურად ადექი და გადადექი. მით უმეტეს, რომ შენ ხარ დამნაშავეც. თუ შენს მილმა ხდება ეს პროცესები, მაშინ გასაგებია, თუ შენ ხარ მონაწილეც და დამნაშავე მაშინ კეთილი ინებე და გადადექი, რომ ამან არ გამოიწვიოს გაურკვევლობა. შევთავაზეთ, „მოქალაქეთა კავშირსა“ და „აღორძინებასა“, რომ გაერკვიათ რაღაც საკითხები. არ შეიძლება, რომ შევარდნაძე აქებდეს აჭარაში მიმდინარე პროცესებს და ბარამიძე აგონებდეს. ეს თამაში, ხომ ყველამ ძალიან კარგად ვიცით, თუ ამით გონიათ, რომ რუსული პოლიტიკა გაქრის, არ გაქრის, დღეს ვერავინ ვერავის ვერ მოატყუებს. ყველამ ძალიან კარგად იცის, იმ სხდომაზე თუ ვინ რომელ მხარეს აღმოჩნდა. ეს ყველაფერი არის თავიდანვე ღიად გასაანალიზებელი, მიგვაჩნია, რომ უნდა დავჯდეთ და უნდა ვთქვათ რა პრობლემაა აჭარაში, უნდა ვისუბროთ ამ პრობლემაზე, როგორ მოვაგვაროთ იგი. ათვლის წერტილი ხომ გვინდა, რომ შევაფასოთ ამა თუ იმ სიტუაიცაში ვინ არის მტყუანი და ვინ არის მართალი და ეს ყველაფერი უნდა მოხდეს კანონთან მიმართებაში. კანონის მიღება ცენტრალურ ხელისუფლებას არ უნდა, ეს ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა, წარმოდგენა იმისა, რომ თბილისში უკეთესადაა საქმე და ბათუმში უარესად, მცდარია. თბილისშიც და ბათუმშიც ერთი და იგივე პრობლემებია. იგივე სოციალური საკითხებია, იგივე პოლიტიკური საკითხებია. რადგან უფრო მეტი საშუალება გაქვს და უფრო მეტად მიგიწვდება ხელი ინფორმაციულ საშუალებებთან, ამიტომ მართალი არ ხარ. უმრავლესობა რომ ხარ ეს კი არ ნიშნავს, რომ მართალი ხარ, არის სალი აზრი და ისე გავაკეთოთ, რომ სანამ საქმე გაფუჭდება, მანამდე უნდა მას შველა და იმიტომ, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე გარანტირებული არ გაქვს აჭარის ხმები. არ შეიძლება უჩიჩხინო აჭარას მაშინ, როდესაც საქართველოში ისედაც ბევრი პრობლემაა. ჩვენ პრიორიტეტები უნდა განვსაზღვროთ და რაც პირველი რიგის ამოცანაა, იმას მივაქციოთ ყურადღება. მეორე, მესამე და მეათე ხარისხის პრობლემები მოიცდის, მასზე შეიძლება თვალის დახუჭვა, მაგრამ პირველ რიგში გადასაწყვეტ ამოცანებზე დღეს თვალს ვერ დავხუჭავთ, და ეს პირველი ხარისხის ამოცანები რომ არ დადგეს დღის წესრიგში, ამიტომ მეათე ხარისხის პრობლემებს ვწევთ წინა პლანზე და ამით გვინდა დავფაროთ აქტუალური საკითხი ისევე, როგორც აფხაზეთი, დავფარეთ სამაჩაბლოს საკითხი და დღეს სამაჩაბლო არავის ახსოვს. დღეს აჭარის სიტუაციით აფხაზეთი გადავფარეთ და ასე შემდეგ.

ჩვენ ბათუმშიც იმას ვლაპარაკობთ, რასაც თბილისში და ჩვენ არ ვლაპარაკობთ იქ სხვას და აქ სხვას. ჩადიან იქ აქებენ, ადიდებენ, თბილისში ჩამოდიან და საწინააღმდეგოს ლაპარაკობენ იგივე მინისტრები, უწყების ხელმძღვანელები.

ჩვენ ღიად ვაცხადებთ, რომ საქართველოს გაცილებით მეტი სერიოზული პრობლემები აქვს ვიდრე ბათუმისაა.

— **თქვენი შეხედულება საქართველო-თურქეთის ხელშეკრულებაზე და კერძოდ ორ პუნქტზე, რომელზეც ბ-ნმა გურამ შარაძემ გაამახვილა ყურადღება: 1) თურქ-მესხის ჩამოსახლება საქართთველოში 2) ჭოროხის კაშხლის მშენებლობა.**

— ჭოროხის კაშხლის მშენებლობასთან ჩვენ არ შეიძლება გვქონდეს დადებითი აზრი და ეს აზრი ეფუძნება ჩვენი სპეციალისტების მოსაზრებას. ამის შესახებ საქართველოში არავინ კამათობს. მე არ მინახავს ადამიანი, რომელიც იკამათებს ამ საკითხზე.

— **ჩვენი პრეზიდენტის თურქეთში ჩასვლა ხომ არ ნიშნავს თანხმობას?**

— რა თქმა უნდა ნიშნავს და ეს არის სწორედ ცუდი ჩვენთვის. კაშხლის მშენებლობისას თუ არ იქნება გარანტირებული სანაპიროს დაცვის მექანიზმები ჩვენთვის დამღუპველია, უბრალოდ ქუთაისში პლიაჟი გვექნება. შეიძლება ქუთაისამდე ჯერ არა, მაგრამ გურიაში კი ნამდვილად გვექნება პლიაჟი.

ჩვენ ცალსახად ვერ ვიტყვით იმას, რომ კაშხალი არ აშენდეს. აშენდეს კაშხალი, მაგრამ ამავე დროს ჩაიდოს ის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს სანაპირო ზოლის დაცვის გარანტიებს, თუ გარანტიები არ იქნება, მაშინ ჩვენი დამოკიდებულება საწინააღმდეგო იქნება.

— **რაც შეეხება თურქ-მესხების დასახლების საკითხს და ბ-ნი ლორთქიფანიძის მეცადინეობის საკითხს ამ საქმეში, როგორია თქვენი პოზიცია.**

— მე ინფორმაციას არ ვფლობ ლორთქიფანიძის ამ საქმეში მეცადინეობის შესახებ, მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცი, რომ საქართველო ამ პრობლემის მოსაგვარებლად მზად არ არის. არ არის ეს საქართველოსთვის ნომერი პირველი პრობლემა. ჩვენ გაცილებით მეტი პრობლემები გვაქვს და ეს უნდა გავაგებინოთ ყველა მხარეს, რომელიც ამ პროცესშია ჩართული. დღეს ჩვენ ამ პრობლემის მოგვარება არ შეგვიძლია. ეს გაართულებს მთელი საქართველოსა და მათ შორის ამ პრობლემის მოგვარებასაც. აქედან გამომდინარე, ჩვენი დამოკიდებულება ცალსახა უნდა იყოს. რომელ ჩამოსახლებაზეა საუბარი, როცა საკუთარი დევნილებისთვის ვერ მოგვივლია, როცა ტერიტორიული მთლიანობა ქვეყნისა დარღვეულია.

— **როგორც მოგეხსენებათ, სამიტი გადაიდო, მიზეზად დასახელდა ელცინის ავადმყოფობა. როგორ ფიქრობთ, ეს იყო მიზეზი თუ ეს მხოლოდ საბაბი იყო, და მიზეზი იდო იმაში, რომ დსთ რღვევისკენ წავიდოდა მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანი არ გამოცხადდებოდა იქ?**

— თავისთავად თვითონ საბაბიც იძლევა დასკვნების საშუალებას. დსთ არის შუაფეოდალური ხანის წარმონაქმნი. „ბატონი ავად გახდა“ და „Все мероприятия отменяются“. თუ რუსეთი ბატონია, მაშინ დანარჩენები ვასალები არიან. ბევრი იწუწუნა ვასალმა, მაგრამ მოუწია დათანხმება, უნდა ჩახვიდე ყაენთან, თავზე ნაცარი წაიყარო, ხმალი კისერზე დაიკიდო და პატიება სთხოვო. ეს შეურაცხმყოფელია მთელი სახელმწიფოსათვის. რაც შეეხება ალიევის ჩასვლა-არჩასვლას და დსთ-ს დაშლას, ამ აზრს აქვს არსებობის უფლება, რადგან დსთ საკმაოდ დიდ კრიზისს განიცდის, რადგან თვითონ ფორმა, სახელმწიფოებრივი ურთიერთობებისა დღევანდელ მოთხოვნებს არ შეესაბამება. დსთ არ არის რაიმე პრობლემის მომგვარებელი ორგანო, ის არ შექმნილა პრობლემების მოსაგვარებლად ის პრობლემების შესაქმნელად შეიქმნა. და ამ შექმნილი პრობლემების მოსაგვარებლად კი რუსეთი არსებობს. რუსეთმა დაასაბუთა იურიდიულად თავის გავლენის სფეროები. ამიტომ დღეს ჩვენი ამოცანაა დავიწყოთ ისეთი მექანიზმების შემუშავება. რომ უფრო უარეს სიტუაციაში არ ჩავარდეთ.

ესაუბრა
**ანა ჯულელი**

# „გეკუთვნით, მაგრამ არ გეკუთვნით“

## ანუ ერთი ვიზიტი რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტში

ვესტიბიულში ვდგავარ, ველოდები, ვრეკავ, ახსნა-განმარტებებს ვიძლევი, ისევ ვრეკავ, ისევ ახსნა-განმარტებებს ვიძლევი...

შემიშვეს, დეპარტამენტის თავმჯდომარე დაკავებულია, შემომთავაზეს ხნიერ მამაკაცთან შეხვედრა, ვეთანხმები (სხვა რა გზაა), არ ვიცი ვინაა ჩემი მასპინძელი, მივუყვებით გრძელ ჰოლს... უცნობი კარს აღებს, კაბინეტში შევდივარ... მტოვებს... კაბინეტს თვალს ვავლებ... ქაღალდები, ფურცლები, მტვერი... გაყვითლებული ბრძანებები, მოხსენებები, განცხადებები... ვინ იცის, რამდენი თხოვნა და განცხადება სწორედ ისეთი, რითაც მე მოვედი ამ კაბინეტში...



1991 წელი, რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტი ანგრევს ბინებს, ლოზუნგი ასეთია: „ორიათას წლამდე ყველა მოქალაქეს ახალი ბინა“, ხალხს სჯერა... დიდუბის რაიონში დაანგრიეს ევდოშვილის ქუჩაზე მდებარე სახლი, მობინადრეებს დაპირდნენ ახალ კორპუსში შესახლებას, დაპირება გარანტიის ფურცლებით განამტკიცეს, დანაპირები არ შესრულდა, ქვეყანა გადატრიალდა, აირია, ძაღლი პატრონს ვერ სცნობს, ხალხი ქუჩაში დარჩა...

ფიქრი მიწყდება, კაბინეტის პატრონი შემოდის, ვიღაც მოჰყვება (ალბათ მოწმედაა საჭირო) მასპინძელი საწერი მაგიდის თავში ჯდება, დამსწრე — სავარძელში... პაუზა...

— **თუ შეიძლება, წარმოგვიდგეთ. — შევახსენე—**

— სამოქალაქო ნაგებობათა სამსახურის უფროსი ალბერტ თაფლაძე — მპასუხობს უცნობი და უკვე უცნობი აღარაა.

როგორც იტყვიან, ათიანში გავარტყი, სწორედ ისაა, ვინც მჭირდებოდა, „სამოქალაქო ნაგებობათა“...

— **თქვენმა სამსახურმა დაანგრია დიდუბის რ-ნში ევდოშვილის ქუჩაზე მდებარე №18 სახლი... მაწყვეტინებს**

— ვიცი რაზეცაა საუბარი, დავანგრიეთ ქვეყანა აირია, ცხოვრობდნენ ბარაკებში... ზოგს დავეხმარეთ როგორც შეგვიძლია ისე...

— **ბ-ნო ალბერტ, ჩვენთვის ცნობილია, რომ მათ შორის, ვისაც მიეცა საგარანტიო ფურცელი, იყო მოქალაქე ზურაბ კაზილაშვილი... ისევ ბ-ნი ალბერტი არ მასრულებინებს კითხვას.**

— ვიცი, ვიცი კაზილაშვილი, მას ოროთახიანი ბინა სურს დიდუბეში. ჩვენ ზოგს ხუთი ათასი დოლარი მივეცით, ზოგს ბინა შევუძინეთ, კაზილაშვილი კი დიდუბეში ითხოვს ბინას...

— დიდუბეში ხუთი ათას დოლარად ოროთახიან ბინას რომ ვერ იყიდის ვერავინ, ეს ჩემზე კარგად თქვენ იცით... ვცდილობ შეკამათებას და ამით მინდა შევანელო ჩემი მასპინძლის გაცხარება...

— როცა სახლი აშენდება, მივცემთ იქ ბინას... აგრძელებს ბ-ნი თაფლაძე.

ფაქტი კი, რომელმაც ბ-ნი თაფლაძე აღაშფოთა, შემდეგში მდგომარეობს. ჩვენთან თხოვნით მოვიდა მოქალაქე კაზილაშვილი, რომელიც აგერ უკვე მერვე წელია უბინაოდაა დარჩენილი. იგი რკინიგზის დეპარტამენტისაგან მოითხოვს ბინით დაკმაყოფილებას იმ ტერიტორიაზე, სადაც ცხოვრობდა. ეს მოთხოვნა სასამართლო განჩინებითაც განმტკიცდა, მაგრამ რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტი ჭირვეულობს...

— **ბ-ნო ალბერტ, ჩვენთვის ცნობილია, რომ მოქალაქეებმა და მათ შორის კაზილაშვილმა სასამართლოში შეიტანა სარჩელი დეპარტამენტის წინააღმდეგ და სასამართლომ თქვენს სამსახურს დააკისრა ორი წლის მანძილზე ამ მოქალაქეთათვის ბინის ქირის გადახდა (თვეში 40ლ) და კაზილაშვილისათვის ოროთახიანი ბინის შეძენა დიდუბის რაიონში. განაჩენი არ შესრულდა, რატომ?**

— ჩვენ ვიხდით 40 ლარს, კაზილაშვილს კი მაინდამაინც დიდუბეში უნდა ოროთახიანი ბინა და ამისათვის 18 ათას დოლარს ითხოვს. ჩვენ ვთხოვეთ, ცოტა დაეკლო, ამდენი არ შეგვიძლია, მაგრამ იგი ჯიუტობს. რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტი გასაჭირშია (მე ვერ დავიჯერე, თქვენ?), მატარებლების ელექტროხაზებს შეკეთება სჭირდება, მატარებლებს განახლება, ფინანსები არ არის...

— **მას მერე, რაც განაჩენი გამოიტანა სასამართლომ თქვენს სამსახურში კაზილაშვილს შესთავაზეს ჯერ ცამეტი ათასი დოლარი, შემდეგ თერთმეტი ათასი და ამ თანხის ათი პროცენტი ფულის გაცემაში, ეს თავად კაზილაშვილმა მოგვითხრო, როგორი იქნება თქვენი კომენტარი? ვეკითხე და ვინანე...**

— ... მე ნერვიული კაცი ვარ ... ამის მერე თქვენთან საუბარი არ მსურს... ეგ უსინდისო... ჩვენ დახმარება გვინდოდა... თანხის რაოდენობა არ დაგვისახელებია. კიდეც რომ მოგვეთხოვა ის ათი პროცენტი, რაზეც თქვენ თქვით, განა ვინმე იტყვის და დაადასტურებს, რომ ასეთი რამ თქვა? (სრული სიმართლეა, ვინ იტყვის ფული „მოვტეხეო“).

მასპინძელი ნერვიულობს, უკერკავს კიდევ ერთ თანამშრომელს, რომელსაც მოაქვს მონაცემები, სადაც აღრიცხულია იმ თანხების რაოდენობა, რაც დეპარტამენტმა ვარკეთილში ავარიული ბინიდან გასახლებულ მობინადრეებს მისცა ეს თანხა. ხუთი ახალი თანამოსაუბრე ირონიულად იღიმება და ამბობს — მე ვიცი რა საკითხსაც დავაყენებ სასამართლოზე, ეგ არაკაცი... თქვა კაზილაშვილის მისამართით და შემდეგ ხაზი გაუსვა იმას, რომ პოლიციელი სხვა როგორი უნდა იყოს, თუ არა ინტრიგანი. გრძელდება ერთი და იგივე ლანძღვა-გინების კორიანტელი და მტკიცება იმისა, რომ დეპარტამენტი ვალდებული არ არის უყიდოს კაზილაშვილს ბინა მაინცდამაინც დიდუბეში.

მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილება? (მებადება კითხვა, მაგრამ მისმა ხმამაღლა თქმამ შესაძლოა გაუთვალისწინებელ შედეგამდე მიმყვანოს, ამიტომ ჩუმდები).

— ბატონო ალბერტ, — ვცდილობ მივიპყრო ჩემი მასპინძლის ყურადღება, აღშფოთება კულმინაციას აღწევს და დიქტოფონის გამორთვას მთხოვს, თან განმარტებას მაძლევს, რომ უხერხულია, შეიძლება მას რაღაც უშვერი წამოსცდეს კაზილაშვილის მისამართით. დიქტოფონი გამოვრთე, ვხვდები, ჩემი ვიზიტი დასასრულს მიუახლოვდა, ერთსღა ვამბობ:

— ბატონო ალბერტ, რედაქცია უფლებას იტოვებს მოვლენების განვითარებას თვალი მიადევნოს. ვამბობ და ვასრულებ საუბარს. დაბნეული მაცილებს ბ-ნი ალბერტი.

ისევ გრძელ დერეფანს მივუყვები, რაც შევიტანე, ისევ ის გამოვიტანე ამხანაგი, უკაცრავად, ბატონი თაფლაძის კაბინეტისაგან.

რაც შეეხება იმ ათ პროცენტს, რაც კაზილაშვილის ბინის საყიდლად „გასაზიარებელი“ თანხიდან მოსთხოვეს, ერთის თქმა შემიძლია მხოლოდ: თუ ქურდი ფაქტზე არ დაიჭირე, ქურდი არ არის.

ანა ჯულელი

# განათლების კანონი ირღვევა

## პედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაციის

### განცხადება

პედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაცია აღნიშნავს, რომ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება და კერძოდ, განათლების სამინისტრო არ ასრულებს საქართველოს კანონს განათლების შესახებ. არღვევს კანონის 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს, რომლის თანახმად პედაგოგის მინიმალური ხელფასი არ უნდა იყოს საქართველოს საბიუჯეტო დაწესებულების მუშაკის საშუალო ხელფასზე ნაკლები.

საქართველოს კანონის განათლების შესახებ 43-ე მუხლის მე-4 პუნქტით: „საპენსიო ასაკამდე 25 წლის პედაგოგიური სტაჟის მქონე პედაგოგს ენიშნება და ეძლევა წელთა ნამსახურობის პენსია ხელფასის განაკვეთის 50 პროცენტის ოდენობით მისი მუშაობის ან მუშაობის შეწყვეტის შემდეგაც საპენსიო ასაკის მიღწევამდე.“ პედაგოგიური საზოგადოებისათვის ცხადია, რომ კანონის ეს პუნქტი ისევე ირღვევა, როგორც ზემოხსენებული.

გარდა ამისა, ხელფასის დაგვიანებები თვეობით წესად იქცა და სისტემატური სახე მიიღო.

პედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაცია აცხადებს, რომ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ კანონის დარღვევის ეს ფაქტები წარმოადგენს პედაგოგთა სოციალური და მოქალაქეობრივი უფლებების შელახვას და ხელს უწყობს სოციალური შულლისა და დესტაბილიზაციის ესკალაციას სახელმწიფოში.

**პედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაციის პრესცენტრი**
მის: მუშკორის ქ. №16
ტ: 66-72-82; 33-49-36

## კუჭუხიძემ თავდამსხმელი მოკლა!

18 მარტს 22 საათზე ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული 4 ნიღბიანი პირი თავს დაესხა ზესტაფონელ „საქკაბელის" გენერალურ დირექტორის 57 წლის გურამ კუჭუხიძის ოჯახს. თავდამსხმელებმა კუჭუხიძეს თავის არეში ჩაარტყეს კონდახი და ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრეს ფეხში. კუჭუხიძემ რეგისტრირებული „ტტ"-ს სისტემის პისტოლეტით ადგილზე მოკლა ერთი თავდამსხმელი, სოფელ ზოვრეთში მცხოვრები 22 წლის ალექსანდრე ლოლობერიძე, ხოლო მეორე იმავე სოფელში მცხოვრები ნასამართლევი 20 წლის ირაკლი წულუკიძე დაჭრა მუცლის არეში, რომელიც დანარჩენ პირებთან ერთად მიიმალა. ტარდება ღონისძიებები სხვა პირთა დადგენა-დაკავების მიზნით. კუჭუხიძემ პოლიციის განყოფილებაში წარმოადგინა პისტოლეტი „ტტ".

19 მარტს სიღნაღის პოლიციამ დააკავა სოფ. ვაქირში მცხოვრები 23 წლის დავით გზირიშვილი, რომელმაც იმავე სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე დანის მუქარით თელავის რაიონის სოფ. ვარდისუბანში მცხოვრებ ლევან ტუხაშვილს წაართვა ფული და პირადი ნივთები.

## ქურდბაცაცები!

19 მარტს დუშეთის პოლიციამ დააკავა სოფ. ბიჩნიგაურებში მცხოვრები 18 წლის გოჩა ბიჩნიგაური, რომელმაც თანასოფლელებს თამარ ბადაგაძეს და ზოია ოსეფაშვილს გაუქურდა სახლები.

19 მარტს დუშეთის პოლიციამ დააკავა სოფ. ბიჩნიგაურებში მცხოვრები, 25 წლის ზურაბ ბიჩნიგაური, რომელმაც 18 მარტს თანასოფლელ ელენე ბადაგაძეს გაუქურდა სახლი.

19 მარტს ბათუმის პოლიციამ დააკავა ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. წინსვლაში მცხოვრები 23 წლის რუსლან სურმანიძე, რომელმაც ციცინო სურმანიძეს გაუქურდა ბინა.

19 მარტს მცხეთის პოლიციის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დააკავა სოფ. დილომში მცხოვრები 26 წლის მამუკა ბროლაძე, რომელმაც 1992 წლის 19 აგვისტოს თბილისში მცხოვრებ რამაზ ხმალაძეს სოფ. დილომში გაუქურდა აგარაკი.

16 მარტს რაჭა-ლეჩხუმის შს სამხ. სამმართველოს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის თანამშრომლებმა და ცაგერის რ-ნის პოლიციის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებმა დააკავა იმავე რაიონის სოფ. ზუბში მცხოვრები 19 წლის ტარიელ ბენიძე, რომელმაც 1994 წლის 29 ნოემბერს გაქურდა თანასოფლელის ვალერიან ბენიძის სახლი.

19 მარტს პოლიციის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს, ქვემო ქართლის პოლიციის სამხარეო მთავარი სამმართველოსა და თანამშრომლების მიერ გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დაკავებული იქნა სოფ. ბოლნისში მცხოვრები 49 წლის ნორიკ მანუჩარიანი, რომელსაც სახლში აღმოაჩნდა ავტომატი „აკმ" ერთი მჭიდით და 8 ვაზნით.

# კრიმინალური ქრონიკა



## ნარკომანია

19 მარტს საბურთალოს პოლიციის სისხლის სამართლის სამძებროსა და ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის თანამშრომლებმა დააკავა ოზურგეთის რ-ნის სოფ. მელქედურში მცხოვრები, 24 წლის გურამ ლომიაძე, რომელსაც აღმოაჩნდა 1,5 გრ. ოპიუმი.

19 მარტს გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად ჩოხატაურის პოლიციამ დააკავა სოფ. გოგოლესუბანში მცხოვრები 18 წლის შოთა სიხარულიძე, რომელმაც გაქურდა თანასოფლელის გოგლა სიხარულიძის სახლი.

15-დან 18 წლამდე ჩუღურეთის არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის თანამშრომლებმა ვინაობის დადგენის მიზნით წარმოადგინეს 9 არასრულწლოვანი, რომელთაგან ამოიღეს ერთი საკეცი დანა.

13 მარტს ისნის ადმინისტრაციული პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს თბილისელი 25 წლის არტურ დავითიანი, რომელმაც 1996 წელს თვითნებურად მიატოვა თავდაცვის სამინისტროს № 2052 სამხედრო ნაწილი და იძებნებოდა თბილისის რეგიონალური პროკურატურის მიერ.

## დააკავეს ძებნილნი

19 მარტს დმანისის პოლიციამ დააკავა განზრახ მკვლელობისათვის მესტიის რაიონის პოლიციის განყოფილების მიერ ძებნილი 30 წლის ბესო ნარსავიძე.

19 მარტს ლანჩხუთის საგზაო პოლიციის მე-7 განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს სახელმწიფო ან საზოგადო ქონების ქურდობისა და ხულიგნობისთვის ძებნილები 31 წლის ზაზა რუსიეშვილი და 32 წლის გურამ გოგეშვილი.

19 მარტს ყვარლის პოლიციის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოსა და ყვარლის პოლიციის თანამშრომლებმა მიღებული ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად დააკავეს ქურდობის ჩადენისათვის ძებნილი 52 წლის მერაბ ასაბაშვილი.

18 მარტს ხულოს პოლიციამ დააკავა საქ-ოს შეიარაღებული ძალების გაწვევის თავის არიდებისათვის ძებნილი 20 წლის რომან კახაძე.

19 მარტს ხელვაჩაურის პოლიციამ დააკავა სახელმწიფო ან საზოგადო ქონების ყაჩაღობის ჩადენისათვის ძებნილი 36 წლის ნუგზარ ასანიძე.

18 მარტს ისნის პოლიციის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებისა და საპატრულო-საგუშაგო სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს გაუპატიურების ჩადენისათვის ძებნილი 17 წლის მიხეილ მერაბიშვილი.

19 მარტს სამგორის პოლიციის სისხლის სამართლის სამძებროს სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს სატრანსპორტო საშუალებათა გატაცებისათვის ძებნილი 39 წლის ბადრი ასათიანი.

19 მარტს ნაძალადევის პოლიციამ სისხლის სამართლის სამძებროს სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს სატრანსპორტო საშუალებათა გატაცებისათვის ძებნილი რამოდენიმეჯერ ნასამართლევი 39 წლის გიორგი წითურიშვილი.

19 მარტს საბურთალოს პოლიციის მე-2 ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის ქ. თბილისის სატრანსპორტო პროკურატურის მიერ ძებნილი 36 წლის დავით ფოფხაძე.

## მიმდინარეობს შემოწმება

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გაავრცელეს ადვოკატ ზურა როსტიაშვილის მიერ მიწოდებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ წალკის რაიონის პოლიციაში ჩვენების ჩამორთმევისას სასტიკად აწამეს და სხეულის მძიმე დაზიანებები მიაყენეს 1996 წლის 29 ოქტომბერს წალკის რაიონში სონია აჯამალოვას მკვლელობის მონაწილეობაში ეჭვმიტანილს ელხამ მამიშევს.

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის შესაბამისი სამსახურები შეუდგნენ ზემოთ აღნიშნული ფაქტის შემოწმებას.

შემოწმების შედეგებს და მიღებულ შესაბამის გადაწყვეტილებებს ვაცნობებთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს და საზოგადოებრიობას.

## დააკავეს ძებნილნი!

16 მარტს შსს კრიმინ. პოლ. დეპარტ. ორგანიზებულ დანაშაულის ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს თანამშრომლება, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად ქ. კიევში დააკავეს ქურდობის დანაშაულის ჩადენისათვის რუსთავის პოლიციის მიერ ძებნილი 19 წლის გიორგი გენგიური.

17 მარტს გორის სისხლის სამძებროსა და ადმინისტრაციული პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის ძებნილი 39 წლის ზურაბ გოგიაშვილი.

16 მარტს ქობულეთის პოლიციელებმა დააკავეს სახელმწიფო ან საზოგადოების ქონების განზრახ განადგურება-დაზიანების ჩადენისა და სახელმწიფო დანაშაულის დაფარვისათვის ძებნილი 41 წლის ბადრი აბუსერიძე.

18 მარტს ოზურგეთის პოლიციამ დააკავა ქურდობისა და იარაღის უკანონო შენახვისათვის ძებნილი 27 წლის გელა თხილაიშვილი.

18 მარტს შს სამინისტროს საინფორმაციო ცენტრის და საბურთალოს პოლიციის საპასპორტო სავიზო სამსახურის თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებებით დააკავეს ქალაქ ტიუმენის ცენტრალური რაიონის პოლიციის მიერ რუსეთის ფედერაციის მიერ ძებნილი 41 წლის გიორგი ეფრემაძე.

18 მარტს სამგორის პოლიციამ დააკავა სახელმწიფო ან საზოგადო ქონების ქურდობისათვის ძებნილი 35 წლის მერაბ მოცაძე.

18 მარტს ნაძალადევის პოლიციამ დააკავა ფალსიფიკაციის ჩადენისათვის ძებნილი 41 წლის შოთა თენეიშვილი.

18 მარტს ნაძალადევის პოლიციამ დააკავა სახელმწიფო ან საზოგადო ქონების ქურდობისათვის ძებნილი 27 წლის პაატა. მალაციძე.

18 მარტს საბურთალოს პოლიციამ დააკავა ყაჩაღობის ჩადენისათვის ძებნილი 25 წლის გოჩა ციცქიშვილი.

18 მარტს საბურთალოს პოლიციამ დააკავა ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო მოხმარებისა და იარაღის უკანონო ტარებისათვის ძებნილი 28 წლის მირიან პეტრიაშვილი.

## კირთაძემ სამკერვალო საამქრო გაქურდა

17 მარტს გლდანის რაიონის სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად, დააკავეს ნასამართლევი 31 წლის მალხაზ კირთაძე, რომელმაც 1997 წლის ნოემბერში გაქურდა დილმელი კონსტანტინე ხურციძის საამქრო.

16 მარტს ჭიათურის პოლიციელებმა დააკავეს 37 წლის გრიგოლ სამხარაძე, რომელმაც 15 მარტს გაქურდა ჟუჟუნა კუპატაძის ბინა.

17 მარტს ბორჯომის პოლიციელებმა დააკავეს 34 წლის გურამ დევნოსაძე, რომელმაც 16 მარტს ბორჯომის სათხილამურო ბაზა „დინამოს" საწყობი გაქურდა.

17 მარტს რუსთავის სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლებმა დააკავეს რუსთაველი ნასამართლევი 18 წლის გივი ომიაძე და რუსთავში მცხოვრები 17 წლის ვახტანგ ნადირაშვილი, რომლებმაც 13 მარტს ღამით რუსთავში მცხოვრებ ბესიკ მეტრეველს, გივი ჭიჭინაძეს და ვაჟა ედიშერაშვილს ავტომანქანები გაუქურდეს.



## აგარაკის ქურდი

17 მარტს გარდაბნის პოლიციელებმა დააკავეს თბილისელი 17 წლის ზაზა ჩარკვიანი, 17 წლის ალეკო გივიაშვილი და ლოტკინის ხევში მცხოვრები 17 წლის შალვა თეთრაძე, რომლებმაც გაქურდეს თბილისელი დავით ბექვაიას აგარაკი სოფ. ქვესელში. გივიაშვილს აღმოაჩნდა გადაჭრილი სანადირო თოფი. ნაქურდალი ამოღებულია.

# რეპორტაჟი არასრულწლოვანთა კოლონიიდან

**მარტის ქარი გამწარებული წიოდა, თავს იკლავდა და სამოსს ხდიდა ხეებს, როცა საქართველოს სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის არასრულწლოვანთა დაწესებულება №6-ში მივედი. მიუხედავად დაუნდობელი ამინდისა, ამ დაწესებულების უფროსის მოადგილემ (საწარმოო დარგში) როლანდ ბენდიანიშვილმა, დაუზარებლად მიმაცილა უფროსის კაბინეტამდე. ბატონ კობა გვარამაძეს კი, ასეთ ქარიშხლიან ამინდში, ცოტა არ იყოს გაუკვირდა ჟურნალისტის სტუმრობა, თუმცა მეგზურობა მაინც გამიწია მსჯავრდადებული არასრულწლოვნების მოსანახულებლად.**

**მართალი გითხრათ, შენობაში კრიტიკული განწყობით შევედი, რომელიც შესვლისთანავე გამიქრა. უპირველესად თვალშისაცემი სისუფთავე გამიკვირდა, რასაც, სამწუხაროდ, სხვა კოლონიებში ვერ ნახავთ.**

### სერიოზული ავადმყოფობა კოლონიაში არ ბუდობს

უპირველესად, გავესაუბრე სამედიცინო ნაწილის უფროსს, ვიცე-პოლკოვნიკს — ანზორ ბახტაძეს და ექიმ-თერაპევტს ნანა აბუთიძეს.

სერიოზული ავადმყოფობა კოლონიაში არ ბუდობს. ჩავატარეთ ფლუროგრაფია (ტუბერკულიოზის სპეციალური ანალიზი), არცერთი არ აღმოგვაჩნდა ტუბერკულიოზით დაავადებული. მოზარდებს უფრო ბრონქიტი, ნერვოზი, ჰიპოტომია (ვიტამინის ნაკლებობა და სისუსტე), თავის, ყელისა და კბილის ტკივილი აწუხებთ, რისთვისაც უმეტეს წილად, რძის პროდუქტები სჭირდებათ. წამლებით სისტემატიურად გვამარაგებს სამედიცინო სამმართველო, წითელი ჯვარი, ქალთა კომიტეტი. შემოგვდის ჰუმანიტარულიც. უზრუნველყოფილნი ვართ მალამოებით, სადეზინფექციო და შესახვევი მასალებით. თუ რომელიმე ინფექციური დაავადება იჩენს თავს, ჯერ აქვე, იზოლატორში ვმკურნალობთ, ხოლო უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი, რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაგვყავს. ხშირია კანის დაავადებანი, ჩირქოვანი გამონაყარი, რომელიც ჩნდება ანტისანიტარიით. უფრო მეტად, დროებითი დაკავების საკნიდან მოდიან ასეთი ავადმყოფები, ჩვენ კი, მალამოებით და ანტიბიოტიკებით ვარჩენთ მათ, — ბრძანა ბატონმა ა. ბახტაძემ.

— **სხვადასხვა ეროვნების პატიმრები თუ გყავთ?**

— რა თქმა უნდა. თითქმის ყველა ეროვნების. არიან ქართველები, რუსები, სომხები, იეზიდიც კი გვყავს... — საუბარში ჩაერთო კოლონიის უფროსი.

— **სულ რამდენია?**

— სამოცდახუთამდე.

დავათვალიერე სამედიცინო პალატები, იზოლირებული ოთახები, სამზარეულო. უცხო თვალი ადვილად შეამჩნევდა აქ გამეფებულ დისციპლინასა და სისუფთავეს, რაც აუცილებლად ბატონი კობას დამსახურება იყო.

— მსჯავრდადებულებს ყაზარმაში აქვთ ბინა, იქ სძინავთ. წავიდეთ, ვნახოთ, — შემომთავაზა უფროსმა.

რა თქმა უნდა, ყაზარმაშიც შეიმჩნეოდა თითოეული პატიმრის პასუხისმგებლობა. გავესაუბრე აღმზრდელებს.



— კარგი ბიჭები არიან, ყველაფერს გვიგონებენ, უყვართ სპორტი. ყოველი მათგანი საკუთარივით მიყვარს, — მითხრა ერთ-ერთმა, კობა. გოგელიძემ.

### ყველგან ორი მსჯავრდებულია

— **კონტინგენტი როგორია?**

— სამწუხაროდ, გვყავს ყველანაირი მსჯავრდადებულები. უმეტეს წილად ბინისა და ჯიბის ქურდები, არიან მკვლელებიც, ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებლები, ყაჩაღები, ავტომანქანის და სახელმწიფო ქონების გამტაცებლები. გვაქვს გაუპატიურების შემთხვევებიც.

ყაზარმის შესასვლელში სპორტული აღნაგობის, მაღალი, ჩვიდმეტ წლამდე ასაკის, ახალწვერამოყრილი ვაჟი იდგა.

— **რისთვის დაგიჭირეს?** — **ვკითხე მას.**

— მიჭირდა და ბინაში შევედი გასაქურდად. სამი წელი მომისაჯეს. წელიწადია ვზივარ, მშობლები არ მაკითხავენ... ლტოლვილები, სოხუმელი.

— **ვინაობა საიდუმლოა?**

— არა, რატომ? ვახტანგ დოლიძე ვარ. ძალიან ვნანობ ჩემს საქციელს.

მალე შუაგულ ყაზარმაში შევაღწიე. როცა გაიგეს, რომ ჟურნალისტი გვესტუმრაო, ჯერ კიდევ პირზე რძეშეუშრობი ბიჭები, გარს შემომეხვიენ. ზოგი სკამს მაწოდებდა, ზოგმაც ყოჩივარდა მომიტანა. ყავაც მომიხარშეს.

ვუმზერდი მათ და გული მიკვდებოდა, თან ვფიქრობდი: „ჩვენი ქვეყნის მომავალი ამათ უნდა ჩავაბაროთ, ესენი კი, ყველაზე კარგ წლებს საპატიმროებში ატარებენ. ჩვენც, თითქოს გასაპნული სადავეები ხელში გვიჭირავს და გვიცურდება"...

### შენ რამდენი წლის ხარ?

შენ რამდენი წლისა ხარ? — ვკითხე იქვე მდგარ ცისფერთვალებას და ქოჩორზე ხელი გადავუსვი. მან დამტვრეული ქართულით მიპასუხა.

— ჩვიდმეტის. ცხრა წელი მომისაჯეს. ორი წელია ვზივარ. ოცდაათი წლის დარაჯი შემომაკვდა. არ მინდოდა, შემთხვევით მოხდა. აჭარელი იყო, გამიძალიანდა და... მეც ლტოლვილი ვარ, ტყვარჩელიდან. ხუთი ძმები ვიყავით, სამი ძმა ტყვარჩელში დარჩა. მკვდრები არიან თუ ცოცხლები, არ ვიცი. ერთი ძმა ბათუმშია, ხოლო დედ-მამა — სამტრედიაში. ომმა ცალ-ცალკე გაგვყარა.

— **ახლობლები თუ განახულობენ?**

— არა!

— **რა გვარისა ხარ?**

— დგებუაძე ვალერი. დედა რუსი მყავს...

— **მკვლელობა მარტომ ჩაიდინე?**

— არა, ჩემთან მეორეც იყო, ქრია მანუჩარი. მას სამი წელი მიუსაჯეს...

— **იმას სამი და შენ — ცხრა? რატომ?**

— ნაჯახი მე ჩავარტყი. იქვე იდო და დავწვდი, ჯოხი მეგონა... ცისფერთვალება, ისეთი გულუბრყვილობით ჰყვებოდა, ძალიან მსურდა დამეჯერებინა მისი.

— **შენ რისთვის მოხვდი ამ „სამეფოში?"** — ახლა თაფლისფერთვალებას გავულიმე.

— 91-ე და 17-ის 117-ე მუხ-

გაგრძელება მეცხრე გვერდზე

# დავით მუჯირი: „დინამოსთვის“ მე ჯერ არაფერი გამიკეთებია



**საფეხბურთო სამყაროში ერთი მეტად საინტერესო ტრადიცია არსებობს: ყოფილი ფეხბურთელების შვილები მამების გზას აგრძელებენ. საქართველოში ამ ტრადიციამ საკმაოდ ფართო ხასიათი მიიღო. დაწყებული მიხეილ მესხიდან, ვიტალი დარასელიათი დამთავრებული. არ ვიცი, ეს ფეხბურთისათვის კარგია თუ ცუდი, მაგრამ შვილებს საკმაოდ რომ უჭირთ, ესეც სახეზეა. მათ ყოველთვის ადარებენ მამებს და მოითხოვენ, რომ შვილებმა უკეთესად თუ არა, მამებზე არანაკლებად ითამაშონ. რამდენიმე ასეთი ფეხბურთელი უკვე დაიკარგა ფეხბურთისათვის. მათ ვერ გაუძლეს მამების გაკვალულ გზაზე სიარულის სირთულეებს. ზოგი ფეხბურთელი კი მამისგან სრულიად განსხვავებულ ამპლუაში თამაშობს, მაგრამ აქაც პრობლემამ იჩინა თავი. შვილებს ადარებენ მამებს. როგორი იყო მამა ამა თუ იმ სათამაშო ეპიზოდში და როგორ მოიქცეოდა შვილი.**

**დათო მუჯირს (უმცროსს) რუსთაველის მოედანზე შემთხვევით შევხვდი, შემთხვევა ხელიდან არ გავუშვი და სახელდახელო ინტერვიუ ვთხოვე. იგი თავაზიანად დამთანხმდა. გთავაზობთ ჩვენს ხანმოკლე საუბარს ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ფეხბურთელთან.**

**— დათო, ითამაშებდი თუ არა ფეხბურთს, დავით მუჯირის შვილი რომ არ ყოფილიყავი?**

— ალბათ კი. როგორც მეუბნებიან უფროსები, ბავშვობიდანვე მიყვარდა ბურთის გორაობა. შეიძლება გენებმაც იმოქმედა. იყო მამაჩემის და მთელი ოჯახის თანადგომაც. რაც შემეხება მე, ფეხბურთის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენლად მიმაჩნია.

**— მამაშენისგან განსხვავებით სულ სხვა ამპლუაში თამაშობ. უფროსი მუჯირის კოზირი სწრაფი რეიდები იყო, შენ ნაკლებად მოძრაობ მოედანზე და თამაშის გაძღოლაც გევალება.**

— მიგიხვდი, რისი თქმაც გინდოდა. მამაჩემს რაც კარგი ჰქონდა, მაგალითად სისწრაფე, ფიზიკური გამძლეობა, წართმევაზე თამაში, მე ამაში მოვიკოჭლებ. სამაგიეროდ, გუნდში თამაშის ორგანიზება მევალება.

**— შენ ბევრჯერ განგიცხადებია, რომ მამაჩემი მეხმარებაო. შენ სხვა ამპლუაში თამაშობ, საინტერესოა როგორ რჩევებს გაძლევს მამა?**

— რაც არ უნდა კარგად ვითამაშო, ყოველი თამაშის შემდეგ იგი ცდილობს ნაკლზე მიმითითოს. ვიცი, რომ გარედან დანახული თამაში ასე თუ ისე თვალშისაცემია და მეც ვცდილობ ყური დავუგდო მის რჩევებს, მითუმეტეს მამაჩემს ისეთ მაღალ დონეზე აქვს ნათამაშევი, რომ მისი რჩევები ყოველთვის ყურადსაღებია. თან, მას ხომ ისე უნდა ჩემთვის კარგი, როგორც ალბათ არავის. ყოველთვის ვცდილობ დავუჯერო და გამოვასწორო მის მიერ მოცემული შენიშვნები.

**— დათო, შენ „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში თამაშობ, „დინამო“ კი ძლიერი გუნდია და სადაც ასე ადვილად არ ხვდებიან. გრძნობ თუ არა პროფესიონალად შენს თავს?**

— რა თქმა უნდა. თუ გინდა, რომ შენს საფეხბურთო კარიერაზე სერიოზულად იფიქრო, პროფესიონალი უნდა იყო. და თუ გინდა სადმე ძლიერ გუნდში ითამაშო, გონებაში უნდა ჩაგიჯდეს ის, რომ შენ პროფესიონალი ხარ. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს ჩემპიონატში ითამაშებ და არა მგონია აქ მაღალ დონეს მიაღწიო.

**— შენი აზრით, რამდენ წლამდე შეიძლება ფეხბურთელმა საქართველოში ითამაშოს, რომ შემდეგ უფრო ძლიერ გუნდში წავიდეს?**

— წლებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. თუ თვლი, რომ საქართველოს ჩემპიონატი უკვე აღარ აკმაყოფილებს შენს დონეს და თუ გამოგიჩნდა ძლიერი ევროპული გუნდი, მაშინ უნდა წახვიდე, ამისთვის ჩემი მაგალითიც საკმარისია. მე მქონდა რამდენიმე სერიოზული გუნდის ვარიანტი, მაგრამ არ წავედი, რადგან, პირველ რიგში „დინამოსთან“ კონტრაქტი მაკავშირებს, მეორე მე „დინამოსათვის“ ჯერ არაფერი გამიკეთებია, რომ წავიდე. კიდევ ვიმეორებ, წლოვანებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. რონალდო 20 წლის იყო, რომ მსოფლიოს №1 ფეხბურთელი გახდა.

**— ძლიერ გუნდებს რომ ამბობ, პირდაპირ „დინამოდან“ შესაძლებელია თუ არა იქ მოხვედრა?**

— იცით რაშია საქმე? ძლიერი გუნდები, როგორებიც არიან „რეალი“, „ბარსელონა“ და სხვები, ერთი ხელის მოსმით გუნდში არ მოგიწვევენ. „დინამო“ კი სულ რამდენიმე თამაშს თამაშობს ევროპაში და ისეთი რა უნდა ითამაშო ამ რამოდენიმე მატჩში, რომ გრანდ გუნდებში მოხვდე.



**— გამოდის, რომ ევროპის საშუალო დონის გუნდში მაინც უნდა ითამაშო, რომ ძლიერ გუნდში მოხვდე. შენი აზრით, რომელი ქვეყნის გუნდებით უნდა დაიწყო აღმასვლა?**

— ჩემი ასაკის ფეხბურთელები არ უნდა წავიდნენ ისეთ ქვეყნებში, როგორებიც არიან კვიპროსი, ისრაელი და სხვა. სასურველია ესპანეთის, გერმანიის, საფრანგეთის საშუალო დონის კლუბებიდან დაიწყონ თავისი საფეხბურთო კარიერის მწვერვალებისაკენ სვლა.

**— დათო, შენ ახალგაზრდული ნაკრების წევრი ხარ. შენი კოლეგები ეროვნული ნაკრების კანდიდატები არიან. გული ხომ არ გწყდება?**

— რა თქმა უნდა, ყველა ქართველი ფეხბურთელის ოცნებაა, რომ ეროვნული ნაკრების მაისური მოირგოს. ალბათ უკვე დროა, მეც რომ ვიფიქრო ნაკრების მაისურზე. ყოველ შემთხვევაში ჩემს თავს უკვე დავუსახე ეს ამოცანა. მაგრამ მე ღრუბლებში არ დავფრინავ. როგორც იცი, ჩემს ადგილზე ისეთი ძლიერი ფეხბურთელები თამაშობენ და ისეთი გუნდებიდან, რომ მწვრთნელები აქცენტს ალბათ მათზე გააკეთებენ, მე კი ჯერჯერობით ახალგაზრდულ ნაკრებში ვითამაშებ და ვეცდები ჩემი კარგი თამაშით საქართველოს პირველი გუნდის ხელმძღვანელობაც დავაინტერესო. ყოველ შემთხვევაში, ამ ციკლში თუ არა, მომავალში ვეცდები საქართველოს ნაკრებში მოხვედრას.

**— გისურვებ წარმატებებს.**

— დიდი მადლობა.

**ესაუბრა დათო ავალიანი**

N E W S N E W S N E W S N E W S

## ინგლისელები ახალ ფორმას ეძებენ



მოგეხსენებათ, რომ ინგლისის ეროვნული ნაკრების ჩაცმულობაზე ბრიტანული ფირმა „UNGRO“ ზრუნავს. მაგრამ ამ ორ მხარეს შორის დადებულ კონტრაქტს მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გასდის ვადა. ამ დროისთვის ინგლისელებს ყველაზე რეალურ პარტნიორად ჩაცმულობის მხრივ გერმანული „ადიდასი“ და „პუმა“ ესახებათ, მაგრამ აქვე ამას სერიოზული მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდა. რომელთაც არ სურთ ნაკრების მაისურზე გამოხატულ ინგლისის სიმბოლოს სამი ლომის ქვეშ „მეიდ ინ ჯერმან“ იყოს მიწერილი.

## „მანჩესტერს“ ძველი ბაზა აღარ აკმაყოფილებს

„მანჩესტერ იუნაიტედი“ მანჩესტერის მახლობლად არიგონში ახალი 23 მილიონი დოლარის სავარჯიშო კომპლექტის აშენებას აპირებს. ამ ხარჯებს კლუბი საკუთარი ჯიბიდან გაიღებს. მშენებლობა მაშინვე დაიწყება, როგორც კი კლუბი ამის საშუალებას მიიღებს. გეგმაშია 10 დიდი საფეხბურთო მოედნისა და სარეაბილიტაციო ცენტრის აგება. მშენებლობის დამთავრებას 2000 წლისათვის ვარაუდობენ.

## გასკოინი კვლავ ყურადღების ცენტრშია



„სელტიკის“ წინააღმდეგ თამაშის დროს „რეინჯერსის“ თავქარიანმა ინგლისელმა პოლ გასქოინმა მოწინააღმდეგე გუნდის ფანებს შეურაცხმყოფელი ჟესტი უჩვენა, რითაც ლოგიკურია მათი უკმაყოფილება გამოიწვია. ქვეყნის საფეხბურთო ასოციაცია ამ საქმის კურსშია, მაგრამ მაინც არ აჯარიმებს ფეხბურთელს. მათ გაითვალისწინეს ის, რომ გასქოინი ისედაც დაზარალდა მას შემდეგ, რაც საკუთარმა გუნდმა იგი 33,5 ათასი დოლარით დააჯარიმა. ასე რომ, პოლი მხოლოდ მკაცრი საყვედურით გადარჩა.

## ზაგალო და პელე შერიგდნენ

ბრაზილიელი მწვრთნელის მარიო ზაგალოსა და ფეხბურთის მეფე პელეს შორის წარმოქმნილ უთანხმოებას როგორც იქნა ბოლო მოეღო. როგორც ჩანს, ისინი შეთანხმდნენ და ერთობლივი განცხადება გააკეთეს, რომ მათი ქვეყნის ნაკრები მომავალი ჩემპიონატის გამარჯვების უპირველესი ფავორიტია. ზაგალოს თურმე პელესთან მეგობრული სატელეფონო საუბარი ჰქონია და მათ შორის ყოველგვარი უთანხმოება სწორედ ამ საუბრის შემდეგ აღმოფხვრილა. ყოველივე ზემოთ მოყვანილი მარიო ზაგალომ განაცხადა, რომლის აზრითაც პელეს ავტორიტეტი დიდად წაადგება ბრაზილიის ნაკრებს წარმატების მისაღწევად.

## „რეინჯერსი“ ფულებს ფლანგავს

„გლაზგო რეინჯერსი“ შოტლანდიისათვის სარეკორდო თანხით 15 მლნ. დოლარად ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ გამთამაშებლის რეინ სტანკოვიჩის ყიდვას აპირებს. ფეხბურთელი შესაძლოა სეზონის ბოლომდე გამოჩნდეს ახალი გუნდის შემადგენლობაში, რადგან „გლაზგო რეინჯერსის“ ამ ადგილზე მოთამაშე პოლ გასქოინი ალბათ რომელიმე ინგლისურ კლუბში, სავარაუდოდ „მიდლსბროში“, ან „კრისტალ პალასში“ გადავა. სტანკოვიჩის გადაბირება კი იტალიურ „რომასაც“ სურდა. თუმცა არც „ცრვენა ზვეზდას“ უნდა ფეხბურთელთან გამოთხოვება.

## „პსჟ“-ს ცუდმა თამაშმა პრეზიდენტი შეიწირა

სეზონის ბოლოს „პარი სენ ჟერმენის“ პრეზიდენტი მიშელ დენიზო თანამდებობას დატოვებს. მის ადგილს ასევე ტელეჟურნალისტი ჩარლზ ბიეტრა დაიკავებს, რომელიც „კანალ პლიუსის“ სპორტული კომენტატორია. რომლის ადგილზეც, სწორედ პსჟ-ს პრეზიდენტი მოგვევლინება. დენიზოს ეს გადაწყვეტილება, რომელიც უკვე 7 წელია ამ თანამდებობაზე იმყოფება, ფრანგული პრესის თქმით კლუბის ბოლოდროინდელი წარუმატებელი გამოსვლით არის გამოწვეული.

## კაპელოს როსი აღარ მოსწონს

ფაბიო კაპელომ გადაწყვიტა მომავალი წლიდან გადაახალისოს „მილანი“. ამ დღეებში გამოჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ „შალკე 04“-დან მომავალი წლიდან „მილანში“ გადავა გუნდის ძირითადი მეკარე იანს ლემანსი. უეფას თასის ამჟამინდელმა მფლობელმა უკვე დაიწყო მისი შემცვლელის ძიება. მათ თვალი დაადგეს „ბარსელონას“ ჰოლანდიელ მეკარეს რუდი ჰესპს. რომელსაც ერთხელ უკვე წვრთნიდა „შალკე 04“-ის ამჟამინდელი მწვრთნელის ჰუბ სტევენსის „როდაში“ მოღვაწეობის დროს.

## ჰერცოგი ვერდერში რჩება

ავსტრიის ეროვნული ნაკრების წევრი ანდრიას ჰერცოგი 2002 წლამდე ბრემენის „ვერდერში“ დარჩება. ნახევარმცველმა, რომელიც ამ კლუბში მიუნჰენის „ბაიერნიდან“ გადავიდა, კონტრაქტი კიდევ 4 წლით გააგრძელა, რითაც თურმე დიდად გაუხარებია „ვერდერის“ ხელმძღვანელობა.

## იაპონია დიდ მზადებაშია

იაპონიის ნაკრები სხვა გუნდების დარად დიდი მონდომებით ემზადება მსოფლიო ჩემპიონატისათვის. წვრთნას გუნდი შვეიცარიაში გაივლის. მანამდე კი, ისინი ალბათ საფრანგეთის ერთ-ერთ კლუბს, ხოლო შემდეგ ჩეხეთის ნაკრებს შეხვდებიან.

## აშშ-მ მაკედონია დაპატიჟა

აშშ-ს ნაკრები მოსამზადებელი ციკლის ერთ-ერთ მატჩს 16 მაისს ქალაქ სან-ხოსეში მაკედონელთა წინააღმდეგ გამართავს. მსოფლიო ჩემპიონატამდე ნაკრები კიდევ 5 შეხვედრას გამართავს პარაგვაისთან, ავსტრიასთან, შოტლანდიასთან და კიდევ ერთ გუნდთან, რომლის ვინაობაც ჯერ დაუდგენელია.

## ზამერის თამაში კვლავ სათუოა

გერმანიის ეროვნული ნაკრებისა და დორტმუნდის „ბორუსიის“ ტრავმირებული ნახევარმცველის მათიას ზამერის განცხადებით მისი დაბრუნება მწვანე მინდორზე არც მასზე და არც მის ექიმზე არაა დამოკიდებული. იგი მხოლოდ



მის ჭირვეულ მუხლის მორჩენაზეა დამყარებული. ზამერს გასული წლის ოქტომბერში მე-5 ოპერაცია გაუკეთეს. მაგრამ მისი მუხლის აღდგენითი პროცესი ნელა ვითარდება. ნაკრების თავკაცი ბერტი ფოგტსი კი იმედოვნებს, რომ ფეხბურთელი მაისის ბოლოსათვის უკვე შესძლებს თამაშს და მსოფლიოს ჩემპიონატზეც დაეხმარება ქვეყნის ძირითად ნაკრებს.

**მოამზადა ზურაბ დავითაია**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №17

# სენსაცია

## მითი და რეალობა რუსეთის ისტორიის შესახებ, ანუ რუსები სულაც არ ყოფილან რუსები?..

**წინა ნომერში მკითხველს ვაუწყეთ, რომ ეს მეცნიერული ნარკვევი რუსეთის ისტორიის ახლებურად გააზრების ცდაა. გაზეთში ამ ნაშრომის დასტამბვის მიზანი კი ის გახლავთ, რომ მკითხველმა გაიგოს, თუ ვისი უღლის ქვეშ ვგმინავდით მთელი ორი საუკუნე და ვისთან ერთად გვთავაზობენ მომავალში საუკუნო ძმობას და ერთად ცხოვრებას მავანნი და მავანნი.**

VIII ს-ის დასასრულიდან ევროპაში ჩნდება სკანდინავთა შეიარაღებული ბრბოები. ნორმანთა მძვინვარე და თავხედი რაზმები იპყრობდნენ და ძარცვავდნენ ფრანკთა, ანგლო-საქსთა, ფინელთა და სხვა ხალხთა მიწებსა და ქალაქებს. ჰერდერის სიტყვით, ნორმანთა სახელი „საშინელ სახელად იქცა“.

ასობით ხომალდით ნორმანთა რაზმები მდინარეებით აღწევდნენ ევროპის შუაგულს, წვავდნენ და ავერანებდნენ ირგვლივ ყოველივეს, აკისრებდნენ ხარკს დაპყრობილ ხალხებს. ზოგჯერ კი თავად იკავებდნენ სამეფო ტახტებს. საკმაოდ ხშირად ნორმანთა ერთ ჯგუფს ქირაობდნენ მეორისაგან თავის დასაცავად და მაშინ ამათ შორის იმართებოდა სისხლისმღვრელი შეტაკებები.

ნალდოდის ნორმანელმა რაზმებმა აღმოაჩინეს და დასახლდნენ ისლანდიაში. მათვე დაიპყრეს და დასახლდნენ ფარერის, ოკლენდის, შოტლანდიის კუნძულებზე. VIII ს-ის მიწურულს და IX ს-ის დასაწყისში დაიპყრეს ირლანდია (ოლოფი, სიტრიკი და ივარი) და გაყვეს სამ ნაწილად. მთელი ინგლისი დამორჩილდა კნუტს, ჰარალდს და ჰერდიკნუტს. იგივე ბედი ეწია კარლოს დიდის სიკვდილის შემდეგ საფრანგეთს. დაბოლოს როლფმა (მონათლული რობერტად) დაუდო სათავე ევროპის მრავალ სამეფო გვარს (მისი მემკვიდრე ვილჰელმ დამპყრობელი). ნორმანებმა წაართვეს არაბებს აპულია, კალაბრია, იერუსალიმი და ანტიოქია (ეს ორი უკანასკნელი დროებით).

ნორმანი იყო ლეიკ მეზღვაური. რომელმაც XI ს-ის დასაწყისში მიაღწია ჩრ. ამერიკას და დაარსა იქ დასახლება. ამიტომ ბუნებრივიცაა, რომ ნორმანები ვერ დატოვებდნენ უყურადღებოდ აღმოსავლეთს, მით უმეტეს, მდიდარ და ქედმაღალ ბიზანტიას.

ყველაზე ხელსაყრელი გზა ბიზანტიისაკენ გადიოდა ბალტიის (ვარიაგთა) ზღვაზე, დასავლეთ დვინასა და ტბა ილმენით (ილმერი) აუზზე, დნეპრზე შემდეგ კი ზღვით ან დუნაისა და ბალკანეთის გავლით კონსტანტინოპოლში.

ნორმანი ვაჭრები (იმავდროულად ყაჩაღები), რომლებმაც აქ ვარიაგთა სახელწოდება მიიღეს და უკვე VII საუკუნიდან იყენებდნენ ბიზანტიაში მიმავალ ამ გზას, უსაფრთხოებისათვის იწყებენ მისი სიგრძეზე სიმაგრეების აგებას. ეს სიმაგრენი თანდათან სავაჭრო ქალაქებად იქცევა და ნორმანებითვე სახლდება.

"Норманы, обычные обыватели русских городов, издавна наполняли их в таком количестве, что образовали густой слой в составе их населения, закрывающий собой туземцев" (Киевская летопись XV века). "Повесть временных лет" მოგვითხრობს, რომ "новгородцы сначала были славянами, а вотом стали варягами". XI საუკუნეშიც კი გერმანელები, რომლებიც მონაწილეობდნენ მთავარ იაროსლავის წინააღმდეგ 1018 წელს გამართულ ლაშქრობაში, დააკვირდნენ რა კიევის მიწებზე მოსახლე ხალხს, შემდგომ მოუთხრობდნენ მერსბურგის ეპისკოპოს ტიტმარს, რომ "в Киевской земле несметное множество народа, состоящего... из беглых рабов и... проворных данов" გერმანელებს კი, საეჭვოა, ვერ გაერჩიათ თავიანთი თანამეტომე სკანდინავები სლავთაგან.

სკანდინავური საგები მოგვითხრობენ ქვეყანა გარდარიკის — ქალაქთა ქვეყნის (ძველ სკანდინავური) (ასე უწოდებენ ნორმანები გზას „ვარიაგთაგან ბერძნებში“) შესახებ, რაც სრულებით არ ეთანხმება იმას, რაც ჩვენ უკვე ვიცით არა ქალაქებში არამედ ტყეებსა და ჭაობებში მცხოვრებ სლავთა შესახებ, ე. ი. ქვეყანა გარდარიკი.

— ეს არის სახელმწიფო როსთა, ნორმანი ტომისა შვედეთის ოლქ Roslagen-დან. (ფინელები და ესტონელები შვედებს Ruotsi-ს უწოდებენ). ლავრენტიევის მატიანეში ამის შესახებ პირდაპირ წერია: "и пошли за море к варегам, к Руси, потому что так звались эти варяги - Русью, как другие, т.е. варяги, зовутся свеями, а другие урманами. англянами..."

თანამედროვეები მკაცრად მიჯნავენ რუსებს და სლავებს; რუსებს და სხვა ტომებს. აღმოსავლელი ვაჭარი და მოგზაური იბნ-როსტე წერს: "пашень Русь не имеет и питается лишь тем, что добывает в земле славян... Русы не имеют... деревень"

მასუდი და ალ-ბექრი — არაბი ვაჭრები, რომლებიც ხშირად მოგზაურობდნენ დნეპრის მარჯვენა სანაპიროს გავლით ევროპაში, აღნიშნავენ, რომ: "У Русов много городов, они воинственны, драчливы, храбры... они постоянно воюют и нападают на славян, захватывают их в плен и порабощают, а так же добывают в земле славян все необходимое... собирая дань".

"Русы воины и купцы. Они ездят в Хазарию, Византию, Багдад, Их поездки сделали Черное море Русским морем. Они живут в городах.. Русы хорошо одеты, богаты, У них много рабов, драгоценностей, денег, украшений... Славяне платят дань и содержат русов."

ნაწილი ამ რუს ვაჭარ-ყაჩაღთაგან დასახლდა კიევში და მსახურობდა ხაზართა ხაკანთან ბევრად უფრო ადრე, რიურიკისა და მის ძმათა მოსვლამდე. ყველაზე ადრეული წერილობითი მოწმობა როსთა შესახებ გვხვდება ბერტინის ანალებში, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ მიიღო ინგელგეიმში 839 წლის 18 მაისს ფრანგთა იმპერატორმა ლუი I-მა ღვთისმოსავმა ბიზანტიელ იმპერატორ ფეოფილეს ელჩები, "которые говорили, что их завут рос, и которых, как они говорили, царь их, по имени Хакан, отправил к нему ради дружбы... и... тщательно расследовав причину их прыбития, император узнал, что они принадлежат народности шведской".

შემდგომი გამოკითხვებიდან გაირკვა, რომ ესენი იყვნენ კიევის ხაკანის ელჩები, გაგზავნილნი ბიზანტიის იმპერატორთან, რომლებიც დავალების შესრულების შემდეგ უკან ბრუნდებოდნენ, მაგრამ შეეშინდათ ძველი გზით მგზავრობისა, რადგან ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში პაჭანიკები შეიჭრნენ და გზა გადაკეტეს.

ეს ელჩები ლუის სთხოვდნენ გაეტარებინა ისინი კიევში „მათი სამშობლოს — შვედეთის“ გავლით.

ამ პირველ წერილობით წყაროში ყურადღებას ვამახვილებთ ორ მომენტზე: პირველი — დამოწმება იმ ფაქტისა, რომ როსები ანუ რუსები ეროვნებით შვედნი არიან, და მეორე — მათი ხელმწიფის ტიტულია ხაკანი, სავარაუდოა ხაზართა ხაკანი, რომელთანაც ისინი მსახურობდნენ. სხვათა შორის ხაზართა გავლენა როსებზე ძალიან დიდი იყო. საკმარისია აღინიშნოს, რომ ყველა ძველ რუსულ მატიანეში ყველა მთავარს (სვიატოსლავის ჩათვლით) ხაკანს უწოდებენ და მხოლოდ შემდგომნი იწოდებიან „კნიაზებად“ (წარმოდგება „კონუნგ“-იდან — ბელადი სკანდინავურად და ვიკინგიდან — რაინდი).

ნორმანთა არსებობას დნეპრისა და შავი ზღვის სანაპიროზე ბევრად უფრო ადრე რიურიკის გამოჩენამდე დნეპრის ჭორომების ტოპონიმიკაც მოწმობს, მაგალითად: ულვორსი (Holmfors — ჩანჩქერის კუნძული), ბარუფორსი (Barufors — ტალღის ჭორომი) და სხვა.

საკმაოდ რთული იყო ურთიერთობა როსებსა და ბიზანტიას შორის. უკვე IX ს-ის დასაწყისიდან როსთა ნორმანული რაზმები ორჯერ დაესხნენ თავს ბიზანტიას. პირველი თავდასხმა ნოვგოროდელთა რაზმისა ყირიმის ქალაქ სუროშზე (სუდაკი) ქალაქის აღებითა და გაძარცვით დამთავრდა. იგივე განმეორდა მეორე თავდასხმისასაც. ამჯერად დაეცა ქალაქი ამასტრიდა (პაფლაგონიაში), ხოლო 860 წელს ნორმანებმა სცადეს კონსტანტინოპოლის აღება, მაგრამ იმპერატორმა მიხეილმა თავი გამოისყიდა მათგან. მეტიც, რაზმის ხელმძღვანელობამ (ესენი იყვნენ ასკოლდი და დირი) და ბევრმა რაზმელმა მიიღო ქრისტიანობა და ამავე რაზმს კიევში გაჰყვა ეპისკოპოსი მღვდლებითურთ. მატიანეთა ცნობით, უკვე იგორის ხანაში კიევში მრავლად იყვნენ ქრისტიანები, მაგრამ აბორიგენები "исповедовали одну веру, а варяги другую".

თანახმად რუსული მატიანეებისა, IX საუკუნის შუა ხანებში ვარიაგთა რაზმებისაგან შეწუხებულმა ადგილობრივმა ჩრდილოელმა ხალხებმა (ჩუდი, მერი, ვესი, ფინელები და კრივიჩები) საშველად როსთა ნორმანულ ტომებს უხმეს. მაგრამ ეს ხმობა მხოლოდ და მხოლოდ ლეგენდაა, შექმნილი იმისათვის, რათა გაემართლებინათ და აეხსნათ ამ ოდითგანვე ფინურ ტერიტორიებზე სკანდინავ-ვარიაგული ხელისუფლების ლეგიტიმურობა.

IX ს-ის შუახანისათვის ტბების მხარეში ვიკინგებმა უკვე შექმნეს რამოდენიმე სამთავრო: რიურიკი — ნოვგოროდში, ტრუვორო — იზბორსკში, როგვოლდი — პოლოცკში, ტური — ტუროვში, სინეუსი — ბელოოზერში. სწორედ ეს პერიოდი შეიძლება ჩაითვალოს როსების მიერ ამ ტერიტორიის დაპყრობის დასაწყისად.

გამოეყვნენ რა რიურიკს, მისი რაზმის ორი წევრი, ასკოლდი და დირი, რამდენიმე ათეულ თანამემამულესთან ერთად დაიძრნენ სამხრეთისაკენ. "Повесть временных лет" მოგვითხრობს, რომ "Аскольд и Дир, подошедши Днепром к Киеву и узнав, что городок этот платит дань хазарам, остались в нем и, набрав много варягов, начали им владеть". სწორედ ამ მომენტში წყდება ხაზართა მიერ კიევის მფლობელობა. ამგვარად, როგორც კარამზინი აღნიშნავს, "варяги основали две самодержавные области... Рюрик на севере - Аскольд и Дир на юге".

რიურიკის მმართველობა ჩრდილოეთში, სადაც იგი გარშემორტყმული იყო "к западу, северу и востоку народами финскими". უბიძგებდა მას ამ ხალხთა დაპყრობა-დამორჩილებისაკენ, რაც მან თითქმის მოასწრო, დაიმორჩილა რა ვესი, მერი, მურომა. რიურიკის წარმატებებმა ახალი მიწების დაპყრობაში მიიზიდა მასთან მრავალი თანამემამულე, რომლებიც ნოვგოროდს, ლადოგას, ფსკოვსა და ჩრდილოეთის სხვა ქალაქებში დასახლდნენ.

რიურიკის მემკვიდრემ, ხელგიმ (რუსულ ისტორიოგრაფიაში ოლეგი) 882 წელს შეუერთა ვარიაგთა დრუჟინას ვესი, მერი, ჩუდი და კრივიჩები და "пошел к странам днепровским".

გზად მან დაიმორჩილა სმოლენსკი და ლიუბეჩი, ხოლო შემდეგ გამოიტყუა კიევიდან ასკოლდი და დირი, დახოცა ისინი, დაიმორჩილა კიევი და ასკოლდისა და დირის ნორმანელთა რაზმი.

კიევის ახალი სახელმწიფოს დედაქალაქად გამოცხადების შემდეგ იგი აუყვა გზას კიევიდან ნოვგოროდამდე და აიძულა ამ მიწებზე მცხოვრები ტომები, ხაზართა ნაცვლად მისთვის ეძლიათ ხარკი. მისი ბრძანებით, ჩრდილ-

გაგრძელება მეთერთმეტე გვერდზე

# სამხედრო საკითხები

## ნატოს გაფართოება და საზღვრები

**ვაქვეყნებთ, ნატოს-ს ორი მაღალი მოხელის წერილს, იგიშეიცავს ცნობებს, რომლებიც ჩვენი საზოგადოებრიობისათვის სრულიად ახალია.**

**ბრუს ჯორჯი, პარლამენტის წევრი, თემთა პალატის თავდაცვის შერჩევითი კომიტეტის თავი, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკურ საქმეთა და უშიშროების გენერალური კომიტეტის თავმჯდომარე, ჩრდილო ატლანტიკური ასამბლეის ტრანსატლანტიკური და ევროპული ურთიერთობების ქვეკომიტეტის კოორდინატორი.**

**ჯონ ბორავსკი, ჩრდილო ატლანტიკის ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის დირექტორი**

1997 წლის 8-9 ივლისს ნატოს მადრიდის სამიტმა დააგვირგვინა განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი ატლანტიკური ალიანსის ევოლუციაში. თუმცა ნატოს ძირითადი ფუნქცია, — კოლექტიური თავდაცვა — კვლავ დადასტურდა, ალიანსმა მიიღო შემდგომი ზომები, რათა სტაბილობა გაავრცელოს საკუთარი სახელშეკრულებო არეალის მიღმა და დაიცვას მშვიდობა მთელ ევროპაში. ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი და პოლონეთი მიწვეულ იქნენ ალიანსში შესასვლელად 1999 წლისათვის და კარი ღია იქნა დატოვებული ცხრავე დანარჩენი სახელმწიფოსთვის, რომელთაც შეიძლება მიღება ითხოვონ მომავალში.

ჩატარდა „ჩრდ. ატლანტიკის კოოპერაციის საბჭოს“ (NACC) და „მშვიდობისათვის პარტნიორობის“ (PFP) . ნაერთის — „ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს“ (EAPS პირველი სხდომა. ეს უფრო ინტენსიურს გახდის პოლიტიკურ დიალოგსაც და პრაქტიკულ სამხედრო თანამშრომლობასაც.

„ნატო-უკრაინის ქარტიას გამორჩეულ ურთიერთობათა შესახებ“ რომ ხელი მოეწერა, ეს ნიშნავს უკრაინის მნიშვნელოვანი როლის აღიარებას რეგიონული და ევროპული უშიშროებისათვის. მანამდე რამდენიმე კვირით ადრე ხელი მოეწერა ნატორუსეთის „დამფუძნებელ აქტს“, რომლითაც ახალი ერა იხსნება ამ ალიანსის და მისი ყოფილი მოწინააღმდეგის ურთიერთობაში. ნატომ თანამშრომლობა დაიწყო სამხრეთ ხმელთაშუა ზღვის აუზის რამდენსამე ქვეყანასთანაც.

ნატოს გენერალური მდივნის ხავიერ სოლანას სიტყვით, მადრიდის სამიტმა შექმნა ალიანსი, რომელიც „უფრო ძლიერია და მიზნის მეტი შეგრძნება აქვს“, მაგრამ ისიც თქვა, რომ „მადრიდით საქმე არ მთავრდება. წინ გვიძევს მნიშვნელოვანი სამუშაო და მასშტაბური გადაწყვეტილებები, რომლებიც ამ რამდენსამე თვეში უნდა მივიღოთ“. აქ განვიხილავთ ზოგიერთ სტრატეგიულ მიმართულებას.



### გაფართოება

ყველაზე მეტად საზოგადოებრიობა მოელოდა გადაწყვეტილებას ნატოს გაფართოების შესახებ. თუმცა ეს უკვე გათვალისწინებული იყო ბრიუსელის სამიტზე 1994 წლის იანვარში, ნატოს ბევრი წევრი, — აშშ და გერმანიის გამოკლებით — მაინცადამაინც არ იყო აღფრთოვანებული ამ ნაბიჯით. ისინი შიშობდნენ რუსეთის ოპოზიციის გამო, ამბობდნენ, რომ უმჯობესია ახალი ქვეყნების ჯერ ევროკავშირში გაწევრიანება, და შიშს გამოთქვამდნენ, რომ ნატო ებმება ისეთ რეგიონში, სადაც ეროვნული უმცირესობები კამათობენ და გამყოფ ხაზთა გადასინჯვა მიმდინარეობს. (მიუხედავად იმისა, რომ ამავე საბუთებს იმოწმებდა რუსეთი, როცა 1990 წელს ებრძოდა გაერთიანებული გერმანიის შესვლას ნატოში). ბოლოს მაინც გაიმარჯვა აზრმა, რომ რაც კარგია ნატოს არსებული 16 მონაწილისთვის, ის კარგია დანარჩენი განსახილველი ქვეყნებისთვისაც.

თუმცა 9 ქვეყანა, მათ შორის საბერძნეთი მომხრე იყო რუმინეთისა და სლოვენიის შეყვანისაც, გაიმარჯვა აშშ აზრმა, რომ პირველი ტალღა შეზღუდული დარჩეს, მაგრამ ნათლად იყოს ნაგულისხმევი, რომ მოხდება ახალი წევრების მიწვევა (შესაძლოა, ნეიტრალური ავსტრიის ჩათვლითაც). სკეპტიკოსები ლაპარაკობდნენ ნატოს გაფართოების გაურკვეველ ხარჯებზე, მაგრამ ეს თემა არასოდეს გამხდარა სალაპარაკოდ რომელიმე ძველ წევრისთვის. ნატოში არსებობს კონსენსუსი იმის თაობაზე, რომ ხარჯებს გასწევდებიან მიუხედავად იმისა, რომ აშშ მოთხოვნა, დანარჩენმა • წევრებმა არსებითად გაზარდონ თავისი ძალები განურჩევლად ალიანსის გაფართოებისაო, უსათუოდ დავას გამოიწვევს.

თუმცა მოელოდნენ, რომ გადაწყვეტილება პირველი ტალღის შესახებ მოწვეულ ქვეყნებს ეცნობებოდათ მადრიდის შეხვედრამდე, რათა აცილებულიყო „აკადემიის ჯილდოს მინიჭების მსგავსი ცერემონია“, კონსენსუსი ვერ იქნა მიღწეული პირველ სხდომამდე.

ნატოს უნდა, ყველამ იცოდეს, რომ მისი კარი ღია იქნება მომავალი კანდიდატებისათვის. ამიტომ მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ პირველი ტალღა წარმატების მომტანი აღმოჩნდეს. სამივე ქვეყანას შეჰხვდება საბიუჯეტო სირთულეები, რათა მიაღწიონ თანამშრომლობისუნარიანობას ნატოს ძალებთან (ენა, ბრძანებები, კომუნიკაცია, ინფრასტრუქტურა) და მოახდინონ მოძველებული ვარშავის პაქტისდროინდელი ძალების მოდერნიზაცია (პოლონეთი არ მოელის სრულ თანამშრომლობისუნარიანობას 2012 წლამდე). ამიტომ ნატო თავისი გაფართოების პროცესს გადაჰხედავს 1999 წელს და ამ შუალედში გააძლიერებს თავის ურთიერთობას ყველა ქვეყნებთან, ვინც მასში შესვლის სურვილს გამოთქვამს. ეს შეიძლება განხორციელდეს „მშვიდობისათვის პარტნიორობის“ მსგავსი, თუმცა უფრო დახვეწილი ოპერაციების განცხორციელებით, რომლებიც ამჯერად გასცდება ჰუმანიტარულ, სამშვიდობო, საძიებო და გადამრჩენი მანევრების ფარგლებს. გარდა ამისა, მსურველები იმედოვნებენ, რომ უკვე მოწვეული ქვეყნები მათ გაუზიარებენ თავის გამოცდილებას ნატოში შესვლასთან დაკავშირებით, რითაც დააჩქარებენ იმათ მიწვევას, ვინც არ დაუპატიჟებიათ მადრიდში. ეს შეიძლება გაკეთდეს უნგრულ-რუმინული და პოლონურ-ლატვიური ბატალიონების დახმარებით.

საკვანძო ტესტი შეეხება ბალტიისპირელებს. აშშ-ს და ჩრდილო ქვეყნებს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ ფიქრობენ მათ გაწევრიანებას ალიანსში (აშშ იმასაც ამბობს, რომ ნატოს გაფართოების პროცესი არ იქნება სრული, სანამ ის ქვეყნები იქ არ ჩაერთვებიან). მადრიდის დეკლარაცია ბალტიის ქვეყნებს იხსენიებს „მოსწრაფე წევრებს“ („მსურველ წევრებს“) შორის. მაგრამ ზოგი მოკავშირეთაგანი, რუსეთის რეაგირებით შეფიქრიანებული, სიფრთხილეს გამოთქვამს რომელიმე ყოფილი სსრკ რესპუბლიკის მიწვევის თაობაზე, თუმცა პოლონეთსაც, ნორვეგიასავით, საზღვარი აქვს რუსეთთან (კალინინგრადი), და თუმცა ჩრ. ატლანტიკის ხელშეკრულების მეათე პუნქტი ამბობს, რომ „ყოველი ევროპული სახელმწიფო“ პოტენციურად ნატოს წევრია. რუსეთის პრემიერმა ჩერნომირდინმა მოუწოდა ბალტიის ქვეყნებისთვის, აგრეთვე ფინეთსა და შვედეთისთვის ბლოკებში არამონაწილეთა სტატუსის შენარჩუნებისაკენ. ამან აიძულა ნორვეგიის კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარე იან პეტერსენი, ეკითხა: „ჩვენ ვამბობთ, რომ წინააღმდეგნი ვართ ჰეგემონიისა და ახალი გამყოფი ხაზებისა. მაგრამ განა ვინმე ურიგდება ტაქტიკურად იმას, რომ არსებობს სფეროები, რომელშიც ნატოს ფეხი არ უნდა წაუცდეს?“

ამჟამად ეს საკითხი საჩქარო არაა, სხვა თუ არაფერი იმის გამო მაინც, რომ არც ერთ ბალტიის ქვეყანას არ ჰყავს არც ერთი ტანკი ან საბრძოლო თვითმფრინავი, რაც, რა თქმა უნდა, კითხვის ქვეშ აყენებს მათ უნარს იტვირთონ ნატოს წევრობიდან გამომდინარე როლები, რისკი და პასუხისმგებლობები. მაგრამ თუ ნატოს წარმოვიდგენთ როგორც ევროპის ახალი გაყოფის მონაწილეს, შეიძლება შთაბეჭდილება შეგვექმნეს, რომ ლაპარაკია იალტისებურ თანხმობაზე ერთი სუპერძალის (ლაპარაკია აშშ-ზე. რედ.) მხრიდან, მორალურ უკანდახევაზე და მის მიერ თავისი პოზიციის დათმობაზე. გარდა ამისა, როგორც კი ბალტიის ქვეყნები შეუერთდება ევროპის კავშირს, რაც ყველაზე ადრე ესტონეთს მოუწევს, შესაძლებელი იქნება მათი შესვლა დასავლეთ ევროპის კავშირში“; ვინაიდან შეთანხმებულია, რომ ევროპის უშიშროებითი და ფავდაცვითი ერ-

გაგრძელება მეცხრე გვერდზე

# ნატოს გაფართოება და საზღვრები

მერვე გვერდიდან

თობის განვითარება მოხდება ნატოს შიგნით. ესეც ერთი მიზეზია იმისა, რომ გარდაუვლად დადგება ბალტიისქვეყნების წევრობის საკითხი. რა თქმა უნდა, ვინც ყოვლად უსაფუძვლოდ ფიქრობს, რომ ნატოს გაფართოებას (ან თუნდაც მის არსებობას) გამართლება სჭირდება კონკრეტული „საშიშროების" მითითების სახით, ის კარგ სამსახურს არ უწევს იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ნატოსკენ მიისწრაფიან. მნიშვნელოვანია, ყველას ახსოვდეს, რომ ნატო იმისთვის კი არ ფართოვდება, რათა წინ აღუდგეს საშიშროებას, არამედ იმისთვის, რომ განამტკიცოს დემოკრატია და გაზარდოს თავისი უნარიანობა სამშვიდობო ოპერაციების წარმოებისა, როგორც იყო ბოსნიაში.

სინტრაში (პორტუგალია) 10 V 1997 ხელი მოეწერა „ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს" (EAPS) „ძირითად დოკუმენტს". მას ეწოდება „ახალი კოოპერაციის მექანიზმი", რომლის მოქმედება თავსდება დიაპაზონში პოლიტიკურ და უშიშროების საკითხებსა და სამშვიდობოს მსგავს ოპერაციებში თანამშრომლობას შორის. პარტნიორები აღარ იქნებიან მხოლოდ მიმღებნი ალიანსის გადაწყვეტილებებისა, არამედ უფრო ჩაებმებიან გადაწყვეტილებათა მიღებაში და შეეძლებათ მონაწილეობა ნატოს შტაბბინაში ყოველთვიურ საშტაბო შეხვედრათა ჯაჭვში, რითაც შემცირდება მანძილი პარტნიორსა და მოკავშირეს შორის.

### ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭო

1997 წლის 9 ივლისს მადრიდში ნიდერლანდიის პრემიერმინისტრმა ვიმ კოკმა გამოთქვა აზრი, რომ „ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს „დიდი წვლილი" ნატოში იქნება კონფლიქტების ალკვეთა და კრიზისების მოგვარება". მაგალითად, ეს საბჭო ნატოს შემოწმებული რესურსებითურთ შეიძლება პარტნიორად ჰყავდეს მშვიდობის დაცვაში ეუთოს. ნატოს და მისი 20 პარტნერის მიუცილებელი წვლილი გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და სტაბილიზაციის ძალებში ბოსნიაში და, უდავოდ, იმ ძალებშიც, [illegible] მოვლენ მანდატის ვადის დამთავრების შემდეგ 1998 წელს, ღირებული გაკვეთილი და პრეცედენტი იქნება სხვა ცხელ წერტილებში არსებული პრობლემების გადაჭრისათვის. კერძოდ, იგი შეიძლება გამოდგეს ყოფილ საბჭოთა კავშირში ჩასატარებელი სამშვიდობო ოპერციების დამგეგმავ ორგანოდაც კი. ამით გამოჩნდება, რომ ეს რეგიონი სასიცოცხლო საზრუნავია ეუთოს მონაწილე ქვეყნებისათვის, მაგრამ ამავე დროს ეს განამტკიცებს მიუდგომლობას და განაქარვებს წარმოდგენას, თითქოს არსებობს რუსეთის გავლენის რაღაც სპეციფიკური სფერო, მაგალითად, არამყარი და ენერგიით მდიდარი კავკასია. ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ ეუთოს ფუნდამენტურ პრინციპზე დაყრდნობით, როგორადაც იგი ჩამოყალიბებულია 1996 წლის ლისაბონის დოკუმენტში: „ვერც ერთ სახელმწიფოს, სახელმწიფოთა ორგანიზაციას ან ჯგუფს ვერ ექნება რაიმე უპირატესი პასუხისმგებლობა მშვიდობისა და სტაბილიზაციის დაცვისათვის ეუთოს რეგიონში და ვერავინ განიხილავს ეუთოს რეგიონის რომელსამე ნაწილს როგორც გავლენის სფეროს". საბჭო იძლევა საშუალებას 21 ქვეყნის თვალწინ შემოწმდეს ეუთოს წევრ-სახელმწიფოთა დამოკიდებულების სერიოზულობა ამ არსებითი წესისადმი, რომელიც უშიროების გზას წარმოადგენს.

### ნატო-რუსეთი

1994 წელს რომ „პარტნიორობა მშვიდობისათვის" ამოქმედდა, ამის განზრახვა იყო თანამშრომლობის ერთი და იმავე შესაძლებლობის მიცემა ეუთოს მონაწილე ყველა სახელმწიფოსთვის, ვისაც ამის სურვილი და უნარი ექნებოდა. მაგრამ რუსეთმა მალე მოინდომა „უშიშროებისთვის თანამშრომლობის" პარალელურად ნატოსთან განსაკუთრებული ურთიერთობის დამყარებაც და მასთან გათანაბრებაც თავისი სტატუსით. ნატო დასთანხმდა, მაგრამ უთანხმოებამ ნატოს გაფართოების თაობაზე გააგრძელა ეს დისკუსია, ასე რომ რუსეთს არ უთამაშია რაიმე აქტიური როლი „მშვიდობისთვის თანამშრომლობაში" (PFP). მაინც, მან ჩართო 1300 ჯარისკაცი „იმპლემენტაციის (გადაწყვეტილებათა განხორციელებას. მთარგმ.) და სტაბილიზაციის ძალებში" (IFOR/SFOR), რომლებსაც აკონტროლებს აშშ, რაც სამართლიანად იქნა განხილული როგორ ცივი ომისშემდგომი სიტუაციის განვითარების მნიშვნელოვანი წყალგამყოფი მიჯნა.

1996 წლის დეკემბერში რუსეთი ბოლოსდაბოლოს დასთანხმდა სერიოზულ მოლაპარაკებათა დაწყებას — შესაძლოა, იმიტომაც, რომ მიხვდა, გაფართოება მაინც მოხდებოდა მისი პროტესტების მიუხედავად. მაგრამ მას არასოდეს შეუთავაზებია რაიმე დამაჯერებელი ალტერნატივა იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც არ კმაყოფილდებიან ნეიტრალიტეტით ან „ნაცრისფერი" სტატუსით და რომლებსაც აშკარად ურჩევნიათ დასავლეთთან შეერთება ვიდრე, ვთქვათ, უშიშროების გარანტიების მიღება ნატოსგანაც და რუსეთისგანაც. თუმცა რუსეთი ესწრაფვოდა ხელშეკრულებას და გარანტიას, რომ ნატო თავის ინფრასტრუქტურებს არ გადააადგილებდა აღმოსავლეთისკენ ან არ გაფართოვდებოდა ბალტიის ქვეყნების ანუ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ხარჯზე, 1997 წლის 27 მაისის პარიზის შეხვედრის შედეგი იყო მხოლოდ პოლიტიკური განცხადება „დამფუძნებელი აქტი", რომელიც, უბრალოდ, აღრიცხავდა ნატოს ცალმხრივ განცხადებებს, რომ ნატოს არა აქვს დღეისათვის ან განჭვრეტადი მომავლისთვის განზრახვა, განალაგოს ბირთვული ან სუბსტანციური (მნიშვნელოვანი, მთარგმ. შენ.) ჩვეულებრივი ძალები თავის ახალ წევრთა ტერიტორიაზე. ამ დოკუმენტში არ ყოფილა რაიმე შეზღუდვა ან ინფრასტრუქტურაზე, ან იმაზე, რომელი ქვეყნები იქნება კიდევ მიწვეული ნატოში.

კონსულტაციისა და კოოპერაციის არეალი ამ შემთხვევაშიც იმის მსგავსია, რაც უკვე შესთავაზა რუსეთს ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭომ. „16+1"-ის კონსულტაციები არსებობდა 1994 წლიდან. სიახლე ის იყო, რომ შეიქმნა „მუდმივი ერთობლივი საბჭო" ამ 16 მოკავშირესა და რუსეთს შორის, რომელიც წელიწადში ოთხჯერ შეიკრიბება მინისტრთა დონეზე და ყოველთვიურად — ელჩთა დონეზე. პარტნიორობის საბჭოსგან განსხვავებით, რომელსაც გენერალური მდივანი თავმჯდომარეობს, „მუდმივ ერთობლივ საბჭოს" უთავმჯდომარევებს „სამეული" (TROIKA): გენერალური მდივანი, რუსეთის და ნატოს წარმომადგენელი. განზრახვა ისაა, რომ ისწრაფონ რაც შეიძლება მეტი ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებისკენ ისეთ სფეროებში, როგორიცაა მშვიდობის მხარდაჭერა და თეატრებზე ბალისტიკური რაკეტების საწინაალმდეგო თავდაცვა, მაგრამ არც ერთ მხარეს არა აქვს ვეტოს უფლება მეორის მიმართ. მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებაც, შეიქმნას ურთიერთკავშირის მისიები, რომელსაც შეიძლება დიდი ფსიქოლოგიური ზემოქმედება ექნეს რუს სამხედროებზე. პირველი და წარმატებული შეხვედრა შედგა 1997 წლის 26 IX ნიუ-იორკში. იგი ფოკუსირებული იყო ბოსნიაზე, მშვიდობის დაცვაზე იქ და სამუშაო გეგმის შედგენაზე.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რუსეთმა მწვანე შუქი მისცა ნატოს შეუზღუდავ გაფართოებას ან რომ მან მოიპოვა აქტიური პარტნიორობა ნატოში. მაგალითად, ნიუ-იორკში შეხვედრის დღესვე რუსეთის დუმამ გამოაცხადა თავისი შეშფოთება რუსეთის საზღვართა მახლობლად „მშვიდობისათვის პარტნიორობის" აქტივობის გამო, ივარაუდა რა, რომ აშშ ემზადება პარაშუტისტების განლაგებისათვის რუსეთის ტერიტორიაზე, და გამოთქვა თავისი პოზიცია, რომ დსთ ქვეყნებისა და ბალტიის სახელმწიფოების საბრძოლო აქტივობანი ნატოსთან ერთად მის მიერ განხილული იქნება როგორც „მტრული" აქტი, რომელიც აზიანებს, „განსაკუთრებით", ეკონომიკურ ურთიერთობებს.

გარდა ამისა, რუსეთი ნატოს გაფართოებას კვლავაც შეცდომად თვლის, იგი მიიჩნევს, რომ შეუძლია რაღაცნაირად ჩაენაცვლოს აშშ-ს ან თანასწორად შეავსოს აშშ-ს როლი ევროპაში. ნატოს „ტრანსფორმაციას" იგი გაიგებს როგორც იმის მაგულისხმებელს, რომ ნატო უფრო უნდა გახდეს „პოლიტიკური" და „მშვიდობისდამცველი" ორგანიზაცია, ვიდრე ალიანსად დარჩეს. თითქოსდა ეროვნული უშიშროება არ წარმოადგენდეს ინტერესს ნატოს დღევანდელი და მომავალი წევრებისათვის! ეს აქტი მხოლოდ ერთი ნაბიჯია ნატო-რუსეთის ურთიერთობათა ნორმალიზაციისა და დასავლეთის დინებაში რუსეთის ჩართვის ოღრო-ჩოღრო გზაზე. რუსეთის თანხმობა მიიღოს მონაწილეობა სამშვიდობო ოპერაციებში გაეროს ავტორიტეტის (ხელისუფლების მთარგმ. შენ.) ან ეუთოს პასუხისმგებლობის ქვეშ ტესტად გამოდგება ეუთოს მოქმედების მთელ რეგიონში „განუყოფელი" უშიშროების შესამოწმებლად.

გაგრძელება მეთერთმეტე გვერდზე

# ს ე ნ ს ა ც ი ა

## მითი და რეალობა რუსეთის ისტორიის შესახებ, ანუ რუსები სულაც არ ყოფილან რუსები?..

მერვე გვერდიდან

ოელ ხალხს ხარკი ნორმანთათვის უნდა გადაეხადა. ამ ხარკს ნესტორის თქმით, რუსები კრეფდნენ თვით იაროსლავის სიკვდილამდე (თითქმის 150 წელი).

შემდეგ ხელგიმ (ოლეგმა) დაიწყო მის მიერ დაპყრობილ მიწებზე საყრდენ პუნქტთა შექმნა, მოწყვიტა სახაკანოს და დაიმორჩილა ჩერნიგოველი და ვიტებსკელი თურქები. ამის შემდეგ ყურადღება მიაპყრო დნეპრის მარჯვენა სანაპიროზე მცხოვრებ აღმოსავლეთის სლავებს, დაიმორჩილა ისინი და აიძულა ეძლიათ მისთვის ხარკი და მონაწილეობა მიეღოთ მის ლაშქრობებში.

ამგვარად, X საუკუნისათვის ნორმანთა სამფლობელო, ქვეყანა „გარდარიკი" გადაჭიმული იყო შედარებით ვიწრო ზოლად ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დნეპრზე, ლოვატსა და ვოლხოვზე გამავალი დიდი სავაჭრო გზის გასწვრივ. მის დედაქალაქად იქცა განაპირა კიევი. სწორედ დედაქალაქის ეს სასაზღვრო მდგომარეობა ძალზე კარგად განსაზღვრა კარამზინმა: "монархи народов образованных желают иметь столицу среди государства... Олег, всего более думая о завоеваниях, хотел жить на границе, чтобы тем скорее нападать на чужими земли".

აქვე აღვნიშნოთ, რომ სწორედ ამან განაპირობა თითქმის ათასწლიანი მტრობა ხაზარეთთან, რომელსაც ეკუთვნოდა ეს მიწები. როსთა ექსპანსიონისტური მისწრაფებების კარამზინსეული განმარტება იმითაც დასტურდება, რომ თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ სვიატოსლავმა დააპირა დედაქალაქის გადატანა ბიზანტიის საზღვარზე, ქალაქ პერიასლავეცში. და მხოლოდ ბიზანტიის მკაცრმა რეაქციამ, რომელმაც დაამარცხა ნორმანები პერიასლავეცთან, შეინარჩუნა ისტორია ისეთად, როგორიც დღეს გვაქვს.

მაგრამ კიევი იმითაც იზიდავდა ნორმანებს, რომ იგი "замыкал цель торговых городов грековаряжской речной линии Днепра-Валхова... Кто владел Киевом, так держал в сових руках ключ от главных ворот русской торговли."

"Повесть временных лет" გვამცნობს, რომ 907 წელს ხელგი აწყობს ლაშქრობას კონსტანტინეპოლზე. მის რაზმთან ერთად ლაშქრობაში მონაწილეობდნენ მის მიერ დამორჩილებულ ხალხთა და ტომთა მეომრებიც: ჩუდი, მერი, პაჭანიკები, ყივჩაღები, სლოვენები, კრივიჩები და სხვანი, რაც იმ ხანის ჩვეულებრივი პრაქტიკა იყო და არა მარტო იმ ხანის. 1941-1945 წლებში რუსეთის არმიის მინიმუმ ნახევარს შეადგენდნენ რუსეთის ახალ იმპერიაში — სსრკ-ში შემავალი ხალხები.

გააფთრებული შეტაკებების შემდეგ ბერძნებმა ზავი ითხოვეს.

კონსტანტინოპოლს გაემართა ხუთი კაცისაგან შემდგარი ელჩობა, (კარლი, ჰარლოფი, ველმუდი, რულავი და სტემიდი (მართლაცდა რა წმინდა სლავური სახელებია!)), რომელმაც კონუნგის, ხელგის სახელით დადო ზავი, რის შემდეგაც ხელგიმ, ნორმანული ტრადიციის თანახმად, ბიზანტიასთან ზავის ნიშნად დაკიდა კონსტანტინოპოლის ალაყაფის კარებზე თავისი ფარი.

ზავის პირობების თანახმად, ბიზანტიამ ნორმანთა სასარგებლოდ ყოველწლიური გადასახადი იკისრა. სანაცვლოდ ნორმანები ბიზანტიის შავიზღვისპირა ქალაქების სიმშვიდის გარანტიას იძლეოდნენ და, საიდუმლო პუნქტით, კისრულობდნენ ვალდებულებას დაეწყოთ საომარი მოქმედებები არაბთა წინააღმდეგ, ბიზანტიისაგან ამ უკანასკნელთა ყურადღების გადასატანად. თუ 860 წელს ზავის შემდეგ, დარტყმა მიაყენეს კასპიის ნაპირზე მდებარე ქალაქ აბეზგუნის რაიონში არაბთა ხალიფას ვასალ ჰასან იბნ-ზაიდას სამფლობელოებს, ახლა, 909 წელს, ნორმანებმა შეუტიეს ჯერ იუსუფ იბნ-აბუ ს-სადაჯს, ბაღდადის ხალიფას ნაცვალს სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ კასპიისპირეთში, ხოლო შემდეგ მავერანნახრას მფლობელებს — ხორასანსა და ტაბარისტანს — ხალიფას ვასლებს.

912 წელს, წინა ხელშეკრულების პროლანგაციის მიზნით, ხელგი კვლავ გზავნის ელჩობას კონსტანტინოპოლში და კვლავ ვხედავთ ელჩებს — კარლს, ფარლოფს, ველმუდს, რულავსა და სტემიდს. ამათ შეემატნენ ვერმიდი, რუალდი, კარნი, რიუარი, ლიდულფოსტი და სხვანი.

ახალი ხელშეკრულება იწყება შემდეგი სიტყვებით: "Мы от рода Русов... иже посланы от Хелги, великого конунга русов".

და ამას, როგორც უკვე შევეხვიეთ, მოჰყვა ვიკინგთა ახალი ლაშქრობა ამიერკავკასიაში (ხოლო 700 მეომარი — როსი მიემართება ბიზანტიის არმიის შემადგენლობაში კრეტელ არაბებთან საბრძოლველად). მივაქციოთ ყურადღება მოვლენათა თანამიმდევრობას: ნორმანებსა და ბიზანტიელებს შორის დადებულ ყოველ მორიგ ხელშეკრულებას, მოსდევს ნორმანთა დარტყმა არაბებსა და მათი ვასლებისათვის კასპიისპირეთსა და ამიერკავკასიაში.

მაგრამ იქ მოსახვედრად ნორმანებს უნდა გაევლოთ ხაზარეთის მიწაზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, VIII-IX სს-ში ბიზანტიასა და ხაზარეთს შორის დამყარდა დინასტიური ქორწინებებით განმტკიცებული მეგობრული ურთიერთობები. ორივე სახელმწიფოს ინტერესები ერთ, ანტიარაბული ბრძოლის სიბრტყეში იყო განფენილი.

IX ს-ის შუა ხანებში ნორმანთა რაზმების გამოჩენამ და მათი სიძლიერის სწრაფმა ზრდამ შეცვალა ამ რეგიონში ძალთა თანაფარდობა. როსთა ექსპანსიური მისწრაფებანი სამხრეთისა და აღმოსავლეთისაკენ უპირისპირებდნენ ერთმანეთს ნორმანებსა და ხაზარებს, მაგრამ X ს-ის შუა ხანებამდე ბიზანტია არბილებდა ამ წინააღმდეგობებს.

ხაზარებს, რომლებიც აკონტროლებდნენ ყველა გზას დონს, ვოლგასა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთზე, და როსებს შორის სულ უფრო მზარდ მეტოქეობაში ბიზანტია მუდამ მხარს უჭერდა ხაზარეთს, რომელიც დიდ როლს თამაშობდა იმპერიის პოლიტიკურ გაანგარიშებებში.

პირველ ყოვლისა, ხაზარები მისთვის აღმოსავლურ ტომთა შემოსევებისაგან დასაცავ საიმედო ფარს წარმოადგენდნენ. ხაზარებსა და ბიზანტიელებს საერთო მტერი აერთიანებდა — არაბები. ამასთან, ხაზარეთი შემაკავებელი ფაქტორის როლს ასრულებდა ჩრდილოეთით ნორმან-როსთა გაუთვალისწინებელ და აგრესიულ მოქმედებათაგან.

სიტუაციამ დაიწყო შეცვლა IX ს-ის მიწურულიდან, როდესაც პაჭანიკთა ურდოებმა გაარღვიეს ხაზარეთის საზღვრები და მოადგნენ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთს, ხოლო თავად ხაზარებმა ებრაელ ქურუმთა გავლენით X ს-იდან იწყეს ქრისტიანთა დევნა.

მაგრამ, ჯერჯერობით ბიზანტია ცდას არ აკლებდა, რათა პოტენციური მეტოქენი მოკავშირეებად ექცია.

ამგვარად ნორმანები ბიზანტიის მხარდაჭერით დიპლომატიური გზით აღწევდნენ ხაზართა სახაკანოს ნებართვას ამიერკავკასიაში ლაშქრობებისას მის მიწაზე გასავლელად.

**ვლადიმერ ხვედელიძე.**

*გაგრძელება იქნება*

# რეპორტაჟი არასრულწლოვანთა კოლონიიდან

მეექვსე გვერდიდან

ლებით გამასამართლეს.

— **სახელმწიფო ქონების გატაცება და გაუპატიურების მცდელობა?**

— დიახ. ექვსი წელი მომისაჯეს. ორი უკვე დავამთავრე.

— **მშობლები გყავს?**

— კი. დაც მყავს და ორი ძმაც.

— სადაური ხარ?

— კახელი. ქარელიდან... გოგიშვილი მერაბი.

— **ვინაობას გამიმხელდი, რომ მეთქვა, ამ წერილს საგაზეთოდ ვამზადებ-მეთქი?**

— დასამალი რა არის.

— **შენზე მითხრეს, კოლონიის ჩემპიონიაო, მართალია?**

— დიახ, ვჭიდაობ. გარედან მოსულ სტუმარსაც ბევრჯერ მოვუგე... გვაქვს სპორტული კომპლექსი, საჭიდაო მოედანი. როცა გავთავისუფლდები, ამ გზას გავყვები...

— **„ჩემპიონას" გეძახიან თუ სხვა ზედმეტსახელი გაქვს?**

— „ქარელა" ვარ...

— **რამდენი წლისა ხარ?**

— თვრამეტის.

### შენ რაღა დააშავე?

— **შენ რაღა დააშავე?** — ვკითხე მის გვერდით მდგომ, სიმპათიურ ფერაყრილ ყმაწვილს.

— თოფი მოვიპარე.

— **რისთვის?**

— ... პაუზა.

— **რამდენი მოგისაჯეს?**

— ხუთი წელი. ერთი წელი უკვე გავიარე...

— **სად დაიბადე?**

— სიღნაღში. მენატრება ჩემი სოფელი.

— **მშობლები გყავს?**

— კი. დაიკოც!.. ჩვიდმეტი წლის ვარ.

— **გვარი.**

— გურაშვილი გოჩა.

— **თუ გაკითხავს ვინმე?**

— არა, მომიძულეს. ვის ვჭირდები ასეთი?

— **რატომ, კარგი ბიჭი ჩანხარ, სკოლაში თუ დადიხარ? აქ კარგი სკოლა გქონიათ.**

— მეცხრე კლასში ვარ. ქართული მიყვარს ძალიან და მასწავლებელიც — ნინო ავსაჯანიშვილი.

დიდხანს მიმყვებოდა გოჩას ნაღვლიანი მზერა.

### ჯიბგირები ინტერვიუს არ იძლევიან

შავგვრემან, კუნთმაგარ ვაჟთან შევჩერდი, რომელსაც ყაზარმაში შემოპარული ქარი ქოჩორს უწეწავდა.

— **შენც გაიტაცე რამე?**

— არა, მე ჯიბგირი ვარ. ჯიბგირები კი ინტერვიუს არ იძლევიან.

— **ეროვნებით?**

— იეზიდი. თბილისელი — აიკაზ დრბოევი.

— **ჯიბის ქურდი ხარ?**

— დიახ, რა არ მოგწონთ? კი, ბატონო, მაჭამე, მასვი, მაცხოვრე და არ მოვიპარავ...

— **რამდენი გიწილადეს?**

— სამი წელი.

— **აქ, ხომ არ გჩაგრავენ?**

— არა. ვინ გაბედავს.

— **შენი უტიფარი ხასიათი უფრო მომწონს, ვიდრე ცხოვრების წესი** — ვუპასუხე და შევულიმე. ცოტაზე მოლბა კიდეც, მაგრამ მე უკვე სახვასთან გავაბი დიალოგი. უფრო სწორედ თავად მომიახლოვდა სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა და მითხრა:

— მე, თემურ კუხალეიშვილი ვარ, თბილისელი, საბურთალოზე ვცხოვრობ...

— **რა ჩაიდინე?**

— ვცემე და ფული წავართვი.

— **ე. ი. ყაჩაღობა.**

— შვიდი წელი მაქვს. თერთმეტი თვეა ვზივარ, მენატრება ყველა. მხოლოდ მამა მაკითხავს.

— **სწავლობ?**

— მეათე კლასში ვარ. ფიზიკა მიყვარს და მასწავლებელიც — როლენა ფრანგულაშვილი. სპორტი მიტაცებს, განსაკუთრებით ფეხბურთი. რელიგიის ისტორიაც მიყვარს და მასწავლებელი ბადრი სულაძე. ის საკუთარ ლექსებსაც ხშირად გვიკითხავს.

— **ზონაში ვისთან მეგობრობ?**

— ჩვენ, ყველანი ერთმანეთთან ვმეგობრობთ. ერთი ოჯახივით ვართ. პატივს ვცემ, ჩვენი ზონის ლიდერს, ალეკო დევდარიანს.

— **რეჟიმი მკაცრია? ხომ არ გჩაგრავენ?**

— მე არ ვუცემივართ, — გაეცინა...

— **კვება და მკურნალობა?**

— ჩვეულებრივი.

— ხოლო კახა კობახიძემ, რომელიც ყაჩაღობის მუხლით არის ნასამართლევი, მისჯილი აქვს ექვსი წელი, ცხრამეტი წლისაა, რატომღაც არ ისურვა ჩემთან მეგობრული გასაუბრება. მისმა კლასის ხელმძღვანელმა გულნარა კომლაძემ, რომელიც ქიმია-ბიოლოგიას ასწავლის, მართალია, კახა დადებითად დაახასიათა, მაგრამ მისი მეტისმეტი სიამაყე მაინც არ გადამალა.

**ლანდა მასხულია**

*გაგრძელება იქნება*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გადასახადები საქართველოში
# ბიუჯეტი და გადასახადები

ყოველ წელს ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნის მთავრობა ადგენს სპეციალურ საფინანსო გეგმას, რომელშიც ნაჩვენებია დამდეგი წლის შემოსავლები და გასავლები. ასეთ გეგმას ბიუჯეტი ეწოდება. მას ადგენენ როგორც ცენტრალური, ასევე ქვეყნის ცალკეული ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ორგანოებიც.

ისეთ გეგმას, სადაც შემოსავლები გასავლების (ხარჯების) ტოლია, დაბალანსებული ბიუჯეტი ჰქვია. თუ შემოსავლები მეტია ხარჯებზე, ამას ხომ არაფერი სჯობია, მაგრამ თუ გასავალი შემოსავალს სჭარბობს, ასეთი ბიუჯეტი დეფიციტურია და აიძულებს მთავრობებს მის დასაფარავად რაიმე მოიმოქმედონ (ჩვეულებრივ იღებენ სესხებს).

ბოლო წლებში საქართველოს დეფიციტური ბიუჯეტი აქვს. სამწუხაროდ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ძალიან ბევრი პრობლემის გადაწყვეტას გულისხმობს, ბიუჯეტის ძირითად შემოსავალს გადასახადები წარმოადგენენ. სახელმწიფო გადასახადებით ბეგრავს მოქალაქეთა შემოსავლებს, საწარმოთა ქონებას, მოგებას და სხვა. როგორც ცნობილია ეკონომიკა ეს არის მეცნიერება, რომელიც აღწერს და აანალიზებს საზოგადოების არჩევანს შეზღუდული რესურსების პირობებში. აქედან გამომდინარე, როცა ქვეყანაში ტოტალური უმუშევრობაა და არანაირი წარმოება (გამონაკლისების გარდა) არ ფუნქციონირებს, ძალიან ძნელია მწირმა გადასახადებმა რაიმე მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინოს, ჩვენი მთავრობის სახსრები შეზღუდულია, მას შეუძლია დახარჯოს ისინი მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებით. თვალი გადავავლოთ შარშანდელ ბიუჯეტს (იხ. ცხრილი), რომლის საგადასახადო შემოსავლების 419,4 მლნ. ლარი უნდა შემოეტანათ. ეს მთელი შემოსავლების 61,1 პროცენტია. ძალიან მნიშვნელოვანი სახსრები ხარჯებში მიემართება საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 129,8 მლნ. ლარი (ხარჯების 14,71 პროცენტი) და საზოგადოებრივი წესრიგის და უშიშროების მუხლებზე 97,1 მლნ. ლარი. თუმცა სოციალურ უზრუნველყოფაზეც 203,5 მლნ. ლარი იყო გამოყოფილი, ასევე დიდი თანხებია გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის საგარეო და შიდა ვალების მომსახურებისათვის – 160,3 მლნ ლარი (ცნობისთვის: შარშან საქართველოს ვალი 2 მილიარდ აშშ დოლარს უდრიდა). როგორც ვხედავთ, საქართველოს 1997 წლის ბიუჯეტი დეფიციტურია და გასავალი შემოსავალს 200 მლნ. ლარით აჭარბებს. ასეთი მდგომარეობა სავალალოა, მაგრამ არა სასიკვდილო. სწორი ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით მომავალში საქმის შველა შეიძლება იმისათვის, რომ გავისტუმროთ ვალები, ბიუჯეტი დადებითი სალდოთი გვქონდეს და მეტი თანხები გამოიყოს სოციალურ პრობლემებზე, განათლებაზე, კულტურაზე და თუნდაც თავდაცვის მიზნებზე, საჭიროა ხელი შეეწყოს სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას, რათა საზოგადოებაში შეიქმნას ძლიერი და მრავალრიცხოვანი ე. წ. საშუალო ფენა, რომელიც თავის საქმიანობიდან მიღებული მოგებიდან ოპტიმალურ გადასახადებს გადაიხდის და ხელს შეუწყობს ქვეყნის შემდგომ კეთილდღეობას. ამ პრობლემების გადაწყვეტაში არცთუ ბოლო ადგილი სწორ საგადასახადო პოლიტიკის გატარებას უკავია (იხ. ცხრილი).

### გადასახადების ნაირსახეობანი და მათი მოკლე მიმოხილვა

ამჟამად საწარმოები და ორგანიზაციები იძულებულნი არიან სხვადასხვა გადასახადისა თუ ანარიცხის სახით გადაიხადონ თავიანთი მოგების 70-80 პროცენტი. საბაზრო ეკონომიკაზე ახლად გადასული ქვეყნისათვის ეს ძალიან ბევრია. ასეთ პირობებში ძნელია იფიქრო წარმოების გაზრდაზე, უცხოელებთან კონკურენციაზე და ახალი სამუშაო ადგილების გაჩენაზე.

როგორც ცნობილია გადასახადთა გადამხდელები ითვლებიან როგორც ცალკეული მოქალაქეები (ფიზიკური პირები), ასევე საწარმოები და ორგანიზაციებიც (იურიდიული პირები). კერძო პირები იხდიან საშემოსავლო გადასახადს, რომელიც ცალკე დავახასიათოთ.

### საშემოსავლო გადასახადი

მას ნებისმიერი მოქალაქე იხდის საკუთარი წლიური შემოსავლიდან გარკვეული პროცენტის ოდენობით. ჩვენი საგადასახადო კოდექსი მოქმედებს საშემოსავლო გადასახადით. დაბეგვრის ე. წ. პროგრესული შკალა, რომლის დროსაც გადასახადი განაკვეთი (პროცენტი) მატულობს შემოსავლის ზრდასთან ერთად.

ფიზიკურ პირს უფლება აქვს მოახდინოს საგადასახადო წლის განმავლობაში ყოველთვიურად დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვა 9 ლარის ოდენობით. ასეთი გამოქვითვა ხდება მხოლოდ ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით მიღებული ხელფასიდან.

დაქირავებულ ფიზიკურ პირებს გადასახადი უკავდებათ დამქირავებლის მიერ შრომის ანაზღაურების (ხელფასის) გაცემისას, სოციალურ გადასახადთან ერთად.

საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება:

უცხოელი დიპლომატის მიღებული შემოსავალი;

იმ პიროვნების შემოსავალი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე და საქართველოს ტერიტორიაზე არაუმეტეს 90 დღეს დაქირავებით იმუშავა;

ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება;

გრანტი, სახელმწიფო პენსია, სახ. სტიპენდია და სახელმწიფო დახმარება, ალიმენტი;

ბიუჯეტის ხარჯზე გაწეული მატერიალური დახმარება და ერთჯერადი განაცემი, აგრეთვე სტიქიური უბედურების დროს ბიუჯეტიდან გაცემული დახმარება.

შემოსავალი მიღებული ფიზიკური პირის მიერ საკუთარი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციით;

ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი, გარდა სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტისა;

ბავშვობიდან ინვალიდების, I და II ჯგუფის მხედველობით ინვალიდების, მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე საქართველოს მოქალაქეები, პირები, რომლებსაც მინიჭებული აქვს „ქართველი დედის“ საპატიო წოდება, მარტოხელა დედები, პირები, რომელთაც იშვილეს ბავშვი, შვილად აყვანიდან ერთი წლის განმავლობაში. ყველანი არ იბეგრებიან თუ მათი წლიური შემოსავალი 3000 ლარს არ აღემატებოდა.

### საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის შკალა საქართველოში

| დასაბეგრი შემოსავლის ოდენობა კალენდარული წლის განმავლობაში | გადასახადის ოდენობა (განაკვეთი) |
|---|---|
| 200 ლარამდე | დასაბეგრი შემოსავლის 12 პროცენტი |
| 201-დან 350 ლარამდე | 24 ლარი+200 ლარს ზემოთ შემოსავლის 15 პროცენტი |
| 350-დან 600 ლარამდე | 46,5 ლარი+350 ლარს ზევით შემოსავლის 17 პროცენტი |
| 601 და მეტი | 89 ლარი+600 ლარს ზევით შემოსავლის 20% |

### საქართველოს 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

| ბიუჯეტის მუხლები | საგეგმო მაჩვენებლები | |
|---|---|---|
| | მლნ. ლარი | პროც. ჯამთან |
| 1 | 2 | 3 |
| **შემოსავლები** | | |
| შემოსავლები და გრანტები | 686,1 | 100,0 |
| საკუთარი შემოსავალი (სულ) | 626,2 | 91,2 |
| მათ შორის: | | |
| საგადასახადო შემოსავალი | 419,4 | 61,1 |
| აქედან: | | |
| საშემოსავლო გადასახადი | 34,8 | 5,1 |
| საწარმოთა მოგების (შემოსავლის) გადასახადი | 24,1 | 3,6 |
| დამატებული ღირებულების გადასახადი | 264,2 | 38,5 |
| აქციზი | 52,0 | 7,6 |
| საბაჟო გადასახადი | 42,9 | 6,12 |
| სხვა გადასახადები | 1,5 | 0,3 |
| კაპიტალური შემოსავალი | 10,0 | 1,4 |
| არასაგადასახადო შემოსავალი | 89,2 | 13,0 |
| სახელმწიფო სპეციალური ფონდების შემოსავალი | 107,5 | 15,7 |
| მათ შორის: | | |
| სოციალური უზრუნველყოფის და სამედიცინო დაზღვევის ფონდი | 75,6 | 11,0 |
| დასაქმების ფონდი | 3,0 | 0,4 |
| საგზაო ფონდი | 20,0 | 2,9 |
| ჯანდაცვის ფონდი | 8,9 | 1,3 |
| გრანტები | 59,9 | 8,7 |
| **ხარჯები** | | |
| ხარჯები (სულ) | 886,1 | 100,0 |
| მათ შორის: | | |
| საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 129,8 | 4,71 |
| თავდაცვა | 78,1 | 8,8 |
| საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება | 97,1 | 10,9 |
| განათლება | 52,4 | 5,9 |
| ჯანდაცვა | 50,6 | 5,8 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 203,5 | 23,0 |
| საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 6,6 | 0,7 |
| კულტურა, სპორტი, რელიგია | 38,3 | 4,3 |
| სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი | 11,8 | 1,3 |
| სოფლის მეურნეობა | 18,9 | 2,2 |
| სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა | 3,4 | 0,4 |
| ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა | 31,3 | 3,5 |
| ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მომსახურება | 3,9 | 0,4 |
| სხვა ხარჯები (მათ შორის, ქვეყნის საშინაო და საგარეო ვალების მომსახურება). | 160,3 | 18,1 |

**P. S. საზღვარგარეთის ქვეყნებში მოქალაქეთა მაღალი შემოსავლების წყალობით საშემოსავლო გადასახადი საბიუჯეტო შემოსავლების ერთ-ერთ ძირითად მუხლს წარმოადგენს. აშშ-ში ბიუჯეტის შემოსავლების დაახლოებით 35 პროცენტი ამ გადასახადზე მოდის, საქართველოში კი მხოლოდ 5-7 პროცენტი.**

**კობა ბრეგვაძე**

*გაგრძელება იქნება*

### ეუთო-ს დელეგაციის ვიზიტთან დაკავშირებით

საქართველოში ვიზიტად მყოფი ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროს დირექტორი ჟერარ შტუდმანი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავ-რემ ჯუმბერ ლომინაძემ მიიღო.

როგორც „იფრინდა“-ს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახურში აცნობეს, სტუმარი შეხვდება იუსტიციის მინისტრს თედო ნინიძეს, შს მინისტრს კახა თარგამაძეს, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს ვალერი ვაშაკიძეს, პრეზიდენტის პირად წარმომადგენელს ქვეყნის უსაფრთხოების, პოლიტიკური პრობლემების და კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში ირაკლი მაჭავარიანს, სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის თავ-რეს გივი ყვარელაშვილს და სახალხო დამცველს დავით სალარიძეს.

20 მარტს ჟერარ შტუდმანი შეხვდა პარლამენტის თავ-რეს ზურაბ ჟვანიას, საგარეო საქმეთა მინისტრს ირაკლი მენაღარიშვილს, ასევე, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავ-რეს თამაზ ნადარეიშვილს, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავ-რეს კონსტანტინე კოკოევს, პენიტენციარულ საკითხთა ქვეკომიტეტის თავ-რეს ელენე თევდორაძეს, საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავ-რეს მიხეილ სააკაშვილს დ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

21 მარტს სტუმარს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მიიღებს.

23 მარტს დაგეგმილია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროს დირექტორის ვიზიტი სოხუმში.

ჟერარ შტუდმანის ვიზიტი საქართველოში 25 მარტს დასრულდება.

### მხარდაჭერა — მუშაობის ხარისხის შესაბამისად

ს/ს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატი“-ს მომავალი ფუნქციონირების, ქარხნის ტექნოლოგიური შეიარაღების განახლებისა და საერთო რეკონსტრუქციის შესაძლებლობები განიხილეს საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან გამართულ შეხვედრაზე, რომელშიც ს/ს-ის მმართველი კომპანიის გამგეობის თავ-რე, ჰოლანდია-ისრაელის ერთობლივი ფირმა „ნეშინტერპრაისი“-ს პრეზიდენტი მორდეხაი არენსი და გამგეობის წევრები მონაწილეობდნენ.

ე. შევარდნაძის განცხადებით, მრეწველობის ამ გიგანტის გადარჩენას და ხალხის დასაქმებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც ქვეყნის ეკონომიკის, ისე ბიუჯეტისათვის. პრეზიდენტმა მაქსიმალური მხარდაჭერა აღუთქვა კომბინატის მესვეურთ და მკაცრი პირობა წაუყენა - საწარმომ რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაიწყოს მუშაობა და, რაც მთავარია, მის მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი ყველა სტანდარტებსა და მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.

## ახალი ამბები

### თ. ხაჩიშვილმა შუამდგომლობა დააყენა

19 მარტს განახლდა „ჯაბა იოსელიანისა და სხვათა“ სასამართლო პროცესი, რომელიც „მხედრიონი“-ს ექს-ლიდერის ჯაბა იოსელიანის ავადმყოფობის გამო იყო შეწყვეტილი.

როგორც „იფრინდა“-ს კორესპონდენტი სასამართლო დარბაზიდან იტყობინება, განსასჯელმა თემურ ხაჩიშვილმა მისი, ჯაბა იოსელიანის, გიგა გელაშვილისა და გოჩა თედიაშვილის შსს-ს მეხუთე იზოლატორიდან 1 იზოლატორში გადაყვანასთან დაკავშირებით შუამდგომლობა დააყენა. პროცესზე თ. ხაჩიშვილმა, ასევე, მოითხოვა ჯაბა იოსელიანის საავადმყოფოში გადაყვანა. იმ შემთხვევაში, თუ შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდება, განსასჯელი საპროტესტო აქციის დაწყებას აპირებს.

ამასთან დაკავშირებით, სასამართლო კოლეგიის თავ-რემ ჯემალ ლეონიძემ განმარტა, რომ ნებისმიერი განსასჯელის საავადმყოფოში გადაყვანის საკითხი სათანადო სამედიცინო დასკვნის შემდეგ გადაწყდება, ხოლო, რაც შეეხება ბრალდებულების 1 იზოლატორში გადაყვანას, ამ საკითხში მან შეძლებისდაგვარად, დახმარება აღუთქვა.

### დაიწყო აქციის მეორე ეტაპი

„ენგურის ხიდთან მიმდინარე საპროტესტო აქციის პირველი ეტაპი დასრულდა, გადავდივართ აქციის მეორე ეტაპზე“ - განუცხადა „იფრინდა“-ს „მოქალაქეთა კავშირი“-ს სამეგრელოს რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, პარლამენტარმა ბეჟან გუნავამ და დასძინა, რომ აქციის მონაწილეები ყველა ღონეს იხმარენ აფხაზეთისა და სამეგრელოს მოსახლეობას შორის სახალხო დიპლომატიის დასაწყებად.

დღეისათვის ხიდზე 20-მდე მოპიკეტეა, რომლებსაც გზა ისევ გადაკეტილი აქვთ და არ ატარებენ მანქანებს. ბ. გუნავას განცხადებით, აქცია გაგრძელდება მანამ, სანამ რეალურ შედეგებს არ მიაღწევენ, რაშიც პარლამენტარი აფხაზეთში ლტოლვილთა უპირობო დაბრუნების დასაწყისს გულისხმობს. მისივე თქმით, შესაძლებელია აქცია შეწყდეს, მაგრამ მოძრაობა გაგრძელდება.

### აფხაზმა სეპარატისტებმა მშვიდობიან მოსახლეობას ცეცხლი გაუხსნეს

20 მარტს, დილით, დახლოებით, 8.20 წუთზე გალის რ-ის მხრიდან ზუგდიდის რ-ის სოფელ შამგონას მიმართულებით აფხაზმა სეპარატისტებმა სროლა გაუხსნეს ხიდზე მიმავალ მშვიდობიან მოსახლეობას. დაჭრილია 4 ქართველი - ამის შესახებ „იფრინდა“-ს „მოქალაქეთა კავშირის“ ზუგდიდის რეგიონალური პარტიის თავ-რემ, პარლამენტარმა ბეჟან გუნავამ აცნობა.

მისივე თქმით, სროლა დაახლოებით 5-7 წუთის მანძილზე გრძელდებოდა. როგორც ბ. გუნავამ აღნიშნა, დაახლოებით 8 ნაღმტყორცნი გაისროლეს.

პარლამენტარის თქმით, გუშინ დილით, დაახლოებით 7.30 წუთზე ზუგდიდის რ-ის სოფელ ოდიშში აფეთქდა სკოლის შენობა. მსხვერპლი არ არის. მიზეზები ჯერჯერობით უცნობია.

როგორც ბ. გუნავამ „იფრინდა“-სთან საუბრისას აღნიშნა, ორივე ფაქტი იმ ძალების მიერ არის პროვოცირებული, ვისაც ქართველ და აფხაზ მოსახლეობას შორის მშვიდობიანი დიალოგის დაწყება არ უნდა და შეიარაღებული დაპირისპირების ინსპირირება სურს. „მაგრამ ამან კიდევ უფრო განამტკიცა აზრი ჩვენსა და აფხაზ მოსახლეობას შორის, რომ მოლაპარაკება გარდაუვალია“ - დასძინა ბ. გუნავამ.

რაც შეეხება მოსალოდნელი მოლაპარაკების შესახებ აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების კონკრეტულ პასუხს, როგორც პარლამენტარმა აღნიშნა, იგი რუსეთის სამშვიდობო ძალების გენერალმა ნიკოლაი სურიადნიმ, შესაძლოა, დღეს გადასცეს მოპიკეტეებს.

*იფრინდა*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნატოს გაფართოება და საზღვრები

მეცხრე გვერდიდან

### ნატო-უკრაინა

რუსეთისაგან განსხვავებით, უკრაინას არასოდეს გამოუთქვამს შეურიგებელი წინააღმდეგობა ნატოს გაფართოებისადმი, მაგრამ იგი ლამობდა — და ეს ბუნებრივიცაა, — რომ მინიმუმზე დაეყვანა ის წინააღმდეგობრივი შედეგები, რაც ამას შეიძლება მოეტანა მისთვის. როგორც სიდიდით მეორე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკისათვის, რომელმაც ცალმხრივად უარი თქვა ბირთვულ იარაღზე. იგი ამასთანავე ეძებდა სპეციალურ ურთიერთობას ნატოსთან „მშვიდობისათვის პარტნიორობის“ პარალელურად. თუმცა მასაც სურდა ხელშეკრულება და უშიშროების გარანტიებსაც კი ითხოვდა ალიანსისაგან, ამის შედეგად შექმნილი „ნატო-უკრაინის ქარტია გამორჩეული პარტნიორობის შესახებ“, რომელიც ხელმოწერილ იქნა მადრიდში 1997 წლის 9 ივლისს, არსებითად, მხოლოდ კიდევ ერთხელ ადასტურებს „ევრო-ატლანტიკური პარტნიორობას საბჭოს“ მენიუს და შეიცავს ნატოს მიერ უკრაინის პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას — პუნქტს. რომელიც კითხვის ქვეშ იქნა დაყენებული რუსეთის ზოგიერთ პოლიტიკურ წრეთა მიერ. რუსეთისაგან განსხვავებით, უკრაინის სამხედრო მოსამსახურეებს მაღალი თანამდებობის პირთა მიერ საყვედური ეთქვათ „მშვიდობისათვის პარტნიორობის“ პროგრამების არაეფექტიანი რეალიზაციისთვის, რომელთაც ზოგ შემთხვევაში ნატო აფინანსებდა. „ნატო-რუსეთის აქტისაგან“ განსხვავებით „ნატო-უკრაინის-ქარტია“ გამოთქვამს ევროპულსა და ევრო-ატლანტიკის სტრუქტურებში უკრაინის „სრულმასშტაბიანი“ ინტეგრაციის მხარდაჭერას, რაც ზოგ უკრაინელ თანამდებობის პირს ესმის როგორც ნატოში უკრაინის მომავალი წევრობის ნიშანი.

### ხმელთაშუა ზღვისპირეთის დიალოგი

დასასრულ, მადრიდში გადაწყდა, რომ 1995 წლიდან მავრიტანიასთან, მაროკოსთან, ეგვიპტესთან, იზრაელთან და იორდანიასთან მიმდინარე დიალოგს სტატუსი აუმაღლდეს უბრალო კონტაქტიდან ნატოს საერთაშორისო სამდივნოსთან „ხმელთაშუა ზღვის კოოპრაციის ჯგუფის“ სტატუსამდე, რომელიც მოიცავს პოლიტიკურ მრჩევლებს ნატოს ეროვნული დელეგაციებისგან. ხმელთაშუა ზღვისპირეთი სადღეისოდ არის ყველაზე ნაკლებ განვითარებული ნაწილი ნატოს მიერ მოცულ სფეროში. ისევე, როგორც „ჩრდილო ატლანტიკური კოოპერაციის საბჭოს“ აქტივობა „ვარშავის პაქტის“ ქვეყნებთან მისი ურთიერთობის პირველ ხანებში, მისი აქტივობაც კონცენტრირებული იყო შეზღუდულ სემინარისებურ საქმიანობაზე მეცნიერებასა და ინფორმაციის სფეროებში, რომლებიც არ წარმოადგენენ ალიანსის ცენტრალურ ამოცანებს. იგი მუშაობდა გაუგებრობათა გაქარწყლების მიმართულებითაც (ან ისეთი განცხადებების გაქარწყლების მიმართულებით, როგორიც გააკეთა ლიბიამ, ნატოს 1997 წლის სექტემბრის მანევრები ხმელთაშუა ზღვაში არაბული ქვეყნების წინააღმდეგ მიმართული აგრესიული ქმედებააო).

მაგრამ კიდევ არსებობს შესაძლებლობა უფრო დეტალურად დავაყენოთ ეჭვის ქვეშ „მშვიდობისათვის პარტნიორობა“, როგორც ამოცანისადმი ყველაზე მორგებული მიდგომის მოდელი. ფორმულა „16+1“ უფრო ჩანს საქმის მიმყვანი ხმელთაშუა ზღვისპირა პარტნიორების დიფერენცირების შესაძლებლობამდე — ზოგი მათგანისთვის ნატოს წვრთნებში მონაწილეობის ნების დართვამდე (ეგვიპტე, იორდანია და მაროკო უკვე მონაწილეობენ „იმპლემენტაციისა და სტაბილიზაციის ძალებში“) — ვიდრე კოლექტიური ფორმატის დიალოგი. პირველყოვლისა, დიალოგი ემყარება იმის აღიარებას, რომ, როგორც განაცხადა ნატოს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარემ გენერალმა კლაუს ნაუმანმა, „სამხრეთი რეგიონი დღეს ნატოს ყველაზე სახიფათო რეგიონია“, ამიტომ ნატომ ისევე უნდა იყუროს სამხრეთისაკენ, როგორც აღმოსავლეთისაკენ.

### დასკვნა

ბევრი კითხვა უპასუხოა. რა შეიძლება მოვიაზროთ ნატოს გაფართოების საბოლოო შედეგად? მოწვეული იქნება რუსეთი, თუ არა ...? ზუსტად როგორია ეს ორგანიზაცია, ახლა რომ გაფართოებას განიცდის, მას შემდეგ, რაც მადრიდის სამიტმა ვერ მიაღწია შეთანხმებას ნატოს საკომანდო სტრუქტურების შესახებ და ნატოს შიგნით ევროპის უშიშროებისა და თავდაცვის რაობის (IDENTIFY) შესახებ? როგორ შეპხვდებიან ნატოს სხვა ამჟამინდელი და მომავალი წევრები მოთხოვნას, განახორციელონ ძალების მოდერნიზაცია და ძალის ზრდა, რათა არ გაჩნდეს ტექნოლოგიური დონისა და შესაძლებლობების განსხვავება მათსა და აშშ-ს შორის? გახდება თუ არ გახდება დისპუტები ნატოს პირდაპირი პასუხისმგებლობის არეალის გარეთ ნატოს ოპერაციების შესახებ ისე არაპროდუქტიული, რომ საჭირო გახდეს ისინი განვიხილოთ როგორც იშვიათი გამონაკლისები და არა როგორც „ახალი“ ნატოს გამოკვეთილი მახასიათებლები?

ყოველ შემთხვევაში, ცხადი ჩანს ის, რომ დროის მცირე მანძილზე ალიანსმა მოიპოვა ელასტიურ საშუალებათა მთელი სერია, რათა უპასუხოს უშიშროების სფეროში გაჩენილი გამოწვევების მთელ სპექტრს — ესაა კოოპერატიული და კოლექტიური უშიშროება პარტნიორობის მეშვეობით, კოლექტიური დაცვის ერთი ხაზით წარმართვა, რათა მოევლოს კრიზისებს, და არა მხოლოდ დიდმასშტაბიან საშიშროებებს. მას იმის უნარიც აღმოაჩნდა, რომ მოუაროს ახალ-ახალ გამოწვევებს, როგორიცაა მასობრივი მოსპობის იარაღისა და მისი მიტანის საშუალებების გავრცელების პრობლემა. შედეგად, ჩვენ შეგვიძლია დაიმედებულნი ვიყოთ, რომ მანამდე, სანამ კონსენსუსი არსებობს, ნატო განაგრძობს თავის სამსახურს როგორც მიუცილებელი საფუძველი უშიშროებისა და სტაბილიზაციისათვის ახალ ევროპაში და, — ალბათ, — როგორც კრიტიკული (გადამწყვეტი) მნიშვნელობის თესლი XXI საუკუნეში ევროპაში უშიშროების უფრო ფართო სისტემის შესაქმნელად.

# საზღვრები

ადამიანს შეეძლო დაეშვა, რომ იმ მხატვრების შეხედულებები, რომლებიც „ცისფერი მხედრის“ გარშემო ერთიანდებოდნენ, მიმართული იყო იმ მოვლენებისაკენ, რომლებიც იმ დროს პარიზში ვითარდებოდა. მაგ. ნეოიმპრესიონიზმი, ფოვიზმი, კუბიზმი, საბოლოოდ ორფიზმი. მაგრამ ალმანახი „ცისფერი რაინდი“ საკმარისია, იმაში დასარწმუნებლად, რომ არცერთ შემთხვევაში ეს ყურადღება პარიზისაკენ არ იყო დაცემა „ცისფერი მხედრის“ მხატვრებისა. ის სულიერი დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, რომელიც მხატვრებისთვის ასე საჭირო იყო, იყო მხოლოდ პარიზში და სხვაგან არსად შეეძლოთ ამას შეხვედროდნენ.

„ცისფერი მხედარი“ იყო ნარევი ალმანახის ტექსტებისა და სურათებისა, საპირისპირო კულტურებიდან, სფეროებიდან და დროიდან ამოსული გამომსახველობათა დაპირისპირება.



მკითხველი ხდება სრულიად თავისუფალ და სუვერენულ მხატვართა სულიერი თხზულებების მიმართ განსხვავებულ ფაზებში. ამ შემთხვევაში ის თითქოს დახტის და ბრუნდება ერთი უკიდურესობიდან მეორეში, ან ფრთებშესხმულია ან შეშინებული. და ყოველთვის ხდება უშუალო გამოხატვის ძალა ადამიანის განსხვავებული სურვილების გადალახვისა. ამის საფუძველზე ალმანახი უკვე წარმოადგენს ადამიანური გამოხატულებების ისეთ დოკუმენტს, როგორიც არსად არცერთ წიგნში არ ყოფილიყო.

„ცისფერი მხედრის“ მხატვრები ერთნაირად კონცენტრირდებიან ძველგერმანულ ხის კვეთაზე, შუა საუკუნეების ფრანგული სპილოს ძვლის ფიგურებზე, სეილონის საცეკვაო ნიღბებზე, ამაზონის ინდიელებზე, ხის სკულპტურებზე, მალაის არქიპელაგის ხალხთა კულტურებზე, აცტეკური ღმერთის ქსიპე ტოტეკის ფიგურებზე, სან-მარკოს ვენეციურ-ბიზანტიურ მოზაიკაზე, რუსულ ხალხურ პლასტიკაზე და ეგვიპტურ ფიგურებზე. მათ შორის ბავშვთა ნახატებზე, ყველაზე უფრო კი ბავარიულ ხალხურ ხელოვნებაზე. ეს ყველაფერი კონფრონტირებს და ერევა როსის, გოგენის, ვან გოგის, სეზანის, მატისის, პიკასოს, კანდინსკის, მარკის, კამპედონკის, კირხნერის, კოკოშკას, კუბინის, ჰეკელის და სხვათა რეპროდუქციებს.

რა თქმა უნდა, „ცისფერი მხედარი“ იყო ერთიმეორეზე მყარად კალკულირებული კომპოზიციების გეგმა და სისტემატური კომპენდიუმი შემოქმედებითი ფენომენებისა. ეს იყო ბევრად უფრო სპონტანური, ვიდრე მაინსპირებელი იმპროვიზაციები, რომელიც, მიუხედავად ყველა სისუსტისა, ხარვეზებისა და დისონანსებისა დიდ, დამაბრმავებელ ხმოვანებას გამოსცემდა.

... კანდინსკისა და მარკისაგან აუგუსტ მაკე „ცისფერი მხედრის“ სულში სახვითი და პოეტური შეპქონდა. ყველაფერი, მზიანი ამინდი, უხალისო ამინდი, გოთური ტაძრები, სიბნელე, ღამე, გაზაფხული, ციმბალები და მათი ჟღერა, ეგვიპტური სფინქსები, სილამაზე პარიზის კოკოტებისა, ვარსკვლავები, ქუხილი, ყვავილები — გადმოიცემა როგორც ფორმა და ეს ფორმა ჩვენთვის არის საიდუმლო, თუმცა კი არის მცდელობა იდეები გასაგებ ფორმებში გადმოსცენ. ფორმათა ენის გაგება ჰქვია: იყო იდუმალებასთან ახლოს, ხოლო შექმნა ფორმა ჰქვია — ცხოვრებას. ფორმებით გადმოცემული იდეები შესაცნობია და ძნელია მოძებნო სიტყვა, რომელიც ზუსტად და გასაგებად მოერგება ამ იდუმალების განსაზღვრას.

ეს იყო „ცისფერი მხედრის“ ხედვა, მათი ალმანახის სული და ინსპირაცია!..

კანდინსკი პირველ ... იუგენშტილის გამოცდილებას იყენებდა, მაგრამ მისი გახსენებით ზღაპრულ ხსნიდა რუსულ ფოლკლორს, ამასთან ერთად, ხდება ბუნების სწავლა ნეოიმპრესიონიზმთან და შემდეგ ფოვიზმთან და ამის საფუძველზე, მუდმივად მზარდი ფერადოვნების მიღწევა.

ფრანც მარკისათვის გადამწყვეტი ლოზუნგი იყო სურათებში მოეხდინა კონსტრუქცია საგანთა „ჭეშმარიტი-შინაგანისა“ და „მისტიკური-შინაგანისა“. კუბიზმით დაკავებით ცდილობს კრისტალური ფორმათა სტრუქტურები ამოეწია და ამითი ღრმა, მგრძნობელობით დანახული სახე ან ფორმა გამოესახა. მასზე ჯერ მაკესთან 1910 წლის შეხვედრამ მოახდინა გადამწყვეტი გარდატეხა. მაკე ათვითცნობიერებს მას ფერებში და თვალის წინ დამრტყმელი ძალით დააყენა ფერადოვნება. ფერადოვნების შეგრძნებაზე ასევე დიდი გავლენა მოახდინა 1907 წელს პარიზში ვან გოგის გამოფენამ. კრისტალობა, სუფთა ფორმები ცხოველების, მცენარეების და პეიზაჟებისა, მათი შესაბამისი ფორმათა სტრუქტურები უნდა ყოფილიყო თავისუფალი, მხედველობისაგან დამოუკიდებელი ფერებით დაკავშირებული. და ამით უნდა გადმოცემულიყო ყველა „შინაგანი ჭეშმარიტი“ საგნისა.

ამ მხრივ მაკესთვის ბევრად უფრო ძლიერია ბუნება, ვიდრე მის მეგობრებთან. მასთან უფრო მეტი იყო ბუნების განცდა, მისი ნათელი არსებობა, მაგრამ მასთან ეს საოცრად ინტელექტუალურად იყო გააზრებული.



„ცისფერი მხედრის“ ფერადოვნებაში, თითქმის ყოველთვის შესაგრძნობია დიდი მოკრძალება მუსიკასთან. მაკეს ფერები, განცდები და მოტივაცია აყენებდა მეტად თავისებურ, შუალედურ ადგილზე „ხიდსა“ და „ცისფერ მხედარს“ შორის. შეიძლება ამიტომაც მოხდა მისი კლასიფიკაცია „რაინული ექსპრესიონიზმის“ კონტექსტში. საბოლოოდ მისი ხელოვნება თავისი ხასიათით მაინც მიაკუთვნებს მას „ცისფერ მხედარს“.

როგორც ვიცით, „ხიდის“ მხატვრებთან დიდი ქალაქის განცდა ყველაზე უფრო მეტად კირხნერთან იყო დაკავშირებული. ავგუსტ მაკე დიდი ქალაქის სხვა ბუნებას ხედავდა. პირველ რიგში ის დიდ ქალაქში მის „გაპრანჭულ“ ხასიათს ხედავს. მის ყურადღებას იქცევს ვეგეტაცია, პარკების განლაგება, ზოოპარკი ზებრით, თუთიყუშებით, ზამთარში დათოვლილია ქალაქი. ის ხატავს მოთამაშე ბავშვებს ბაღში, სახლის სახურავებისა და ეკლესიის კოშკურების წინ, მოჩხუბარ ქალს აივანზე, ხეივნებს, სტუმარს ბალის რესტორანში ან კაფეში ტერასაზე. ბუნების ხასიათი აუგუსტ მაკესთან არის ყოველთვის დემონსტრაციული. ქალაქი მასთან ბუნებით არის ხორცშესხმული, მას მწვანე პარკებით უკეთდება არშია. ხატავს ბაზრობებს, მოდების სალონებს, სადაც ქალები სიამოვნებით ატარებენ დროს. რამდენადაც მძაფრი და ბასრია კირხნერის ხედვა მოდერნული დიდი ქალაქისა, მოულოდნელი მისი რიტმისა, სტაკატო მისი სტრუქტურებისა, რამდენად აგრესიულია ფერადოვნება სახეებისა და სამოსისა, და რამდენად ჰარმონიული და მუსიკალურია მაკე. მასთან ბუნებისა და დიდი ქალაქის ხედვა ერთმანეთში გადაედნობა. ეს ხედვა დიდი ქალაქის და პეიზაჟისა კირხნერსა და მაკეს მაინც აკავშირებს, მიუხედავად მათი ტემპერამენტისა და ბედის ყველა განსხვავებისა.

**ნათია ბახტაძე,**
**ხელოვნებათმცოდნე**

# ახალი ამბები

### აჭარის ა/რ უზენაესი საბჭო საქართველოს მოსახლეობას მიმართავს

20 მარტს აჭარის ა/რ უზენაესი საბჭოს თავ-რის ხელმძღვანელობით საბჭოს სესია გაიმართება.

როგორც „იფრინდა“-ს აჭარის ა/რ უზენაესი საბჭოს თავ-რის პრეს-მდივანმა გიორგი თარგამაძემ აცნობა, აჭარის გარშემო ბოლო დროს ატეხილ აჟიოტაჟთან დაკავშირებით, სესია საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის და საქართველოს მოსახლეობისადმი მიმართვას მიიღებს.

### სემინარი ქობულეთში

საქართველოს პორტების ტერმინალების თანამედროვე დანადგარებით აღჭურვის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების შედეგების გაცნობასთან დაკავშირებით ქობულეთში მიმდინარეობს სემინარი.

სემინარში მონაწილეობს ტრანსპორტის სამინისტროს ექსპერტთა ჯგუფი, ტრანსპორტის მინისტრის მერაბ ადეიშვილის ხელმძღვანელობით. მონაწილეობენ, აგრეთვე, ევროკომისიის დელეგაციისა და ტრასეკა-ს პროექტის წარმომადგენლები. სემინარის მსვლელობისას ტრანსპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობა თავის ევროპელ კოლეგებთან ერთად სამუშაო შეხვედრისას განიხილავენ ფოთისა და ბათუმის პორტების განვითარების გენერალური გეგმის შემუშავების შესახებ წინასწარ ჩატარებულ სამუშაოთა შედეგებს. ევროპელი ექსპერტები წარმოადგენენ თავიანთი საქმიანობის ინდივიდუალურ სფეროებს. კერძოდ, წინადადებებს ფოთისა და ბათუმის პორტების სამომავლო ორგანიზაციული სტრუქტურების, ორივე პორტის განვითარების გეგმის შესახებ, ასევე, სატრანსპორტო პროგნოზს 2012 წლამდე.

### ქართული ინვესტიციები საქართველოს ენერგოსისტემისათვის

„იფრინდა“-ს ცნობით, გარდა უცხოური კრედიტებისა, საქართველოს ენერგეტიკული სექტორის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის ინვესტიციები ორმა ქართულმა ფირმამაც განახორციელა. კერძოდ, გუმათჰესის აგრეგატის ასამოქმედებლად ქართულმა ფირმა „ენერგოინვესტმა“ 180 ათასი ლარი, ხოლო ვარციხეჰესის აგრეგატისათვის ფირმა „ვანდა“-მ — 500 000 ლარამდე გამოიყო.

### სოციალისტური პარტიის განცხადება

„საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ მოქალაქეთა კავშირის ბოლოდროინდელი „სამშვიდობო“ ინიციატივა მოჩვენებითია ისევე, როგორც ყბადაღებული ლოზუნგი „მილიონი სამუშაო ადგილი“, რომელიც მილიონ უმუშევრად გადაიქცა. შესაძლებელია, ახალი ინიციატივა „მილიონ პატიმრად“ გადაიქცეს“ — ნათქვამია სოციალისტური პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

როგორც განცხადების ავტორებს მიაჩნიათ, დღეს ნემო ბურჭულაძის დაპატიმრება, მისი ბრალეულობის მიუხედავად, ისეთ პირობებში, როდესაც ის ახლახანს ედუარდ შევარდნაძესთან აწარმოებდა მოლაპარაკებას, დამამცირებელია, როგორც პრეზიდენტის, ასევე, მთელი ქვეყნისათვის.

„იფრინდა“-ს ცნობით, სოციალისტური პარტია მმართველი პარტიისაგან ლოზუნგომანიიდან რეალურ თანმიმდევრულ პოლიტიკაზე გადასვლას მოითხოვს, რადგან მიტინგებითა და პოპულისტური აქციებით ვერც აფხაზეთი დაბრუნდება და ვერც საქართველო გაერთიანდება — ნათქვამია განცხადებაში.

### თურქეთის ელჩმა საქართველოში თავისი მოღვაწეობა დაასრულა

„იფრინდა“-ს ცნობით, თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში თევფიქ ოქაიუზმა დაასრულა ჩვენს ქვეყანაში თავისი ოთხწლიანი მოღვაწეობა.

„საქართველოსა და თურქეთს შორის მჭიდრო მეგობრული ურთიერთობები მომავალშიც გაგრძელდება, რისი ნათელი დადასტურებაა საქართველოში თურქეთის პრემიერ-მინისტრის ამასწინანდელი ვიზიტი“- განაცხადა პრეზიდენტის თანაშემწემ ეკონომიკური რეფორმის საკითხებში თემურ ბასილიამ თ. ოქაიუზთან გამართულ შეხვედრაზე.

### ვალერი ჩხეიძის მოსკოვში ვიზიტთან დაკავშირებით

მოსკოვში სამუშაო ვიზიტად მყოფი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავ-რე გენერალ-მაიორი ვალერი ჩხეიძე დღეს რუსეთის ფედერაციის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დირექტორს გენერალ-პოლკოვნიკ ნიკოლაი ბორდიუჟს შეხვდა, რომლის დროსაც სასაზღვრო სფეროში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის საკითხები განიხილებოდა. კერძოდ, ყურადღება ქართველ მესაზღვრეთათვის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის იმ მონაკვეთების ეტაპობრივი გადაცემის საკითხზე გამახვილდა, რომელსაც ამჟამად რუსეთის მხარე აკონტროლებს.

როგორც „იფრინდა“-სათვის საზღვრის დაცვის დეპარტამენტიდან გახდა ცნობილი, ვ. ჩხეიძე შეხვდა, ასევე, თავის ბელორუს კოლეგას გენერალ-მაიორ ალექსანდრე პავლოვსკის, რომლის დროსაც საქართველო-ბელორუსიას შორის სასაზღვრო სფეროებში თანამშრომლობის შეთანხმების პროექტი განიხილებოდა. შეთანხმებულია ოქმები სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობასა და სპეციალისტთა მომზადებაზე.

ვ. ჩხეიძე შეხვდება უზბეკეთის, ყირგიზეთისა და თურქმენეთის სასაზღვრო ძალების სარდლებს, რომლის დროსაც ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო მაგისტრალის სასაზღვრო-საკონტროლო გამშვებ პუნქტებზე სასაზღვრო კონტროლის საკითხებს განიხილავენ.

*„იფრინდა“*

Доκа пицца

Doka pizza

94-07-00

სოსისით 2-00

ქათმის ხორცით 2-50

ვიჩინით 2-50

სოკოთი 2-50

ვიჩინით და სოკოთი 3-00

ადგილზე მიტანა 2-00



## ექსპრეს აუდიტ სერვისი

*ლიცენზია №091*

*გთავაზობთ აუდიტორულ მომსახურებას ზოგად აუდიტში*

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება;
2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები;
3. ქონების შეფასება-გადაფასება;
4. ბუღალტრული მომსახურეობა;

თბილისი, თავისუფლების მოედანი,
პუშკინის ქ. 5, მე-12 სართ.
ტელ.: 93-15-89



*გამოიწერეთ გაზეთი*

## „საქართველო"

ხელმოწერა შეიძლება ქ.თბილისის პრესის გავრცელების სააქციო საზოგადოება „მაცნეს" ხელმოწერის რაიონულ უბნებში შემდეგ მისამართებზე:

- მოსკოვის გამზირი 18, ტელ. 71-32-87
- გლდანის რაიონი, დუმბაძის 4 (ა) კორპუსი, ტელ. 62-75-32
- დ.გურამიშვილის გამზირი 30, ტელ. 60-80-22
- ივ.ჯავახიშვილის (კალინინის) ქ.№14 ტელ. 95-87-36
- ქეთევან წამებულის გამზ. 61, ტელ. 74-14-47
- აკ.წერეთლის გამზ. 73, ტელ. 34-75-51
- რ.თაბუკაშვილის ქ. №12
- ჭავჭავაძის გამზ. 46, ტელ. 22-64-58
- ცენტრალური ოფისი, კ.გამსახურდიას გამზ. 42, ტელ. 37-47-49, 93-43-97.

ორგანიზაციებს შეუძლიათ, მიიწვიონ „მაცნე"-ს წარმომადგენელი ხელმოწერის გასაფორმებლად. ხელმომწერს შეუძლია აირჩიოს ჟურნალ-გაზეთების მიღების მისთვის ხელსაყრელი ფორმა.



## რეკლამის განთავსების მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „საქართველო" თავისი ნომრის
ერთ გვერდს უთმობს სარეკლამო
განცხადებებს.
რეკლამა კეთდება შეღავათიან ფასებში.
ყოველი მესამე გამოშვება თქვენთვის
**უფასოა**

დაგვიკავშირდით ტელ.: 93-18-41, 93-20-36 ან მობრძანდით მისამართზე: თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული,
გაზეთ „საქართველოს" რედაქცია.



## ძვირფასო ბიზნესმენებო!

თქვენი საქმიანობის რეკლამირებას პროფესიონალიზმი სჭირდება. გაზეთ „საქართველოს" სარეკლამო განყოფილება გაძლევთ უნიკალურ საშუალებას გქონდეთ მაღალი დონის რეკლამა.

ჩვენ დაგეხმარებით სარეკლამო გეგმის შედგენაში;

გაგიწევთ კონსულტაციას და შეგისრულებთ ნებისმიერი სახის სარეკლამო დავალებას;

ჩავატარებთ არსებული მასალის ექსპერტიზას.

დაიზღვიეთ თავი შეცდომებისაგან!

ჩვენი მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული. ტელ: 93-18-41, 93-20-36

გაზეთ „საქართველოს" რედაქცია


გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია და გაზეთ „საქართველოს" რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს **გელა სამნიაშვილს**.

ჩვენო გელა! ისეთივე ერთგული დარჩენილიყავი, როგორი ერთგულებითაც იბრძოდი სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომში. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და დიდხანს სიცოცხლეს.



**თარაზულად:** 3. ჭადრაკის პარტიის ბოლო ნაწილი; 5. ზოდიაქოს ერთ-ერთი ნიშანი (ტყუპი); 9. მიცვალებულის მოსახსენებლად მომზადებული ხორბლის საჭმელი; 10. სანახაობითი დაწესებულება; 11. ქალის გრძელი აბრეშუმის შარვალი, აღმოსავლეთში გავრცელებული; 13. მსოფლიო კრივის ვარსკვლავთაგანი; 15. ძველი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი ქართლში; 16. ხნიერი ქალი (ესპანეთში), რომელიც მიჩენილი ჰყავს ახალგაზრდა ქალს და თვალს ადევნებს მის ქცევას; 17. მოცარული დარტყმა ბილიარდში; 20. სიმსივნური დაავადების ახლადგაჩენილი მეორეული კერა; 22. სიგრძივ ამოღარული ნაწილი ფიცარზე, რომელშიც მეორე ფიცრის გამოწეული ნაწილი ჯდება; 24. საზიდარი; 25. მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავთაგანი; 27. მათემატიკური მრავალწახნაგა სხეული; 31. მეტალურგი, მათემატიკოსი, ქართული სპორტის დიდი ამაგდარი; 32. ქართველი სპორტსმენი ქალი (ტყვიის სროლა); 33. მეცნიერული ქიმიის ცრუპენტელა „წინაპარი"; 34. გერმანიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის ყოფილი მწვრთნელი; 35. მღვდელმთავართა ზოგადი სახელი.

**შვეულად:** 1. ვისიმე არ რისამე წინაალმდეგ მოქმედება; 2. ნადირთღვთაება ძველ ქართველთა რწმენით (გავრცელებული ტერმინის მეორე ვარიანტი); 4. დარიგება, ჭკუის სწავლება (სასაუბრო სიტყვა); 6. ქალაქი პოლონეთში; 7. ტანვარჯიში, ჩინური ეროვნული სპორტის სახეობა; 8. თანამედროვე საბრძოლო ხელოვნების ერთ-ერთი სტილი; 12. ცეცხლგამძლე საიზოლაციო მასალა ელექტროტექნიკაში; 14. „კლიონკა" (ქართულად); 18. სასიმინდე; 19. გემის, თვითმფრინავის კიბე; 21. სიარული ადამიანისა, რომელიც წონასწორობას ვერ იცავს; 23. არგენტინელი მოჭადრაკე; 24. ქართული ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი წმინდანის ეპითეტი; 26. შავყურძნიანი ვაზის ჯიში გურია-სამეგრელოში; 28. ნიჩაბი ცომის ასახვეტად; 29. პრაქტიკული მეცადინეობა კარატეში (იაპონური ტერმინი); 30. ჭიდაობის ფანდი — სარმა (იმერულ, გურულ კილოზე); 31. მდინარე ბელორუსიასა და ლიტვაში.

**გიორგი გასიტაშვილი**

## განცხადებები

იყიდება დუშეთის რაიონში, სოფელ ჭოპორტში ორსართულიანი დაუმთავრებელი სახლი. 1000 კვ. მ. მიწის ნაკვეთით, მსხმოიარე ყველა სახის ხეხილით და ვენახის ტალავერით ან იცვლება ერთ ან ოროთახიან ბინაზე თბილისში. ფასი 4500 დოლარი ტ: 34-46-11

იყიდება 3-სართულიანი დაუმთავრებელი კაპიტალური საგარაკო სახლი სოფელ შინდისში (თბილისიდან 12კმ) სახლი დახურულია უჟანგავი თუნუქით. 600 კვ. მ. ხეხილიან ეზოთი ან იცვლება 2-ოთახიან ბინაზე თბილისში. ფასი 8000 დოლარი. ტელ: 34-46-11

ქირავდება ავტოფარეხი ვაკეში. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-18-16

ვარ ახალგაზრდა ქალი, განათლებით ექთანი, ვეძებ სამუშაოს ნორმალური ანაზღაურებით. ტ: 34-73-95 რუსიკო

იყიდება სამოთახიანი ბინა ხუთსართულიანი სახლის I სართულზე. კოსმეტიკური რემონტით. დიდი სარდაფით, კუთხის ბინა, რკინის კარებით, ტელეფონით. ტ. 30-34-03. ვაჟა-ფშაველას VI კვარტალი, 18 კორპ. ბ.1

ქირავდება ერთოთახიანი ბინა ავეჯით, ტელეფონით საბურთალოზე პურის ქარხანასთან ტ: 39-31-32

მოვუვლი მოხუცს იმ პირობით, თუ ბინას დამიტოვებს. ტელ: 39-05-26 ნინო

მოვამზადებ ქართულ ენასა და ლიტერატურაში სკოლის მოსწავლეებს. ფასი 25 ლარი ტ: 39-05-26 მზია

იყიდება დოლიძის ქ. №27 კორპ, მე-III სად, მე-12 სართული, ბინა 106 არასტანდარტული, ოროთახიანი, ფასი 20000 დოლარი. ტ:30-36-79 იკითხეთ მაია 36-47-27 სოფიკო

იყიდება საქმიანი ეზო (7000 კვ. მ) ქალაქის ცენტრში. ტელ: 39-31-75

შევასწავლი ინგლისურ სალაპარაკო ენას. ფასი 25 ლარი. ტ: 52-29-87

გვინდა ტაქსა ძაღლი ვირთხებზე დაგეშილი. ცნობებისათვის დარეკეთ ტ: 33-34-27 იკითხეთ ქეთი როსტიაშვილი

იყიდება ხუთსანთლიანი ჩეხური ბროლის ლამაზი ჭაღი ფასი 350 ლარი ტ: 93-36-48

იყიდება ახალი შავი კარაკულის ქურქი 50 ზომა. ფასი 650 ლარი ტ: 93-36-48

ვყიდი ოცდახუთვატიან დინამიკებს. ფასი 60 ლარი. ჩეხურ აკუსტიკურ გიტარას, ფასი 80 ლარი. ტ: 39-39-92

ვყიდი ფერად ტელევიზორს „ჰორიზონტს" მუშა მდგომარეობაში, ფასი 60 ლარი. ტ: 39-39-92

ქირავდება ოთახნახევრიანი იზოლირებული ბინა დიდ დიღომში, ფასი შეთანხმებით. ტ: 96-48-71

იყიდება ოთახის დეკორატიული მცენარე „მონსტერა" სიმაღლე 2 მეტრი. ფოთლების რაოდენობა 35. ფასი 500 ლარი. საკონტაქტო ტელეფონი: 93-27-49

იყიდება სარეცხი მანქანა „ოკა", ტელევიზორი „იუნოსტი", ელექტრონული საოფისე საათი, ინკუბატორი, საყოფაცხოვრებო კომპრესორი, წყლის გამოსახდელი აპარატი და ელექტრონული სასწორი. ფასი შეთანხმებით ტელ: 96-10-50

მოვამზადებ ქართულ ენასა და ლიტერატურაში სკოლის მოსწავლეებს. ტელ: 39-05-26 მზია. ფასი 25 ლარი

იყიდება ვაჟა-ფშაველაზე ბინა მე-7 კვარტალი, მე-2 კორპუსი, I სად, მე-14 სართული. ფასი 10000 დოლარი. ტელ: 30-36-79 იკითხეთ მაია

იყიდება ვაჟა-ფშაველაზე მე-6 კვარტალი, მე-2 კორპუსი, მე-8 სართული, მე-2 სად, ბინა 52. სამოთახიანი 16000 დოლარი. ტელ: 30-36-79 მაია


მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444